

ISSN 0868—4537

ქართული
გიგანტოქია

178 /
1992/3

სამართალი

პრაქტიკა • მეცნიერება • პუბლიცისტიკა

IUS
TBILISI GEORGIA

1992-5

სარედაქციო კოლეგია:

ანზი არსენაშვილი

(პასუხისმგებელი მდივანი),

გელა ბერქანიშვილი

(მთავარი რედაქტორის მოადგილე),

ოთარ გამყრელიძე,

როლანდ ბილიგაშვილი,

ავთანდილ დემეტრაშვილი,

ტარიელ ზამბახიძე.

მინეილ კეკელიძე,

მზია ლეკვეიშვილი,

გურამ ლილუაშვილი,

ალექსანდრე ფალიაშვილი,

რუსუდან პიტავა,

ბიენიკური რედაქტორი

გულნარა გოსიკაშვილი

სარედაქციო საბჭო:

ვასტანგ აბაშმაძე, ლევან ალექსიძე, ანდრე გაბიანი, რომან გვენცაძე, გივი
ინჟიკიშვილი, ოთარ კაციტაძე, თენგიზ ლილუაშვილი, ვალერი ლორია, გიორგი
ნადარეიშვილი, ნოდარ ნეზიერიძე, ვასტანგ რაფეაძე, ზურაბ რატიანი, გიორგი
ტყეშელაძე, მინდია უგრეხელიძე, აკოლონ ფალიაშვილი, იაკობ ფუტყარაძე,
თამაზ შავჭულიძე, ალექსანდრე შუშანაშვილი, ირაკლი ჩიქოვანი, ჯონი ხატუ-
რიანი, ჯონი ჯალალანიძე, სერგო ჯორჯანიძე.

სამართალი

129

სამეცნიერო-კრამტიკული შუბნალი

№ 5 1992

გამოდის 1992 წლიდან

მანისი

ს ა ძ ი ე ბ ე ლ ი

სასამართლო რეფორმა თენგიზ ლილუაშვილი — გაამართლებს თუ არა ნაფიც მსაჯულთა სასამართლო?	2
<hr/>	
თეორიის საკითხები იროდიონ ხურგულაძე — კანონის იურიდიული ბუნება	7
გიორგი თოდრია — სახელმწიფო როგორც გაუცხოების მომენტი და დანაშაულობა	21
ირაკლი გოძიაშვილი — დანაშაულობის პრობლემა და თანამედროვეობა	26
<hr/>	
პრაქტიკა ოთარ ფლენტი — სასამართლო ექსპერტიზის როლი სამართლებრივ სახელმწიფოში	34
<hr/>	
საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოში საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს პლენუმის დადგენილებები	40
<hr/>	
დოკუმენტები კონვენცია სამხედრო ტყვეებთან მოპყრობის შესახებ	57
<hr/>	
პროსპორადი	80

თამაზი ლილუაშვილი

გააკარტლებს თუ არა ნაფიხ მსაჯულთა სასამართლო?!

1. საყოველთაოდ ცნობილია, რომ სადაც უფლების დაცვა არ არის გარანტირებული, იქ უფლების აღიარება ფიქციაა. კანონით აღიარებული უფლება რომ ფიქციად არ იქცეს, სამართლებრივი სახელმწიფო, რომელიც უფლებას აღიარებს, კმნის კიდევ შესაბამის გარანტიებს მის დასაცავად. ამ გარანტიებს შორის სასამართლოს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება.

უნდა აღინიშნოს, რომ მთელი თავისი არსებობის მანძილზე საბჭოთა ხელისუფლება უამრავ კანონს, დადგენილებასა და განკარგულებას იღებდა სამართალდამცავი ორგანოების საქმიანობის გაუმჯობესებისათვის, მაგრამ აქედან არაფერი გამოვიდა. უფრო მეტიც, ნეგატიური პროცესები კიდევ უფრო ღრმავდებოდა და საშიშ ხასიათს იღებდა. საბოლოოდ კი მან ისეთ ზღვარს მიადწია, რასაც შეიძლება კატასტროფული ვუწოდოთ. ჩამოყალიბდა საზოგადოებრივი აზრი, რომლის თანახმად, აღნიშნული ორგანოების საქმიანობის გაუმჯობესება შეუძლებელია. თუ მართლა გვინდა საქმეს ვშველოს, გარდუვალია ნამდვილი რეფორმების გატარება, ამიტომ, ყოველი დადგენილება ამ ორგანოების მუშაობის გაძლიერების შესახებ, ან კიდევ მათი დაკომპლექტება ე. წ. გამოცდილი კადრებით, მხოლოდ აღიზიანებს საზოგადოებას (და სავსებით სამართლიანადაც) და აღიქმება როგორც არაფრის მომტანი, მორიგი ფარსი.

მაშ სად უნდა ვეძებოთ გამოსავალი?

გამოსავალი, ჩემი აზრით, ერთია; დაუყოვნებლივ უნდა მოვახდინოთ იმ სტრუქტურების რღვევა, რომლებიც მხოლოდ და მხოლოდ საკომანდო-მბრძანებლური სისტემებისათვის იყო შექმნილი და შეგუდგეთ სამართლებრივი სახელმწიფოს შენებას.

სამართლებრივი სახელმწიფოს მშენებლობაში, ერთ-ერთი გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება შესაფერისი სასამართლო სისტემის აგებას. ამასთან, მხედველობაშია არამარტო საკუთრივ სასამართლოს, არამედ ყველა იმ ორგანოს (პროკურატურის, გამოძიების, ადვოკატურის...) რეფორმა, რომლებიც სპეციალურადაა შექმნილი საზოგადოებრივი წესრიგის უზრუნველსაყოფად, მოქალაქეთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დასაცავად.

აღსანიშნავია, რომ საზოგადოებრივი აზრი მოითხოვს არამარტო რეფორმას ამ სფეროში, არამედ კონკრეტული გზებისა და მიმართულებების პოვნასაც. კერძოდ, საზოგადოებაში ფართოდაა გავრცელებული შეხედულება, რომ არსებული სასამართლო უნდა შეიცვალოს ნაფიც მსაჯულთა სასამართლოთი, რო-

მელიც მიჩნეულია სამართლისა და სამართლიანობის დამკვიდრების, კანონიერებისა და მართლწესრიგის მოთხოვნათა გატარების გარანტად.

მაშ ასე — სასამართლო, რომელიც ჩვენ გვაქვს. ცუდია. მან არ გააშრო თლა, ხოლო სასამართლო, რომელიც დემოკრატიულ ქვეყნებში ფუნქციონირებს, კარგია, რადგან იქ ის ამართლებს.

ძალიან მარტივად რომ ვთქვათ, ასეთია საზოგადოებრივი აზრის ლოგიკა.

სინამდვილეში, ჩვენი მოგონილი არც ის სასამართლოა, რომელიც დღეს ჩვენთან ფუნქციონირებს. იგი, როგორც ეს ქვემოთ დაწვრილებით იქნება განხილული, სხვაგანაა შექმნილი და ბევრგან დღესაც საკმაო წარმატებით ფუნქციონირებს.

ამიტომ, საჭიროა საზოგადოებრიობა კარგად იყოს ინფორმირებული ჩვენთან ამჟამად მოქმედ სასამართლო სისტემაზეც და ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს წარმოშობასა და განვითარებაზეც და რაც მთავარია, ამ სასამართლოთა უპირატესობებსა და ნაკლოვანებებზე.

20.2.81

2. თითქმის ბოლო დრომდე, რაიმე დადებითის თქმა ნაფიც მსაჯულთა სასამართლოზე დაუშვებელი იყო. ასეთი სასამართლო მონათლული იყო როგორც ბურჟუაზიული ტიპის სასამართლო, რომელიც ექსპლოატატორული კლასის, კაპიტალისტების ინტერესებს ემსახურებოდა. აქვე მიჩქმალული იყო ის, რომ სასამართლო სისტემა, რომელიც ყოფილ საბჭოთა კავშირში დაინერგა და საქართველოში დღესაც მოქმედებს, სინამდვილეში, შეფენების სასამართლოა და იგი გასული საუკუნის 50-იან წლებში აღმოცენდა გერმანიაში. ამიტომ, უფრო სრული წარმოდგენა რომ გვქონდეს ნაფიც მსაჯულთა სასამართლოზე, მიზანშეწონილია მოკლედ დავახასიათოთ შეფენების სასამართლო.

პირველად, შეფენების სასამართლოს იდეა საფრანგეთში იშვა. ძალიან მოკლედ ამ იდეის არსი ასეთია: ნაფიც მსაჯულთა ნაცვლად ხალხისაგან აირჩევიან სასამართლოს მსაჯულები, რომლებიც სახელმწიფო მოსამართლესთან ერთად ქმნიან ერთიან და განუყოფელ კოლეგიას. საქმის განხილვის დროს წამოჭრილ ყველა საკითხს ისინი წყვეტენ ერთობლივად და ასევე ერთობლივად გამოაქვთ გადაწყვეტილება.

ეს იდეა პრაქტიკულად განხორციელდა არა საფრანგეთში, არამედ გერმანიაში, სადაც ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს გვერდით მთელ რიგ ქალაქებში მოქმედება დაიწყო შეფენების სასამართლომ. გერმანელებმა დიდი მონდომებით დაამუშავეს ამ სასამართლოს ყველა დეტალი და მას სამართლიანად თვლიან თავიანთ ეროვნულ დაწესებულებად, საკუთრივ გერმანულ მოვლენად.

მე შეფენების სასამართლოს მხოლოდ ზოგიერთ ძირითად მახასიათებლებზე შევჩერდები, რათა მკითხველმა თვითონ შეძლოს შეადაროს იგი ჩვენში ამჟამად მოქმედ სასამართლოს:

შეფენების სასამართლო შედგება მთავრობის მიერ დანიშნული მოსამართლისაგან და საზოგადოებიდან შერჩეული ორი შეფენისაგან;

შეფენებს ირჩევენ სამი წლით;

შეფენებს აქვთ მოსამართლესთან თანაბარი უფლებები და მონაწილეობენ არამარტო ბრალისა და სასჯელის საკითხების გადაწყვეტაში, არამედ ყველა სხვა დანარჩენ მატერიალურ თუ საპროცესო დავებში, რომლებიც წამოიჭრება საქმის განხილვის დროს;

შეფენები მოსამართლესთან ერთად ქმნიან განუყოფელ კოლეგიას.

ამავე დროს, გერმანელები მიუთითებდნენ შეფენების სასამართლოს ნაკლოვანებებზეც. მე მხოლოდ ორ ნაკლოვანებაზე შევჩერდები: პირველი, პრო-

სამხართმელოს
ს. თენგიზი
გ ი ბ ლ ი ო ტ ი კ ა

ფესიონალი მოსამართლის ხმას ექნება გადამწყვეტი გავლენა შეფენებზე. შერეორე, ასეთი ზეგავლენა ძლიერ შეასუსტებს შეფენების პასუხისმგებლობას. რაც მათი პასიურობის საბაბი გახდება.

ეს ნაკლოვანებები მთლიანად დაადასტურა ჩვენმა სასამართლომ, რომელიც როგორც აღვნიშნეთ, შეფენების სასამართლოს სახესხვაობაა.

შეფენების სასამართლოს პრინციპს ბევრი არ იზიარებდა გერმანიაში. გაჩნდნენ მისი სერიოზული მოწინააღმდეგეებიც, რომლებიც მოითხოვდნენ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შენარჩუნებას; ამ მოწინააღმდეგეთა გავლენა იმდენად ძლიერი აღმოჩნდა, რომ გასული საუკუნის 70-იანი წლების რეფორმების შედეგად შეფენების სასამართლო მართალია შენარჩუნებული იქნა, მაგრამ საკმაოდ დაბალ რანგში მოგვევლინა და მხოლოდ მცირემნიშვნელოვან საქმეებსა განიხილავდა.

3. რას ნიშნავს ნაფიც მსაჯულთა სასამართლო და რით განსხვავდება იგი შეფენების სასამართლოსაგან?

ნაფიც მსაჯულთა სასამართლო, ისე როგორც შეფენების სასამართლო, მართლმსაჯულების განხორციელებაში ხალხის მონაწილეობის ერთ-ერთი ფორმაა. სასამართლოს მსაჯულები (შეფენები) და ნაფიცი მსაჯულები სამეფო (სახელმწიფო) მოსამართლისაგან განსხვავებით, ხალხის წარმომადგენლები არიან. ვარაუდობენ, რომ ნაფიც მსაჯულთა სასამართლო ინგლისში ჩაისახა, თავდაპირველად სწორედ აქ არსებობდა წესი, რომლის თანახმადაც, დანაშაულის ჩადენაში ბრალდებულ პირს გაამართლებდნენ თუ რამდენიმე კაცი დაიფიცებდა მისი არაბრალეულობის შესახებ. შემდგომში, ნაფიც მსაჯულთა სასამართლო დაიხვეწა და დამკვიდრდა სხვა ქვეყნებშიც.

ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ფუნდამენტური მახასიათებელი, რომლის გარეშეც სასამართლო ვერ ჩაითვლება სასამართლოდ, ესაა ფუნქციების გამიჯვნა ნაფიც მსაჯულთა და პროფესიონალ მოსამართლეთა შორის. ნაფიცი მსაჯულები პროფესიონალ მოსამართლისაგან დამოუკიდებლად და მის გარეშე წყვეტენ ფაქტის საკითხს, ხოლო იურიდიულ საკითხს, უფრო ზუსტად, ნაფიც მსაჯულთა მიერ დადგენილ ფაქტებს, იურიდიულ შეფასებას აძლევენ ერთპიროვნულად მოსამართლე. თუ მსაჯულებსა და მოსამართლეს შორის ფუნქციები არაა გამიჯნული და საქმის განხილვის პროცესში წამოჭრილ ყველა საკითხს ერთობლივად წყვეტენ მსაჯულები და მოსამართლე — ასეთ სასამართლოს არ შეიძლება ვუწოდოთ ნაფის მსაჯულთა სასამართლო. თუ ამ თვალსაზრისით შევხვდავთ ვეროპის ქვეყნებში დღეს მოქმედ სასამართლოებს, აღმოჩნდება, რომ ბევრი მათგანი სინამდვილეში არაა ნაფიც მსაჯულთა სასამართლო, თუმცა, ტრადიციის თუ ინერციის (ან ორივესი ერთად) ძალით; ისინი ნაფიც მსაჯულთა სასამართლოდ იწოდება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება გავაკეთოთ დასკვნა: მსაჯულთა რიცხვის (რაოდენობის) გაზრდა ექვსამდე, თორმეტამდე, ან უფრო მეტად, ვერასდროს ვერ მოგვცემს ნაფის მსაჯულთა სასამართლოს, თუ არ მოხდება ფუნქციების გამიჯვნა ნაფიც მსაჯულებსა და მოსამართლეს შორის. ეს იგივე შეფენების სასამართლოა ერთიანი კოლეგიის შენარჩუნებით, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ ასეთ შემთხვევაში უბრალოდ კოლეგიაა გაფართოებული.

4. ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს უდავოდ აქვს მთელი რიგი უპირატესობანი შეფენების სასამართლოსთან შედარებით. ერთ-ერთი ასეთი უპირატესობა მდგომარეობს იმაში, რომ იგი კიდევ უფრო განამტკიცებს სასამართლოს

დამოუკიდებლობას, როგორც საკანონმდებლო, ისე აღმასრულებელი ხელისუფლებისაგან.

ნაფიც მსაჯულთა სასამართლო ყველა სხვა სასამართლოზე უკეთ უზრუნველყოფს მსაჯულთა აქტიურობას, ქმედითობას. მსაჯულები, რომლებმაც დამოუკიდებელი ფუნქცია უნდა შეასრულონ, საგანგებო ყურადღებით მოეკიდებიან ყველაფერს, რაც ამ ფუნქციის შესრულებას შეუწყობს ხელს. საქმე ხომ ადამიანის ბედს ეხება.

ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ერთ-ერთი უპირატესობა ის დიდი ნდობაა, რასაც ხალხი უცხადებს ასეთ სასამართლოს იმის გამო, რომ იქ მათი წარმომადგენლები მონაწილეობენ.

ნაფიც მსაჯულთა უპირატესობაზე მეტყველებს ისიც, რომ ასეთი სასამართლოს შემადგენლობაში მყოფი ადამიანები, ისეთივე პირობებში ცხოვრობენ და მოღვაწეობენ, როგორშიც ბრალდებული ან მხარეები.

5. მიუთითებენ აგრეთვე ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს სხვა მნიშვნელოვან უპირატესობებზე, მაგრამ, ამავე დროს, აღნიშნავენ ნაკლოვანებებსაც, რომლებიც მას ახასიათებს.

ეს ნაკლოვანებები შემდეგია:

— ფაქტის გამიჯვნა სამართლებრივი საკითხისაგან დაკავშირებულია სერიოზულ სიძნელებთან. ეს პროფესიონალ იურისტებსაც ძალიან უჭირთ. მართლაც, არის თუ არა ფაქტის საკითხი ბრალდებულის ბრალეულობა? ნაფიცი მსაჯულები, როგორც ცნობილია, წყვეტენ საკითხს „დამნაშავეა — არაა დამნაშავე“, „ბრალეულია — არაა ბრალეული“, იმისათვის, რომ ეს საკითხები გადაწყვიტო, ხომ უნდა იცოდე რას თვლის კანონი ბრალეულად ან დანაშაულად, რომელი კონკრეტული ფაქტი მიუთითებს უტყუარად განსასჯელის ბრალეულობაზე და სხვა.

— ნაფიცმა მსაჯულებმა არ იციან სასამართლო პროცესისა და სასამართლო წარმოების წესები და მოქმედებენ თავიანთი ინტუიციით მტკიცებულებათა შეფასების დროს. ამიტომ, მათ გამოაქვთ არამოტივირებული (დასაბუთების გარეშე) ვერდიქტი, რის გამოც ვერ ხერხდება მისი ლოგიკური შემოწმება.

ამასთან დაკავშირებით, ინტერესმოკლებული არ იქნება ცნობილი გერმანელი სწავლული იურისტის იერინგის მოსაზრება: სამართლებრივი ცოდნა, სასამართლის ცოდნის გარეშე — წერდა იგი, — რომელიც შეიძლება შეიძინო მისი შესწავლით კანონიერების გრძობის გარეშე, რომელიც შეიძლება განავითარო პროფესიით, პასუხისმგებლობის შეგნების გარეშე, რომელიც მხოლოდ თანამდებობითაა განპირობებული, დამოუკიდებელი მსჯელობის უნარის გარეშე, რომელიც ვითარდება პრაქტიკით, ვარჯიშით — ნაფიცი მსაჯულები „კეთილი ადამიანებია, მაგრამ ცუდი მუსიკოსები“, უუნარო მოსამართლეები არიან.

— მხარეს შეუძლია განაცხადოს უმოტივო აკილება ნაფიცი მსაჯულის მიმართ, რაც ართულებს მათი შერჩევის შესაძლებლობას. უფრო მეტიც, ამას წინაშე რუსულად თარგმნეს და გამოსცეს „ავსტრალიის სამართლებრივი სისტემა“, რომლის ავტორები მიუთითებენ მიუეკრძოებელი ნაფიცი მსაჯულებისაგან ჟიურის შედგენის სიძნელებზე, როცა პრესა ან ინფორმაციის სხვა საშუალებები ისეთ რეკლამას უკეთებენ ამა თუ იმ დანაშაულს, რომელიც მთელი საზოგადოების აღშფოთებას იწვევს. სხვათაშორის, ეს ავსტრალიელი იურისტები იზიარებენ მოსაზრებას, რომ მართალია, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს აქვს ბევრი ნაკლოვანება, მაგრამ საჭიროა ამ სასამართლოს გაუმჯობესება და არა მისი ანულირება.

გამოთქმულია აგრეთვე სხვა მოსაზრებები ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს წინააღმდეგ, მაგრამ ერთ-ერთ მოსაზრებაზე უფრო დაწვრილებით უნდა შევჩერდეთ, რადგან იგი უშუალოდ ჩვენც გვეხება.

საყოველთაოდაა აღირებული, რომ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შემოღება გულისხმობს იმ საზოგადოების კულტურული განვითარების შესაფერის დონეს, რომელშიც ამ სასამართლომ უნდა იფუნქციოს. იგი გულისხმობს, აგრეთვე, საზოგადოების მართლშეგნების სათანადო დონესაც, რადგან მსაჯულები სწორედ ამ საზოგადოებიდანაა შერჩეული, შესაბამისმა გამოკვლევებმა გვიჩვენებს (ეს დასტურდება უბრალო დაკვირვებითაც), რომ ჩვენი საზოგადოების მართლშეგნების დონე ძალიან დაბალია. დაბალი მართლშეგნება ბევრ რამეში ვლინდება, მაგრამ ჩვენთვის, ამ შემთხვევაში, მნიშვნელობა აქვს ორ რამეს: საზოგადოების გარკვეულ ნაწილს დანაშაულად არ მიაჩნია ზოგიერთი ისეთი ქმედება, რაც სინამდვილეში დანაშაულად არის მიჩნეული და იმსახურებს სისხლის-სამართლებრივ სასჯელს. თავისთავად ცხადია, რომ გამამართლებელი ვერდიქტების გამოტანა ასეთ შემთხვევებში გარანტირებულია. აღსანიშნავია ისიც, რომ ზოგიერთ ქმედებას საზოგადოებრივი აზრი გადაჭარბებული სიმკაცრით აფასებს.

საზოგადოებრივი აზრის უაღრესად დაბალ დონეზე მიუთითებს აგრეთვე მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით გაგრძელებული ცნობები მოსახლეობის მიერ ცალკეულ დამნაშავეთა თვითგასამართლებისა და ჩაქოლვის (ლინჩის) შესახებ. ცხადია, რომ ასეთ მოუწესრიგებელ, აფორიაქებულ და აღშფოთებულ საზოგადოებაში ძალიან გაძნელებული მიუკერძოებელი ნაფიცი მსაჯულებით ყიურის შედგენა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება გავაკეთოთ შემდეგი დასკვნები: ა) ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს უპირატესობა შეფენების სასამართლოსთან შედარებით ეჭვს არ უნდა იწვევდეს; ბ) ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ბევრ დადებით თვისებასთან ერთად აქვს ნაკლოვანებანიც, რომლებიც ყოველმხრივ შესწავლილი და გაანალიზებული უნდა იქნეს ასეთი სასამართლოს შემოღების საკითხის გადაწყვეტისას; გ) ნაფიცი მსაჯულების სასამართლოს შემოღება აუცილებლად გულისხმობს აგრეთვე მის მორგებას ჩვენი ხალხის ხასიათზე, ტრადიციებზე და მართლშეგნების დონეზე.

6. ბოლოს ერთი საკითხი: ხომ არ არსებობს შეფენების სასამართლოს სხვა ალტერნატივა, ე. ი. ხომ არ შეიძლება შევქმნათ ისეთი სასამართლო, სადაც არ გვეყოლება არც სახალხო მსაჯული, არც ნაფიცი მსაჯული და საქმეს გააჩრევს ერთპიროვნულად პროფესიონალი მოსამართლე, ან ზოგიერთი კატეგორიის საქმეებზე — ასეთი მოსამართლეების კოლეგია.

ეს საკითხი რომ გადაუწყვიტოთ, უნდა შევისწავლოთ, თუ რისთვის იყო შემოღებული მსაჯულების ინსტიტუტი საერთოდ, და არის თუ არა დღეს მათი საჭიროება. ეს კი უთუოდ მომავალი მსჯელობის საგანია.

იროდიონ სურგულაძე

კანონის იურიდიული ბუნება *

უმნიშვნელოვანესი თვისება, რომლითაც თანამედროვე სახელმწიფო არსებითად განსხვავდება აბსოლუტური მონარქიის რეჟიმისაგან, არის კანონის ბატონობა, როგორც ახალი დროის სახელმწიფოს ძირითადი დამახასიათებელი მომენტი.

თანამედროვე სახელმწიფო უფლებრივი სახელმწიფოა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ კანონი მის ცხოვრებაში უმაღლესი ავტორიტეტის მატარებელი ძალაა. თანამედროვე სახელმწიფოში არსებულ სამ ხელისუფლებას შორის საკანონმდებლო ხელისუფლება აუცილებლად ბატონობს ორ დანარჩენზე. ეს იმით, რომ თანამედროვე სახელმწიფოში იგი, თავისი სტრუქტურის მიხედვით, მოწოდებულია გამოხატოს სახელმწიფოს საერთო ნება და კანონს მისცეს ის შინაარსი, რომელიც მცხოვრებთა უმრავლესობის ინტერესებს შეესაბამება. ესაა პირველი პრინციპი, რომელსაც ეყრდნობა ახალი დროის სახელმწიფო.

მაგრამ ეს პრინციპი რომ პოლიტიკურ სინამდვილედ იქცეს, აუცილებელია სახელმწიფო ხელისუფლების ერთგვარი დიფერენციაცია; საჭიროა სახელმწიფოს მთლიანი ხელისუფლება ერთ ორგანოში კი არ მოემწყვდეს, არამედ დანაწილდეს სხვადასხვა ორგანოებს შორის, სახელმწიფოს წყობილებაში გატარდეს *séparation des pouvoirs*. ამგვარად, თანამედროვე სახელმწიფო ორ მთავარ პრინციპზეა აგებული: ესაა, ერთი მხრივ, კანონის ბატონობა და მეორე მხრივ, ხელისუფლების დანაწილების პრინციპი.

სულ სხვა თვისებებით ხასიათდება ის პოლიტიკური რეჟიმი, რომელსაც აბსოლუტიზმს უწოდებენ. ძირითადი მომენტი, რომელიც აბსოლუტური მონარქიის იურიდიულ ბუნებას ახასიათებს, იმაში გამოიხატება, რომ აქ სახელმწიფოს მთელი ფუნქციები მონარქის ხელშია. ერთსა და იმავე დროს, მონარქი გამოსცემს კანონებს, განაგებს ქვეყანას და ჰქმნის მართლმსაჯულებას; მონარქი აქ სუვერენული ხელისუფლების მატარებელი ერთადერთი ორგანოა, სახელმწიფოს მმართველობის ყველა ძაფი მასში, როგორც ფოკუსში იყრის თავს და მისგანვე იღებს უფლებრივ ძალას.

თავისთავად ცხადია, რომ ასეთი პოლიტიკური რეჟიმის დროს შეუძლებელია ხელისუფლების დანაწილების პრინციპის სახელმწიფოს ცხოვრებაში გატარება. მეორე მხრივ, ამ გარემოებიდან ლოგიკური ზუსტილებლობით გამომდინარეობს ის ფაქტი, რომ აბსოლუტიზმის დროს კანონი მოკლებულია იმ უმაღლეს ავტორიტეტს, რომელიც მას თანამედროვე სახელმწიფოში პოლი-

* სანიმუშო ლექცია, წაკითხული თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 1923 წლის 28 თებერვალს.

ტიკური ცხოვრების ძირითად ფაქტორად ჰქმნის. ეკვვარეშეა, კანონი როგორც აბსტრაქტული და ზოგადი ხასიათის ნორმა, ცნობილი იყო *aneien regim*-ის დროსაც; მაგრამ ამ შემთხვევაში საკანონმდებლო მოქმედება უფრო ტექნიკური მიზანშეწონილობის მოსაზრებებით იყო ნაკარნახევი, ვინემ თვით კანონის იურიდიული მნიშვნელობის, მისი უმაღლესი ავტორიტეტის შეგნებით, საქმე ისაა, რომ არცერთ საზოგადოებრივ ორგანიზაციას არ შეუძლია თავისი მმართველობის განხორციელება მხოლოდ ინდივიდუალური და კონკრეტული ხასიათის განკარგულებებით, როგორც ამას სამართლიანად აღნიშნავს იერიჩვი, ერთ აბსტრაქტულ ნორმას შეუძლია ათასი ინდივიდუალური განკარგულების მაგვირობა გასწიოს და ამიტომ თვით ხელისუფლების საკუთარი ინტერესი — ძალთა ეკონომია, შრომის გაადვილება და სხვა — აიძულებს მას ინდივიდუალური და კონკრეტული განკარგულებების სისტემა აბსტრაქტული და ზოგადი ნორმების უფრო მიზანშეწონილი ფორმით შეცვალოს.

აბსოლუტიზმის დროს კანონი სწორედ ამგვარ ფუნქციას ასრულებდა. ცენტრალური ხელისუფლების მიმართ ის მოკლებული იყო რაიმე ძალას და სავალდებულო მნიშვნელობას, აბსოლუტურ მონარქიაში კი ის იყო მმართველობის უბრალო ტექნიკური საშუალება, უფრო მიზანშეწონილი, მაგრამ იმავე ირიტების მატარებელი, როგორც მმართველობის ინდივიდუალური აქტი, სრულის თანხმობით იმდროინდელ პოლიტიკურ სინამდვილესთან, ძველი რეჟიმის სახელმწიფო სამართლის დოქტრინა არავითარ განსხვავებას არ ხედავს კანონსა და ინდივიდუალურ განკარგულებას შორის მათი იურიდიული მნიშვნელობის მხრივ; როგორც ერთი, ისე მეორე — მონარქის ნების გამომხატველია და მათი შესრულების სავალდებულობა მეფის სუვერენობის პრინციპიდან გამომდინარეობს; მონარქის სურვილი თავისთავად უკვე კანონია.

ამგვარად, ძველი რეჟიმის წეს-წყობილების ფარგლებში კანონი და მთავრობის განკარგულება მხოლოდ იმით განსხვავდება ერთიმეორისაგან, რომ პირველი მათგანი აბსტრაქტულ და ზოგად ნორმას გამოხატავდა, მეორე კი ინდივიდუალურ და კონკრეტულ შინაარსს ატარებდა; რაც შეეხება განსხვავებას მათი გამოქვეყნების წესის, ან მით უმეტეს, მათი იურიდიული მნიშვნელობის მხრივ, იგი ძველი რეჟიმის იურისპრუდენციისათვის უცნობი რამ იყო. ზოგადი ნორმების ანუ კანონის გამოცემა ძველი რეჟიმის დროსაც აუცილებელი იყო სახელმწიფო ხელისუფლების ნორმალური მოქმედებისათვის, მაგრამ ყოველ კერძო შემთხვევაში, როდესაც ზოგადი ნორმა ამა თუ იმ მიზეზით ზღუდავდა მონარქის მოქმედების სრულ თავისუფლებას, უკანასკნელს შეეძლო კანონის გაბათილება ინდივიდუალური განკარგულებით. კანონი ამგვარად უძლური იყო მონარქის ძალაუფლების წინააღმდეგ, რადგან სწორედ ამ ძალაუფლების შეუზღუდველობა, მისი ზეკანონური ხასიათი შეადგენს *aneien regim*-ის არსებით თვისებას.

დიდი რევოლუციის შემდეგ ეს მდგომარეობა ძირეულად იცვლება. რევოლუციური დოქტრინა ორი მთავარი წყაროდან სარგებლობს, ერთი მხრივ, მონარქის სუვერენობის იდეას ის უპირისპირებს სახალხო სუვერენიტეტის პრინციპს. მხოლოდ ხალხს ან მის მიერ არჩეულ წარმომადგენლებს აკუთვნება საკანონმდებლო ფუნქციას და ამ წესით გამოცემული კანონი, როგორც სახელმწიფოს უზენაესი ორგანოს ნების გამომხატველი, ალტურვილი უმაღლესი ავტორიტეტით, სავალდებულოა არა მარტო მოქალაქეთათვის, არამედ სახელმწიფო ხელისუფლების სხვა ორგანოებისთვისაც. მეორე მხრივ, რევოლუციური დოქტრინის ძირითად მოთხოვნებს შეადგენს ხელისუფლების დაწაფი-



ლების პრინციპი, საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების ერთობაზე დაყრდნობაზე. ამ ორი პრინციპიდან გამომდინარეობს ის ცნება კანონისა, რომელიც შემუშავებულ იქნა რევოლუციური დოქტრინით და რომელიც საფუძვლად უნდა დაედოს კანონის თანამედროვე ფორმალურ კონსტრუქციას.

ერთი მხრივ, საკანონმდებლო და აღმასრულებელი ორგანოების დიფერენციაცია თავისთავად იწვევს ფორმალურ განსხვავებას კანონსა და მთავრობის განკარგულებას შორის, პირველი მათგანი საკანონმდებლო, მეორე კი — აღმასრულებელი ხელისუფლების ნების გამოხატველია. ფორმალური თვალსაზრისით. კანონი ისეთი მოთხოვნაა, რომელიც გამოცემულია საკანონმდებლო ორგანოს მიერ; ყოველი აქტი, ექნება მას ინდივიდუალური თუ ზოგადი ნორმის ხასიათი, თუ კი ის გამოქვეყნებულია საკანონმდებლო წესით საკანონმდებლო ორგანოს მიერ, კანონის თვისებას ატარებს. ამის მიხედვით, ვერცერთი სხვა ორგანოს განკარგულებას კანონს ვერ დაუფიქსებთ. მეორე მხრივ, სახალხო სუვერენიტეტის იდეა, რომელიც უდიდეს როლს თამაშობს რევოლუციურ დოქტრინაში და კანონმდებლობაში, თავისებური შინაარსი შეაქვს კანონის ცნებაშიც. ეს პრინციპი გულისხმობს, რომ უზენაესი ძალაუფლება სახელმწიფოში თვითონ ხალხს ეკუთვნის და ამიტომ, კანონი, რომელიც ხალხის ან მის მიერ არჩეული ორგანოს ნებისყოფას გამოხატავს, უმაღლესი ავტორიტეტის და მნიშვნელობის მატარებელია, ვინემ მთავრობის განკარგულება; უკანასკნელს მხოლოდ იმდენად აქვს სავალდებულო ხასიათი, რამდენადაც იგი არ ეწინააღმდეგება საკანონმდებლო წესით გამოცემულ ნორმას. ამაში გამოიხატება ის პრინციპი, რომელსაც სახელად კანონის უპირატესობითი მნიშვნელობა ეწოდება. ეს პრინციპი არ უნდა იქნეს გაგებული იმ აზრით, თითქოს კანონი ქვეშევრდომისათვის უფრო სავალდებულო იყოს, ვინემ მთავრობის განკარგულება; სახელმწიფო ხელისუფლების ყოველი გამოაშკარავება, კანონიერ ფორმებში ჩამოყალიბებული ერთგვარად, და, სახელდობრ, აუცილებლად სავალდებულოა მოქალაქეთათვის; სახელმწიფო ერთგვარად უზრუნველყოფს თავის აქტების სავალდებულო ძალას, რომელ ორგანოსაც არ უნდა ეკუთვნოდეს ეს აქტები. არა სახელმწიფოს ურთიერთობაში მოქალაქეებისადმი, არამედ საკანონმდებლო და აღმასრულებელი ორგანოების ურთიერთდამოკიდებულებაში აშკარავდება კანონის უპირატესობითი მნიშვნელობა: კანონი მხოლოდ კანონითვე შეიძლება იქნეს შეცვლილი, შეჩერებული, ან აუთენტურად განმარტებული; მთავრობის არცერთ განკარგულებას—არ შეუძლია რაიმე შესწორება შეიტანოს კანონის შინაარსში ანდა შეაჩეროს მისი მოქმედება. აქედან ის დასკვნა გამომდინარეობს, რომ მთავრობის ყოველ განკარგულებას კანონს დამორჩილებული ხასიათი აქვს; მართლაც, თუ კანონის შეცვლა ან გაუქმება მხოლოდ კანონს შეუძლია, ეს იმას ნიშნავს, რომ მთავრობის განკარგულებას მხოლოდ იმდენად აქვს იურიდიული მნიშვნელობა, რამდენად იგი არ ეწინააღმდეგება კანონს.

აზრი იმის შესახებ, რომ მთავრობის განკარგულებას კანონს დამორჩილებული ხასიათი აქვს, სახალხო სუვერენიტეტის პრინციპის უშუალო შედეგია, მაგრამ პოლიტიკურ სინამდვილეში, მისი მთლიანი განხორციელება იმთავითვე არ მომხდარა. ამ მხრივ, საინტერესოა რეტროსპექტული აღდგენა იმ ევოლუციისა, რომელიც ამ იდეამ განიცადა, კერძოდ, საფრანგეთში, სადაც იგი ევროპის კონტინენტზე პირველად წარმოშვა რევოლუციურმა მოძრაობამ. თითქმის სულ უკანასკნელ დრომდე საფრანგეთის როგორც ადმინისტრაციულ პრაქტიკაში, ისე ადმინისტრაციული სამართლის დოქტრინაშიც გამეფებული იყო აზრი,



რომლის მიხედვით არსებობს მთავრობის განკარგულებათა მთელი დარგი. რომლის დამახასიათებელ თვისებას მათი ზეკანონური ხასიათი შეადგენს. ამ აქტების სახით ადმინისტრაციულ მეცნიერებას ეწოდა აღმასრულებელი ხელისუფლების ისეთი მოქმედება, რომელსაც უმთავრესად განსაკუთრებული პოლიტიკური მიზანი ახასიათებდა, სახელმწიფოს ცხოვრებაში, დოქტრინის მიხედვით, ხშირად არის ისეთი მომენტები, როდესაც აღმასრულებელი ხელისუფლება, საზოგადოებრივი ცხოვრების არსებობის და მშვიდობიანობის უზრუნველსაყოფად, მიმართავს ისეთ ზომებს, რომლებიც მოქალაქეთა უფლებებს ზღუდავს. ასეთი ზომების გამართლებას საზოგადოებრივი ცხოვრების განსაკუთრებული მდგომარეობა იძლევა, და ისინი ზეკანონურ ხასიათს ატარებს. აღმასრულებელი ხელისუფლება, რასაკვირველია, პასუხისმგებელია ასეთი ზომებისათვის პოლიტიკურად, მაგრამ შეუძლებელია ამ ზომების, სხვა ადმინისტრაციული აქტების მსგავსად, სასამართლო-სადმინისტრაციო წესით გასაჩივრება ან გაუქმება.

როგორც პრაქტიკაში, ისე თეორიაში ამ საკითხის შესახებ უკანასკნელ დროს არსებითი გარდატეხა მოხდა. პოლიტიკური აქტები, თანამედროვე შეხედულების მიხედვით, სრულებით არ ატარებს რაიმე განსაკუთრებულ ხასიათს. ლაფერიე, დიუვი, ბერტელემი და სხვები ერთხმად აღნიშნავენ, რომ არ არსებობს არავითარი განსხვავება მათი იურიდიული მნიშვნელობის და ძალის მხრივ პოლიტიკურ და უბრალო ადმინისტრაციულ აქტებს შორის; როგორც ერთს, ისე მეორეს მხოლოდ იმდენად აქვს სავალდებულო ხასიათი, რამდენადაც ისინი არ ეწინააღმდეგებიან კანონს.

არსებობს კიდევ ერთი მოვლენა თანამედროვე სახელმწიფოს ცხოვრებაში, რომელიც, პირველი შეხედვით, ეწინააღმდეგება კანონის სუვერენობის პრინციპს. ჩვენ მხედველობაში გვაქვს ეგრეთწოდებული საგანგებო ბრძანებები. უკანასკნელთა დამახასიათებელი თვისება იმაში გამოიხატება, რომ მათ შეუძლიათ შეცვალონ, შეაჩერონ ანდა აუთენტურად განმარტონ კანონი. ამის და მიუხედავად, საგანგებო ბრძანებათა ინსტიტუტი არ ეწინააღმდეგება კანონის ბატონობის პრინციპს; და ეს იმიტომ, რომ ერთი მხრივ, აღმასრულებელი ორგანოს მიერ მათი გამოქვეყნება შესაძლებელია მხოლოდ დამფუძნებელი ხელისუფლების სპეციალური დელეგაციის ძალით, მეორე მხრივ-კი, მათ ყოველთვის პროვიზორული ხასიათი აქვთ და განსაკუთრებული მდგომარეობის შეცვლის შემდეგ, როდესაც შესაძლებელი ხდება საკანონმდებლო ორგანოს ნორმალური მოქმედება, განსაკუთრებული ზომა განსახილველად საკანონმდებლო ორგანოს უნდა წარედგინოს; უკანასკნელს შეუძლია იგი უარყოს, ანდა დაამტკიცოს და კანონის ძალა მისცეს, ამ შემთხვევაშიც, კანონის სუვერენული ძალა შეუბღალავი და ურყევი რჩება.

ზემოაღნიშნულიდან შესაძლებელია რამდენიმე დასკვნის გაკეთება, ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ ხელისუფლების დანაწილების პრინციპიდან ლოგიკურად გამომდინარეობს ფორმალური განსხვავება კანონსა და მთავრობის განკარგულებას შორის; ამ ნიადაგზე შესაძლებელია კანონის წმინდა ფორმალური კონსტრუქცია; ფორმალური თვალსაზრისით, კანონი ეწოდება ყოველ აქტს, რომელიც საკანონმდებლო ორგანოს მიერ იქნება გამოცემული; თავისთავად ცხადია, რომ კანონის და მთავრობის განკარგულების ფორმალურ განსხვავებას საკანონმდებლო და აღმასრულებელი ორგანოების ერთიმეორისაგან გამოყოფა უდევს საფუძვლად; ეს განსხვავება მხედველობაში იღებს არა კანონის შინაგან ბუნებას, არამედ სახელმწიფო ორგანოების სხვადასხვაობას და თუ

კანონის ასეთ ფორმალურ კონსტრუქციას ერთგვარი მნიშვნელობა აქვს იური-
დიული პრაქტიკისათვის, იგი სრულებით არაფერს გვეუბნება იმ თვისებაზე,
რომლითაც კანონი ხასიათდება თავისთავად.

როგორც ზევით აღვნიშნეთ, სახალხო სუვერენიტეტის იდეას უფრო განს-
ხეავებული შინაარსი შეაქვს კანონის ცნებაში. დიდი რევოლუციის დედაპირი
იმაშია, რომ მან მეფის სუვერენული უფლებები სახალხო სუვერენიტეტის
პრინციპით შეცვალა; სახელმწიფო ხელისუფლების ერთადერთ ბატონ-პატრო-
ნად ამიერიდან მხოლოდ ხალხი ითვლება, სახელმწიფოს ყოველი აქტი მისი
ნების გამოხატველია, სახელმწიფოს ყოველი ორგანო მის სურვილს ემორჩი-
ლება და ცხოვრებაში ატარებს. პრინციპულად, ამგვარად, სახელმწიფო ხე-
ლისუფლების არცერთი ფუნქცია არ შეიძლება რომ სუვერენული ერის კომ-
პეტენციის დამოუკიდებლად არსებობდეს, სახელმწიფოს მთელი ძალა-უფლე-
ბა საესეებით მოთავსებულია ერში, როგორც იურიდიულ მთლიანობაში. რამდენ-
ადაა პრაქტიკულად მოსახერხებელი ხალხისთვის თავისი სუვერენული უფ-
ლებების უშუალოდ განხორციელება? როგორც მონტესკიე, ისე რუსო აღი-
არებდნენ, რომ შეუძლებელია ხალხის მიერ უშუალოდ ან წარმომადგენლო-
ბითი ორგანოს საშუალებით აღმასრულებელი ფუნქციის შესრულება; ამავე
აზრს იზიარებდა რევოლუციური პერიოდის დოქტრინა და კანონმდებლობა.
თუკი აღმასრულებელი ფუნქცია სუვერენული ხალხის უშუალო მოქმედების
ფარგლებს გარეშე რჩება, მეორე მხრივ კი საკანონმდებლო ხელისუფლება
ერთადერთი დარგია, სადაც სუვერენულ ერს შეუძლია თავისი ნების შესრუ-
ლება უშუალოდ ან წარმომადგენლების საშუალებით, თავისთავად ცხადია,
საკანონმდებლო ორგანო, როგორც სუვერენული ხასიათის მატარებელი, უპი-
რატეს ადგილს იჭერს სახელმწიფო წყობილებაში, და ამ ორგანოს ყოველი და-
დგენილება, როგორც სახელმწიფოს სუვერენული ნების გამოხატველი, მეტ.
ავტორიტეტით, მეტი იურიდიული მნიშვნელობით არის აღჭურვილი. როგორც
ზემოთ ვთქვით, ამ თვისებას იურიდიულ მეცნიერებაში კანონის უპირატესო-
ბით მნიშვნელობას უწოდებენ. ზემოთმოყვანილი მსჯელობიდან ადვილი გა-
საგებია, რომ ეს თვისება სახალხო სუვერენიტეტის პრინციპის შედეგია. ად-
ვილი დასამტკიცებელია, რომ ამ თვისებასაც მხოლოდ იმდენად აქვს მნიშვნე-
ლობა, რამდენადაც მხედველობაში გვაქვს კანონის ფორმალური ცნება, რომ
კანონის უპირატესი მნიშვნელობა არა კანონის შინაგან იურიდიულ ბუ-
ნებას აღნიშნავს, არამედ ლოგიკურად გამომდინარეობს საკანონმდებლო ორ-
განოს განსაკუთრებული უპირატესი მნიშვნელობიდან სახელმწიფო წყობი-
ლებაში. ამგვარად, ის განსხვავებული მომენტი, რომელიც სახალხო სუვერე-
ნიტეტის იდეას შეაქვს კანონის ცნებაში, დამახასიათებელია მხოლოდ კანონის
ფორმალური კონსტრუქციისათვის.

ყველა ზემოთმოყვანილის შემდეგ შესაძლებელია კანონის მთლიანი ფორ-
მალური განმარტება: **ფორმალური თვალსაზრისით კანონი ეწოდება ყოველ**
აქტს, რომელიც სახელმწიფოს სუვერენული, საკანონმდებლო ორგანოს მიერ
არის გამოცემული და, რომელსაც აღმასრულებელი ხელისუფლების აქტებთან
შედარებით, უპირატესი მნიშვნელობა აქვს.

კანონის მართო ფორმალური კონსტრუქცია საკმარისი არ არის და ეს რომ
ნათელგყოთ, საჭიროა შემდეგ მოვლენას მივაქციოთ ყურადღება: ყველა ის
აქტი, რომელსაც საკანონმდებლო ორგანო ასრულებს თავისი კომპეტენციის
ფარგლებში, ერთფეროვან სახეს როდი ატარებს. პირიქით, შინაგანი იურიდი-
ული ბუნების მხრივ, ისინი არსებითად განსხვავდებიან ერთიმეორესაგან.

ზოგადი ხასიათის ნორმებთან ერთად, საკანონმდებლო ორგანოს აქტი თავის საგნად ხშირად ინდივიდუალურ საგანს ან მოვლენას ასახავს. მაგალითად, საკანონმდებლო ორგანოს დადგენილება სახელმწიფოს უძრავი ქონების გაყიდვის ინდივიდუალური კონცესიის გაცემის შესახებ და სხვა. საკანონმდებლო ორგანოს აქტების ასეთი სხვადასხვაობა ადვილი გასაგებია, თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ სახელმწიფოს ცენტრალური ორგანოების კომპეტენციის ფორმალური განსაზღვრა მთლიანად როდი თანაბრობს შესაფერი ფუნქციების მატერიალურ ცნებას; ხშირად ესა თუ ის საკითხი საკანონმდებლო ორგანოს კომპეტენციაში შედის არა იმიტომ, რომ ამას საკანონმდებლო ფუნქციის მატერიალური ცნება მოითხოვს, არამედ საკითხის განსაკუთრებული პოლიტიკური მნიშვნელობა აუცილებლად ხდის მის განხილვას საკანონმდებლო წესით; არა იურიდიული, არამედ პოლიტიკური ხასიათის მოტივები თამაშობენ გადაწყვეტ მნიშვნელობას. როგორც ყოველთვის, ისე ამ შემთხვევაშიც, დაუშვებელია იურიდიული და პოლიტიკური თვალსაზრისის ერთმანეთში არევა. წმინდა თეორიულმა გამოკვლევამ ასეთ შემთხვევაში გვერდი უნდა აუაროს პოლიტიკური მოტივებით ნაკარნახევ მოსაზრებებს.

საკანონმდებლო ორგანოს აქტები სხვადასხვა ხასიათს ატარებს, თუ რა მიზეზებით არის გამოწვეული ეს სხვადასხვაობა, იურიდიულ მსჯელობას არ აინტერესებს; მისი მიზანია ამ განსხვავებას იურიდიული განმარტება მისცეს. ცხადია, რომ ფორმალური თვალსაზრისი აქ უკვე საკმარისი არ არის, ვინაიდან, საკითხი ეხება არა სხვადასხვა ორგანოს აქტებს, არამედ ერთი და იგივე ორგანოს აქტების სხვადასხვაობას. იურიდიული მსჯელობა ამ შემთხვევაში მიზნად ისახავს, ამ სხვადასხვაობის საფუძველი შესაფერი აქტების იურიდიულ ბუნებაში გამოიხატოს. საკითხის ამგვარად დასმით ჩვენ თავისთავად გადავივარტ კანონის მატერიალურ ცნებაზე.

აზრი იმის შესახებ, რომ აუცილებელია კანონის ფორმალური და მატერიალური ცნების ერთიმეორისაგან განსხვავება ჩაითვალოს *communis opinio doctorum*; ლაბანდი, ანშუცი, გ. მეიერი და ელინეკი გერმანიაში, ესმენი, დიუგი, პლანიოლი, არტურ და ორიუ საფრენგეთში, ამ განსხვავებას საფუძვლად უდებენ თავის შეხედულებას კანონზე. თუ კი ეს განსხვავება თითქმის საყოველთაოდ მიღებულად უნდა ჩაითვალოს, სამაგიეროდ, საკითხი იმის შესახებ, თუ რას წარმოადგენს კანონი მატერიალური თვალსაზრისით, როგორი ძირითადი კონსტიტუციური თვისებებით ხასიათდება იგი, ერთგვარ გაღაჭრას როდი პოულობს თანამედროვე იურიდიულ ლიტერატურაში. მიუხედავად ამისა, ამ აზრთა სხვადასხვაობაში შესაძლებელია საერთო მომენტების აღმოჩენა, რაც საფუძვლად უნდა დაედოს კანონის მატერიალურ კონსტრუქციას.

ფორმალური თვალსაზრისიდან განსხვავებით, კანონის მატერიალური ცნება შინაგანი იმანენტური ბუნების ანალიზიდან გამოდის და ამ მხრივ, იგი კანონის ძირითად თვისებას იმაში ხედავს, რომ უკანასკნელი ყოველთვის ობიექტური სამართლის ნორმას გამოხატავს. თავისთავად ცხადია, რომ ასეთი უშუალო დამოკიდებულების მიხედვით, კანონი თავის შინაგან ბუნებაში იმეორებს ყველა იმ მომენტს, რომელიც დამახასიათებელია ობიექტური სამართლის ნორმისათვის; ორი მთავარი თვისება ახასიათებს სამართლის ნორმას: ეს არის, ერთი მხრივ, მისი ზოგადი, საერთო და მეორე მხრივ, მისი რმპერატიული ხასიათი. აქედან თავისთავად გამომდინარეობს, რომ კანონის მატერიალური ცნება აუცილებლად შეიცავს ამ ორ თვისებას. რომ მატერიალური თვალსაზრისით, კანონი საერთო ხასიათის ნორმაა, რომელიც იმპერატიული

თვისებით არის აღჭურვილი. ეს ორი მომენტი ცალ-ცალკე უნდა იქნეს განხილული, ვინაიდან, თითოეული მათგანი დაკავშირებულია მთელ რიგ სპეციალურ საკითხებთან.

თავდაპირველად შევჩერდებით კანონის საერთო ხასიათზე. ამ თვისების მიხედვით, კანონი ისეთ ბრძანებას (disposition) შეიცავს, რომლის მნიშვნელობა არ ისაზღვრება რომელიმე კერძო, ინდივიდუალური მოვლენით, არამედ თავის იურიდიულ ძალას ინარჩუნებს ყველა სხვა ანალოგიური შემთხვევისთვისაც, კანონი ზოგად ხასიათს ინარჩუნებს იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც მისი შეფარდება (application), მისი აქტიური ამოქმედება მხოლოდ ერთხელ მომხდარა. ამ მხრივ, იგი არსებითად განსხვავდება ინდივიდუალური განკარგულებისაგან, რომელსაც ყოველთვის კონკრეტული საგანი ან მოვლენა აქვს მხედველობაში და მასთან შეფარდების შემდეგ თავის ძალას ჰკარგავს, ვინაიდან, უკვე მიღწეულია ის მიზანი, რომლისთვისაც იგი გამოცემული იყო. კანონის საერთო თვისებიდან, მეორე მხრივ, თავისთავად გამომდინარეობს მისი აბსტრაქტული ხასიათი; თავისი შინაარსის მხრივ, იგი არ არის დაკავშირებული განსაზღვრულ ინდივიდუალურ საგანთან ან მოვლენასთან.

აზრი იმის შესახებ, რომ კანონის დამახასიათებელ თვისებას მისი საერთო და აბსტრაქტული ხასიათი შეიცავს, თანამედროვე მეცნიერების სპეციალურ მიღწევას როდი შეადგენს; ძველი საბერძნეთის ფილოსოფიაში, კერძოდ, პლატონის და არისტოტელეს სისტემებში ნათლად შეგვიძლია გავარჩიოთ კანონის ასეთი გაგება. ამავე აზრს შუა საუკუნეებში იმეორებს ყველა ის პოლიტიკური მწერალი, რომლებიც მეფის ინდივიდუალურ უფლებას ხალხის სუვერენობის პრინციპს უპირისპირებენ. დიდი რევოლუციის განთიადზე რუსომ განსაკუთრებით მკაფიოდ აღნიშნა კანონის ეს თვისება: „როდესაც მე ვამბობ, რომ კანონის ობიექტი ყოველთვის ზოგად ხასიათს ატარებს, ამით ის მინდა აღვნიშნო, რომ კანონი მოქალაქის მხედველობაში იღებს, როგორც საზოგადოებების აბსტრაქტულ ელემენტს და არასოდეს არ არის დაინტერესებული ადამიანით, როგორც ინდივიდუალური პიროვნებით ან მისი მოქმედების ინდივიდუალური თვისებით“. თანამედროვე იურიდიული მეცნიერების საუკეთესო წარმომადგენლები — ესმენი, დიუგაი, პლანიოლი, არტური, ორიუ, მოლი, გერბერი, გ. მეიერი და სხვანი ერთხმად აღნიშნავენ, რომ საერთო, ზოგადი შინაარსი მატერიალური კანონის ყველაზე უფრო დამახასიათებელ თვისებად უნდა ჩაითვალოს.

თუ დაეუკვირდებით სამართლის იმ ნორმებს, რომლებსაც კანონის ფორმა აქვს მიღებული, ადვილად შევამჩნევთ მათ შორის ისეთ კანონებს, რომლებიც, თუმცა, საერთო და ზოგად ხასიათს ატარებს, მაგრამ, ამასთანავე, გამოცემულია განსაზღვრული ვადით და მხოლოდ იმ ხნის განმავლობაში მათ აქვთ სავალდებულო ხასიათი. ასეთია ყველა ე. წ. დროებითი კანონი. სხვა მატერიალურ კანონებთან ერთად დროებით კანონებსაც მათი შინაარსის საერთო და ზოგადი თვისება ახასიათებს; ერთადერთი განსხვავება მათ შორის იმაში გამოიხატება, რომ ჩვეულებრივი კანონის მოქმედება იმთავითვე განსაზღვრული არ არის და სავალდებულო ხასიათს ინარჩუნებს მანამ, სანამ ახალი კანონით არ იქნება შეცვლილი; დროებითი კანონის მოქმედების ვადა კი გამოცემისთანავე არის აღნიშნული. ამ განსხვავების მიხედვით, ზოგიერთი ავტორი დროებით კანონებს არ თვლის მატერიალურ კანონებად და ცდილობს დროებითი კანონები საკანონმდებლო ორგანოს მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ განკარგულებას დაუახლოვოს. ამ ავტორების აზრით, მატერიალური კანონის



მთლიანი დახასიათებისათვის საკმარისი არ არის მათი შინაარსის ზოგადი საერთო თვისება; მატერიალურ კანონს, ამასთანავე, ახასიათებს მისი მოქმედების დროის განუსაზღვრელობაც. მაგალითად, ესემენი შემდეგნაირად მსჯელობს ამ საკითხის შესახებ: კანონი — ამბობს იგი — შეიძლება განვმარტოთ, როგორც ისეთი წესი, რომელიც დადგენილია მომავალი დროისათვის ვადის განუსაზღვრელად ექვემდებარება, ყოველ სახელმწიფოში არსებობს ისეთი კანონები, რომლებიც გამოცემულია განუსაზღვრელი ვადით, მაგრამ, უმრავლეს შემთხვევაში, აქ ჩვენ საქმე გვაქვს საკანონმდებლო ორგანოს მიერ გამოქვეყნებულ ადმინისტრაციულ აქტებთან; ესემენის აზრით, ასეთი დასკვნა აუცილებელია, თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ კანონი, უპირველეს ყოვლისა, სამართლიანი უფლებრივი ნორმაა; ამიტომ, ძნელი წარმოსადგენია, თუ რატომ უნდა მოუვიდეთ აზრად კანონის ავტორებს ამ ნორმის მოქმედების განსაზღვრა ამა თუ იმ ვადით, ესემენის ამ აზრს, იზიარებენ ბუვიე და გასტონ ჟეზი.

ჩვენი აზრით, ასეთი შეხედულება მოკლებულია საფუძველს. სინამდვილეში არცერთი კანონი არ არის გამოცემული განუსაზღვრელი ვადით. პოლიტიკურ ურთიერთობათა მუდმივი ცვალებადობა თავისთავად გულისხმობს, რომ ყოველი კანონი თავის არსებობაში მჭიდროდ არის დაკავშირებული შესაფერ სოციალურ ურთიერთობასთან. და მაშასადამე, განსაზღვრულია თავის მოქმედებაში. რეალურად, არცერთი კანონი არ არის მარადიულად არსებობის მატარებელი. თუკი ზოგიერთ შემთხვევაში საკანონმდებლო ორგანო იმთავითვე საზღვრავს ამა თუ იმ კანონის მოქმედების ვადას, ეს გარემოება სრულებით არ აიხსნება ამ კანონის იურიდიული ბუნების სპეციფიკური თვისებით. არამედ იგი დამოკიდებულია ან ამ სოციალური ურთიერთობის განსაკუთრებულ შინაარსზე, რომელიც კანონის საგანს შეადგენს ან კიდევ, ნაკარნახევია რაიმე პოლიტიკური მოტივით, მაგალითისათვის შეგვიძლია შევჩერდეთ საბიუჯეტო კანონზე. ჩვეულებრივ, საბიუჯეტო კანონი ერთი წლის ვადით ქვეყნდება და ამ მხრივ იგი, ექვემდებარება, დროებით კანონს წარმოადგენს, თავისი შინაარსის მიხედვით, საბიუჯეტო კანონი ჩვეულებრივ ზოგად და აბსტრაქტულ ხასიათს ატარებს, ვინაიდან, მას მხედველობაში აქვს არა ესა თუ ის ინდივიდუალური საგანი, არამედ სახელმწიფო ცხოვრების ფინანსური მხარე. ამიტომ იგი, შინაგანი იურიდიული ბუნების მხრივ, არაფრით არ განსხვავდება მატერიალური კანონისაგან, რაც შეეხება იმას, რომ ფინანსური კანონი ჩვეულებრივ ერთი წლის ვადით ქვეყნდება. ეს გარემოება იმ მოვლენით აიხსნება, რომელიც ამ კანონის იურიდიული ბუნებისათვის სრულებით არ არის დამახასიათებელი და მისი იურიდიული შემცენების დროს მხედველობაში ვერ მიიღება. საბიუჯეტო კანონის ერთი წლის ვადა უმთავრესად ორი მოტივით არის გამოწვეული: ერთი მხრივ, სახელმწიფოს ფინანსური ცხოვრება იმდენად ცვალებადია, რომ შეუძლებელია უფრო მეტი ხნით შემოსავალ-გასავლის ნავარაუდები ბალანსის წინასწარი გაკეთება; მეორე მხრივ, საბიუჯეტო კანონის მოკლე ვადას ის მნიშვნელობა აქვს, რომ საკანონმდებლო ორგანოს იგი საშუალებას აძლევს, მუდამ კონტროლქვეშ იყოლიოს აღმსრულებელი ხელისუფლება. როგორც პირველი ისე მეორე მოტივი მოკლებულია ყოველგვარ მნიშვნელობას საბიუჯეტო კანონის იურიდიული შემცენების დროს.

ეს აზრი კიდევ სხვანაირადაც შეიძლება დამტკიცდეს, როგორც ცნობილია, საბიუჯეტო კანონშიც არსებობს, ე. წ. მუდმივი ნაწილები, როგორცაა, მაგალითად, სახელმწიფო ვალის პროცენტები, მუდმივი ვადასახადები და სხვა, რომლებიც ყოველწლიურ საკანონმდებლო განხილვას არ საჭიროებენ. ეს-



მენის მსჯელობას რომ მიეყვებოდა, საბიუჯეტო კანონის ორგვარი იურიდიული ლიფტაცია უნდა გავუკეთოთ: სახელდობრ, ბიუჯეტის ის ნაწილი, რომელიც ვადით არ არის განსაზღვრული, მატერიალურ კანონად უნდა ვცნოთ, ხოლო ის ნაწილი, რომელიც ყოველწლიურ საკანონმდებლო განხილვის მოითხოვს, ადმინისტრაციულ განკარგულებად. ამგვარად, ერთი და იგივე კანონი, ერთსა და იმავე დროს, მატერიალური კანონიც არის და ადმინისტრაციული განკარგულებაც. ძნელია, ადამიანი დაეთანხმოს იმგვარ კონსტრუქციას, რომელიც ასეთ შედეგებს იძლევა.

თუ კანონის მოქმედების ამა თუ იმ ვადით განსაზღვრა ან განუსაზღვრელობა არავითარ გავლენას არ ახდენს კანონის იურიდიულ ბუნებაზე, ცხადია, რომ ერთადერთი თვისება, რომელიც ჩვენს მიერ იყო ჭერჭერობით აღნიშნული და, რომელიც დამახასიათებლად უნდა ჩაითვალოს კანონის მატერიალური ცნებისათვის, კანონის საერთო და აბსტრაქტული ხასიათია.

ამ დებულების წინააღმდეგ ხშირად აყენებენ შემდეგ მოსაზრებას; მართალია, რომ კანონს საერთო და აბსტრაქტული თვისება ახასიათებს, მაგრამ, აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ გამოცემული რეგლამენტი ან განკარგულება (Verordnung) ასეთსავე საერთო და აბსტრაქტულ ხასიათს ატარებს; აქედან ის დასკვნა გამოჰყავთ, რომ საერთო შინაარსი ვერ ჩაითვლება კანონის სპეციფიკურ თვისებად.

თავისთავად ცხადია, რომ ამ საკითხის გადაჭრა აუცილებლად მოითხოვს რეგლამენტის ან განკარგულების (Verordnung) იურიდიული ბუნების წინასწარ შემეცნებას. რეგლამენტის ფორმალური განსაზღვრა მეცნიერებაში არ იწვევს აზრთა სხვადასხვაობას; თითქმის ყველა ახასიათებს რეგლამენტს, როგორც ისეთი საერთო ხასიათის განკარგულებას, რომელიც გამოცემულია სახელმწიფოს ამა თუ იმ ორგანოს მიერ, ვარდა პარლამენტისა, ანუ ისეთ განკარგულებას, რომელიც გამოქვეყნებულია არა საკანონმდებლო წესით. ადვილი გასაგებია, რომ ის ავტორები, რომელთაც მიღებული აქვთ კანონის მხოლოდ ფორმალური კონსტრუქცია, როგორც მაგალითად, დიუკროკი, ბედანი, უაკლენი, ოტო მაიერი და სხვა უარყოფენ ყოველგვარ ნათესაობას კანონსა და რეგლამენტს შორის. მაგრამ, ზოგიერთი ის ავტორიც კი, რომელსაც შეგნებული აქვს ფორმალური და მატერიალური თვალსაზრისის სხვადასხვაობა, კანონის იურიდიული ბუნების კონსტრუქციის დროს პრინციპულ განსხვავებას პოულობენ კანონსა და რეგლამენტს შორის. ამ ავტორების აზრით, საერთო და აბსტრაქტული ხასიათი საკმარისი არ არის მატერიალური კანონის კონსტრუქციისათვის. საჭიროა კიდევ სხვა სპეციფიკური მომენტები, რომლებიც კანონის მატერიალურ ცნებაში შედის, და რომლებიც მატერიალურ კანონს პრინციპულად ასხვავებს საერთო ხასიათის ადმინისტრაციული განკარგულების ან რეგლამენტისგან. მაგალითად, არტური შემდეგნაირად მსჯელობს ამ საკითხის შესახებ: კანონი — ამბობს იგი — საერთო ნორმაა, რომელიც აღმასრულებელი ორგანოს რეგლამენტისაგან განსხვავებით, შეზღუდული არ არის უკვე არსებული სამართლის ნორმებით; როდესაც კანონმდებელი ამა თუ იმ ნორმას აწესებს, იგი ამას ჩადის განუსაზღვრელი თავისუფლებით, იგი, ამ შემთხვევაში, სარგებლობს მთლიანი და რადიკალური სუვერენიტეტით. რეგლამენტი კი, არტურის აზრით, თუმცა საერთო ხასიათს ატარებს; მაგრამ აღკუთრებული არ არის რადიკალური სუვერენიტეტით, და ამიტომ, მას კანონს ვერ დავარკმევთ. ასეთი შეხედულება გამოწვეულია ფორმალურ და მატერიალურ თვალსაზრისთა ერთმანეთში არევით. თავის განმარტებაში არტური უფროს საკანონმდებლო პრო-



ცეს ახასიათებს, ვიდრე კანონის იურიდიულ ბუნებას. არტური იმ იდეის მიხედვით გაველენის ქვეშ იმყოფება, რომლის მიხედვით კანონი სახელმწიფოს სუვერენული ორგანოდან გამოდის, და ამიტომ, უნებლიედ, კანონის მატერიალურ განმარტებაში ფორმალური მომენტი შეაქვს.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ადმინისტრაციულ რეგლამენტთან შედარებით, კანონს უპირატესი მნიშვნელობა ახასიათებს, მაგრამ ამასთანავე, ჩვენ ისიც მოვიხსენიეთ, რომ ეს განსხვავება არ არის დამოკიდებული კანონის ან ადმინისტრაციული რეგლამენტის შინაგან იურიდიულ ბუნებაზე, რომ იგი შესაბამისი ორგანოების განსაკუთრებული ხასიათის შედეგია; აქედან კი ცხადია, რომ შინაარსის მხრივ, ფორმალური თვალსაზრისის გარეშე, შეუძლებელია რაიმე განსხვავება აღმოვაჩინოთ მატერიალურ კანონსა და რეგლამენტს შორის. მატერიალური თვალსაზრისით, რეგლამენტი ისეთივე კანონია, როგორც საკანონმდებლო ორგანოს მიერ გამოცემული საერთო ხასიათის ნორმა. ასეთი დასკვნა, ზოგიერთი მეცნიერის აზრით, შესწორებას მოითხოვს. მათი აზრით, მარტო საერთო და აბსტრაქტული ხასიათი არ არის საკმარისი იმისთვის, რომ რეგლამენტმა მატერიალური კანონის მნიშვნელობა მიიღოს. ამიტომ, ყველა საერთო ხასიათის ადმინისტრაციული განკარგულება მატერიალურ კანონს როდი წარმოადგენს, მათ შორის ერთგვარი დიფერენციაციაა საჭირო. ასეთია ლაბანდის თეორია, რომელიც უმნიშვნელო გამონაკლისის გარეშე, მიღებულია მთელ გერმანულ პუბლიცისტიკაში. ზემოთ ჩვენ აღვნიშნეთ, რომ კანონი შესაძლებელია განხილულ იქნეს როგორც ფორმალური, ისე მატერიალური თვალსაზრისით. ლაბანდის აზრით, ეს ორი ეთმანეთისაგან განსხვავებული თვალსაზრისი, აუცილებელია განკარგულების (Verordnung) იურიდიული ბუნების გამოკვლევის დროსაც. ფორმალური თვალსაზრისით, განკარგულება (Verordnung) ეწოდება ყოველ აქტს, რომელიც აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ არის გამოცემული. ფორმალური აქტები შინაარსის მიხედვით ორ ჯგუფად იყოფა: იურიდიულ განკარგულებად — Rechtsverordnung და ადმინისტრაციულ განკარგულებად — Verwaltungsverordnung.

იურიდიული განკარგულება იმით ხასიათდება, რომ ის ყოველთვის იურიდიულ ნორმას აწესებს და, ამიტომ, მატერიალურ კანონს გამოხატავს. ადმინისტრაციული განკარგულება კი მხოლოდ ტექნიკურ ნორმებს, მიზანშეწონილობის წესს შეიცავს და, ამიტომ, მატერიალურ კანონს არ წარმოადგენს, თუმცა, მას ინდივიდუალური განკარგულებისაგან განსხვავებით, საერთო და აბსტრაქტული თვისება ახასიათებს. ამგვარად, ლაბანდის აზრით, საერთო და აბსტრაქტული შინაარსი საკმარისი არ არის კანონის მატერიალური ცნებისათვის. მატერიალური კანონი ამასთან ერთად სამართლის ნორმას უნდა გამოხატავდეს და აღმასრულებელ ორგანოს რეგლამენტს მხოლოდ მაშინ აქვს მატერიალური კანონის ხასიათი, როდესაც იგი იურიდიულ ნორმას შეიცავს.

რას წარმოადგენს იურიდიული სამართლის ნორმა? სამართალი — ამბობს ლაბანდი — თავისთავად გულისხმობს ნების რამდენიმე სუბიექტის არსებობას. რამდენადაც ერთი სუბიექტის ნება განისაზღვრება მეორის ნებისყოფისაგან, მხოლოდ იმდენად არსებობს სამართალი. უკანასკნელს უმთავრესად ის თვისება ახასიათებს, რომ ის მიმართულია კერძო პიროვნებისადმი და ესა თუ ის ცვლილება შეაქვს კერძო პიროვნების იურიდიული მოქმედების სფეროში. თუ კანონი მიზნად პიროვნებათა თავისუფალი მოქმედების განსაზღვრას ისახავს მიზნად, იგი იურიდიულ ნორმას შეიცავს, აქედან ცხადია, რომ აღმასრულებელი ხელისუფლების განკარგულებას იმდენად ექნება კანონის ხასიათი, რამდენა-

დაც ახდენს იგი ზეგავლენას პიროვნების იურიდიულ მოქმედებაზე, მისი ფა-
ვისუფალი მოქმედების სფეროს ავიწროებს თუ აფართოებს. პირიქით, ისევე
განკარგულება, რომელიც აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ გამოცემუ-
ლია მმართველობის ამა თუ იმ საკითხის მოსაწესრიგებლად და რომელიც ამგ-
ვარად არავითარ ზეგავლენას არ ახდენს მოქალაქის უფლება-მოვალეობაზე,
არ ატარებს იურიდიული ნორმის ხასიათს, იგი ვერ ჩაითვლება მატერიალურ
კანონად, ვინაიდან, მისი მოქმედება ადმინისტრაციული აპარატის გარეშე არ
გამოდის, ვინაიდან, იგი არ შეიცავს მოქალაქისადმი მიმართულ ბრძანებას, რა-
იმე ნორმას, რომლის ზეგავლენით ერთგვარ ცვლილებას განიცდიდეს კერძო
პიროვნების იურიდიული status-ი. ასეთია ლაბანდის თეორია. მიუხედავად
იმისა, რომ მას ძალიან გავრცელებული ხასიათი აქვს, იგი ვერ ჩაითვლება ყო-
ველმხრივ დასაბუთებულად. მთავარი ნიშანი, რომლის მიხედვითაც, ლაბანდის
აზრით, განსხვავდებიან ერთმანეთისაგან Rechtsverordnung და Verwaltung-
sverordnung იმაში გამოიხატება, რომ პირველი მათგანი გავლენას ახდენს მო-
ქალაქეთა იურიდიულ მდგომარეობაზე, მეორე კი მმართველობის შინაგან სა-
კითხებს აწესრიგებს და ამიტომ პიროვნების უფლება-მოვალეობაში არავითარი
ცვლილება არ შეაქვს. სინამდვილეში ასეთი განსაზღვრა რასაკვირველია არ
არსებობს; ყოველი განკარგულება, მიუხედავად იმისა, შეეხება იგი ადმინი-
სტრაციული აპარატის მოქმედებას თუ მოქალაქეთა ურთიერთდამოკიდებუ-
ლებას, ერთგვარ გავლენას აუცილებლად ახდენს კერძო პიროვნებაზე.

18
20.2.81

მეორე მხრივ, არსებობს იურიდიული ნორმების მთელი რიგი, რომელიც
მატერიალურ კანონს წარმოადგენს, მაგრამ მათ შინაარსს მოქალაქეთა უფლე-
ბა-მოვალეობის განსაზღვრა როდი შეადგენს; ასეთია ყველა ე. წ. ორგანული
კანონი, როგორც მაგალითად, სამინისტროების ორგანიზაცია, სახელმწიფოს
ადმინისტრაციულ ერთეულებად დაყოფა და სხვ. ეჭვგარეშეა, რომ ყველა ის
იურიდიული ნორმა, რომელიც ამ საკითხებს აწესრიგებს, როგორც ფორმალუ-
რი ისე მატერიალური თვალსაზრისით, ნამდვილ კანონს წარმოადგენს, თუმცა,
მათი უშუალო მიზანი სრულებით არ მდგომარეობს მასში, რომ რაიმე ცვლი-
ლება შეიტანოს პიროვნების იურიდიულ ქმედებაში. დაბოლოს აღსანიშნავია,
რომ ხშირად ერთი და იგივე საკითხი როგორც კანონით, ისე რეგლამენტით გა-
ნისაზღვრება. ასეთია მაგალითად, სამინისტროების ორგანიზაცია; ასეთ შემთ-
ხვევაში არ არსებობს არავითარი განსხვავება კანონის და რეგლამენტის შინა-
არსში; ლაბანდის თეორიის საფუძველზე შეუძლებელია ასეთი იურიდიული
ფაქტების დამაკმაყოფილებელი ახსნა:

ყველა ამ მოსაზრების მიხედვით ლაბანდის კონსტრუქცია უარყოფილ
უნდა იქნეს. ერთადერთი თვისება, რომელიც აუცილებელია მატერიალური
კანონის ცნებისათვის, ეს არის მისი შინაარსის ზოგადი და საერთო ხასიათი,
ცხადია, რომ იმ შემთხვევაში, როდესაც რეგლამენტი ამ თვისებას შეიცავს, იგი
მატერიალურ კანონს წარმოადგენს.

როგორც აღვნიშნეთ, მატერიალური კანონის მეორე თვისებას მისი იმპე-
რატიული ხასიათი შეადგენს. ამით იმის თქმა უნდათ, რომ კანონი შეიცავს ამა
თუ იმ მოქმედების ბრძანებას ან აკრძალვას. ეჭვგარეშეა, რომ უმრავლეს შემ-
თხვევაში, კანონის იმპერატიულ ბუნებაში ნათლად შეგვიძლია გავარჩიოთ კა-
ნონის დოგმატური შინაარსი. ასეთია მაგალითად, სისხლის სამართლის მთელი
მატერიალური ნაწილი. მაგრამ იმ შემთხვევაში კი, როდესაც კანონის დოგმა-
ტურ შინაარსში არ არის აღნიშნული ამა თუ იმ მოქმედების შესრულების
ბრძანება ან აკრძალვა, შეიძლება იმის დამტკიცება, რომ იმპერატიული მომენ-

სამართლის
მეცნიერი
გიგლიოთიძე

ტი აქაც კანონის დამახასიათებელ თვისებას წრმოადგენს. რომ დაემატებოდნენ ამ დებულების კეშმარიტება. აუცილებელია შევჩერდეთ იმგვარ კანონებზე, რომლებშიც იმპერატიული თვისება პირველი შეხედვით არ ჩანს.

ასეთია, უპირველეს ყოვლისა, ყველა ის კანონი, რომელიც მიმართულია არა მოქალაქეებისადმი, არამედ თვით სახელმწიფოს ხელისუფლებისადმი, რომელიც ამგვარად განმარტავს არა კერძო პირების მოქმედების ნორმებს, არამედ იმას თუ რა შეუძლია ან არ შეუძლია გააკეთოს სახელმწიფომ, და რა უნდა გააკეთოს მან. თითქმის ყველა კონსტიტუციაში არის ისეთი ნაწილები, რომლებიც სახელმწიფოს უფლება-მოვალეობას განსაზღვრავს. რა აზრი უნდა მიეცეს ამ ნორმებს? როგორ უნდა წარმოვიდგინოთ, რომ სახელმწიფო თვითონ თავის თავს აძლევს ამ ნორმების სახით ერთგვარ ბრძანებას? ამ ფორმით დასმული ეს საკითხი თანამედროვე სახელმწიფო სამართლის მეცნიერების უძნელეს ამოცანას წარმოადგენს და მისი ასე თუ ისე გადაჭრა დამოკიდებულია იმაზე, თუ რა წარმოდგენა აქვს შემუშავებული ამა თუ იმ მოძღვრებას სახელმწიფო ხელისუფლებაზე. არსებობს სამი ძირითადი ტიპი ამ საკითხის გადაჭრისა. პირველი მათგანი უმთავრესად გერმანიაში არის გავრცელებული, სადაც მის მოთვარ წარმომადგენლად იერინგი და ელიენკი ითვლებიან. ამ ავტორების აზრით, სამართალი მხოლოდ სახელმწიფოში არსებობს, ვინაიდან, იგი ყოველთვის სახელმწიფოს სამართალშემოქმედების ფუნქციის შედეგია; მეორე მხრივ, ყოველი ნორმა, სახელმწიფოს ხელისუფლების მიერ გამოცემული, სავალდებულოა არა მარტო კერძო პირთათვის, არამედ თვით სახელმწიფო ხელისუფლებისათვისაც და ამით უმთავრესად ხასიათდება თანამედროვე უფლებრივი სახელმწიფო. ამ ორ დებულებას შორის აშკარა წინააღმდეგობაა, და ამ წინააღმდეგობის თავიდან ასაცილებლად ეს ავტორები აყენებენ სახელმწიფო ხელისუფლების თვითშეზღუდვის პრინციპს. სახელმწიფო ხელისუფლება — ამბობენ ისინი — სუვერენული უფლებებით არის აღჭურვილი და ამის მიხედვით, შეუძლებელია, რომ რაიმე გარეშე ძალა მას ზღუდავდეს; თუ კი სახელმწიფო ხელისუფლება მაინც შეზღუდულია მის მიერ გამოცემული სამართლის ნორმებით, ეს ამ აზრით უნდა გავიგოთ, რომ სახელმწიფო თავის საკუთარ ინტერესების შეგნებით თვით იზღუდავს თავის თავს.

ეს კონსტრუქცია უფრო ხელოვნური სპეკულაციის შედეგია, ვიდრე რეალური სინამდვილის გაგებით ნაკარნახევი დასკვნა. თანამედროვე სახელმწიფოს წარმოშობის ისტორია ნათლად გვიჩვენებს, რომ სახელმწიფო ხელისუფლების შეზღუდვა არა თვით ამ ხელისუფლების კეთილი სურვილებით იყო გამოწვეული, არამედ აბსოლუტიზმის წინააღმდეგ მკაცრ რევოლუციურ ბრძოლაში სისხლით და მახვილით იყო მოპოვებული. სახელმწიფო ხელისუფლების მისივე სურვილით და ნებისყოფით შეზღუდვა უფრო მირაჟია, ვიდრე რეალობის გამომხატველი აზრი, სინამდვილეში, აქ არც არსებობს რაიმე შეზღუდვა, ვინაიდან სახელმწიფოს, თავისი სუვერენული უფლებების ძალით, ყოველთვის შეუძლია უკუაგდოს კანონით დაწესებული ზღუდე და საზღვარი. ამ მოსაზრებებით იერინგ-ელიენკის კონსტრუქცია უარყოფილ უნდა იქნეს.

სხვაგვარი მოსაზრებებით ასაბუთებს დიუგი თავის მოძღვრებას სახელმწიფო ხელისუფლების კანონით შეზღუდვის შესახებ. დიუგის აზრით, კანონს სავალდებულო ხასიათი აქვს არა იმიტომ, რომ იგი სახელმწიფოს ნებას შეიცავს, არამედ იმიტომ, რომ იგი სოციალური სოლიდარობის პრინციპს გამოხატავს, არსებობს ერთგვარი ობიექტური ნორმა, რომელიც პოზიტიურ სამარ-



თალზე მაღლა დგას და რომელიც ერთნაირად არის სავალდებულო, როგორც ქვეშევრდომთათვის, ისე თვით სახელმწიფოსათვის. კანონი სავალდებულოა არამარტო იმიტომ, რომ იგი ერთგვარ იმპერატივს შეიცავს, არამედ იმიტომ, რომ იგი ობიექტურ ნორმას — სოციალური სოლიდარობის პრინციპს — გამოხატავს, რომელიც თავისთავად სავალდებულოა სახელმწიფო ხელისუფლებისათვის, ვინაიდან იგი არსებობს სახელმწიფომდე და მასზე მაღლა დგას. ასეთია მოკლედ დიუგის კონსტრუქცია. პირადად ჩვენ არც ამ შეხედულებას ვიზიარებთ. სოციალური სოლიდარობის პრინციპი სრულებით არ წარმოადგენს მეცნიერულად დასაბუთებულ უდაო ჭეშმარიტებას; იგი მხოლოდ უბრალო ჰიპოთეზაა, რომელსაც ისეთივე ღირებულება აქვს, როგორც სახელმწიფო სამართლის ყველა სხვა ჰიპოთეზას. შეიძლება სულ სხვადასხვა შეხედულება იქონიოს ადამიანმა იმაზე, თუ რას მოითხოვს სოციალური სოლიდარობა და, როგორი იურიდიული შედეგები გამომდინარეობს მისგან, ვინაიდან, სოლიდარობის პრინციპი მტკიცედ ჩამოყალიბებულ ცნებას როდი წარმოადგენს. იგი სრულებით არ გამომდინარეობს პოზიტიური სამართლის იურიდიული ბუნებიდან, პეტრაჟიციის ტერმინოლოგია რომ ვიხმაროთ, უფრო ინტუიტიური სამართლის დარგს ეკუთვნის. ამიტომ, მას არა ობიექტური, არამედ სუბიექტური ხასიათი აქვს. ასეთ მერყევ სუბიექტურ ნიადაგზე, რასაკვირველია, შეუძლებელია დადებითი კანონმდებლობის იურიდიული ბუნების მეცნიერული კონსტრუქცია.

საკითხის სწორად გადასაჭრელად აუცილებლად საჭიროა სახელმწიფო ორგანოს ცნების წინასწარი განმარტება. შესაძლებელია მხოლოდ ორი პასუხი იმის შესახებ, თუ რას წარმოადგენს სახელმწიფო ორგანო იურიდიული თვალსაზრისით. ერთი შეხედულებით სახელმწიფო ორგანო ფიზიკურ პირებს ეწოდება, რომლებიც ხელისუფლების ამა თუ იმ ფუნქციას ასრულებენ. ასეთი შეხედულება აუცილებლად უარსაყოფია. პოლიტიკურ ცხოვრებაზე დაკვირვება ნათლად გვიჩვენებს, რომ სახელმწიფო ორგანო და ფიზიკურ პირთა ნება ერთნაირ იურიდიულ ღირებულებას როდი წარმოადგენს. ფიზიკური პირი და იურიდიული ორგანო სახელმწიფო ცხოვრების ერთიმეორისაგან განცალკევებულ იურიდიულ ბუნებას ატარებს, მიუხედავად იმისა, რომ ფიზიკური პირები, რომლებიც ამ ორგანოს ფუნქციას ასრულებენ ხშირად ცვლიან ერთმანეთს. და პირიქით, შესაძლებელია, რომ ერთი და იგივე ფიზიკური პირის სამსახურის დროს სახელმწიფო ხელისუფლების მიერ არსებითად შეიცვალოს ამა თუ იმ ორგანოს კომპეტენცია, მისი იურიდიული თვისება. აქედან ცხადია, რომ იურიდიული ორგანო ფიზიკური პირებისაგან დამოუკიდებლად არსებობს. წმინდა იურიდიული თვალსაზრისით, იგი წარმოადგენს სემართლის ნორმების მთლიანობას, რომელიც სახელმწიფოს ნებას გამოხატავს. ეს უკანასკნელი და ფიზიკური პირის ნება ერთი და იგივე როდია. თავისთავად ფიზიკური პირის ნებას არავითარი იურიდიული მნიშვნელობა არას აქვს. უკანასკნელი ამ მნიშვნელობას მხოლოდ მაშინ იღებს, როდესაც იგი სახელმწიფო ორგანოს წარმოადგენს, როდესაც მისი ნება და ამ ორგანოს ნება ერთი და იგივეა. ჩვენ შეგვიძლია ორი მომენტი გავარჩიოთ: ერთი მხრივ, სახელმწიფო ორგანოს ნება და მეორე მხრივ, იმ ფიზიკური პირის ნება, რომელიც ორგანოს ფუნქციას ასრულებს. მათი ნება შეიძლება ერთმანეთს ემთხვეოდეს. მაგრამ ისიც შესაძლებელია, რომ მათ სხვადასხვა მიზნები ამოძრავებდეთ და ამ შემთხვევაში, ჩვენ საქმე გვაქვს იმ მოვლენასთან, რომელსაც ფრანგები აღნიშნავენ როგორც *détournement de pouvoir*; რასაკვირველია, უკანასკნელ შემთხვევაში ფიზი-

კური პირის მიერ შესრულებული აქტი მოკლებულია იურიდიულ მნიშვნელობას.

როდესაც სახელმწიფო ხელისუფლება სამართლის ამ თუ იმ ნორმას აწესებს, ჩვენ ვლაპარაკობთ, რომ მას სავალდებულო იმპერატიული ხასიათი აქვს; ეს იმპერატივი მიმართულია მოქალაქეებისადმი, მაგრამ ამასთანავე, იგი სავალდებულოა თვით სახელმწიფო ხელისუფლებისათვის. რა აზრი უნდა მივცეთ ამ უკანასკნელ გამოთქმას? თავისთავად ცხადია, რომ კანონში გამოხატული იმპერატივი არ შეეხება სახელმწიფო ორგანოებს; ერთი მხრივ, სახელმწიფო ხელისუფლება სინამდვილეში მხოლოდ ამ ორგანოების სახით არსებობს და გარეშე ამ ორგანოებისა იგი არაფერს არ წარმოადგენს; იურიდიული ორგანოები — ეს იგივე სახელმწიფო ხელისუფლებაა; მეორე მხრივ, სამართალი სახელმწიფო ხელისუფლების არსებობის ერთადერთი ფორმაა. იურიდიული თვალსაზრისით, სახელმწიფო ხელისუფლება სახელმწიფოში არსებული უფლებრივი წყობილებაა და ყოველი სამართლის ნორმა სახელმწიფო ხელისუფლების შემადგენელი მომენტი. თუ ეს ასეა, შესაძლებელია სახელმწიფო ხელისუფლების და სამართლის ნორმის ერთმანეთთან დაპირისპირება, მაშასადამე, შეუძლებელია იმის თქმაც, რომ სამართლის ნორმაში გამოხატული იმპერატივი მიმართულია სახელმწიფო ხელისუფლებისადმი. ამ იმპერატივს სულ სხვა რამ აქვს მხედველობაში, ჩვენ აღვნიშნეთ, რომ სახელმწიფო ორგანოების ფუნქციას ფიზიკური პირები ასრულებენ. უკანასკნელთა ნება ხშირად ემთხვევა სახელმწიფოს ნებას, მაგრამ ხშირად განსხვავებულ მიმართულებას იღებს. სამართლის ნორმა, რომელიც სახელმწიფოს უფლება-მოვალეობაზე ლაპარაკობს, თავისი იმპერატივით სწორედ ამ ფიზიკური პირის ნებას შეეხება. მისი მიზანია ეს ნება სახელმწიფოს ნების სწორი გამოხატველი გახადოს და მაშასადამე, აკრძალოს ამ ნების ისეთი მიმართულება, რომელიც სახელმწიფო ხელისუფლებას არ მიაჩნია დასაშვებად. ასეთია ამ საკითხის ერთადერთი, სწორი იურიდიული კონსტრუქცია.

მეორე მაგალითს ამგვარი კანონებისა, რომლებშიც ერთი შეხედვით არ ჩანს იმპერატიული მომენტი, ე. წ. ფაკულტატური კანონები იძლევიან. ასეთი კანონები უმთავრესად სამოქალაქო სამართლის დარგში გვხვდება: სავალდებულო ხასიათს ეს კანონები მხოლოდ მაშინ იღებენ, თუ კი კერძო პირებს შორის, კანონით გარვალისწინებულ საკითხებში არ მოხდა შეთანხმება, ამაში მდგომარეობს მათი განსხვავებული ხასიათი. ერთი შეხედვით, ამგვარ კანონებში გამოხატულ იმპერატივს ფაკულტატური და არა აუცილებლად სავალდებულო ხასიათი აქვს. მაგრამ ასეთი შეხედულება არ არის სწორი. ფაკულტატურ კანონებს ისეთივე სავალდებულო ხასიათი აქვს, როგორც ყველა სხვა კანონს, მაგრამ მათში გამოხატული იმპერატივი, სამოქალაქო სამართლის სხვა ნორმებისაგან განსხვავებით, მიმართულია არა კერძო პირის, არამედ თვით მოსამართლისადმი, რომელსაც იგი ავალდებს სამართლის შესაბამისი ნორმის შეფარდებას იმ შემთხვევაში, როდესაც მხარეებს შორის შეთანხმება არ მოხდა. ამგვარად, ამ შემთხვევაშიც იმპერატიული ხასიათი მატერიალური კანონის ცნებისათვის დამახასიათებელი ის ძალაა, რომლითაც იგი სისრულეში მოდის. მაგალითად: პლანიოლის განმარტებით კანონი ისეთი ნორმაა, რომლის შესრულება ძალით არის უზრუნველყოფილი. ასეთი განმარტება მიუღებელია. ერთი მხრივ, არსებობს მთელი რიგი კანონებისა, რომელთა შესრულების ძალით უზრუნველყოფა მოკლებულია ყოველგვარ აზრს, ასეთია მა-

გალბათად ყველა ის კანონი, რომელიც სახელმწიფო ცენტრალური ორგანოების უფლება-მოვალეობას აღნიშნავს, მეორე მხრივ, ძალა თავისთავად მმართველობის ტექნიკურ მხარეს ახასიათებს, ვიდრე კანონის იურიდიულ ბუნებას.

ზემოაღნიშნულის მიხედვით, ჩვენ შეგვიძლია შემდეგნაირად განვმარტოთ მატერიალური კანონი: მატერიალური თვალსაზრისით, კანონი სამართლის ისეთ ნორმას ეწოდება, რომელსაც საერთო და ზოგადი შინაარსი აქვს და რომელიც იმპერატიულ ხასიათს ატარებს.

გიორგი თოფჩია

სახელმწიფო, როგორც გაუსწორების მოქმედი და დანაშაულობა

ამ ბოლო პერიოდში საქართველოში შეიმჩნევა დანაშაულობის ზრდა, რომელიც მოსახლეობასა და პოლიტიკურ წრეებში ჯერ-ჯერობით დაბნეულობას და განსხვავებულ შეფასებას იწვევს. მიუხედავად იმისა, რომ საზოგადოებამ გარკვეულად ზოგადსააკცობრიო მიმართულება გამოიხატა, დანაშაულობასთან დაპოკიდებულებაში ჯერ კიდევ ტოტალიტარიზმის სტერეოტიპების გავლენის ქვეშაა მოქცეული.

წინამდებარე წერილში საშუალება არ მაქვს შევეხო ამ პრობლემას მთლიანობაში, ამიტომ იძულებული ვარ დაკმაყოფილდე მხოლოდ ერთი პრობლემური სიტუაციის განხილვით. მხედველობაში მაქვს პრობლემათა ის წრე, რომელიც დანაშაულობის შემეცნების პროცესში წარმოიშობა სახელმწიფოს თვალსაზრისის აბსოლუტიზაციის ზეგავლენით.

პრინციპული საკითხი, რომელიც გააზრებულ უნდა იყოს პრაქტიკაში, არის ის, რომ დანაშაულობა და სახელმწიფო, როგორც გაუსწორების ფორმები, ერთნაირია. ეს ფუნდამენტური ფაქტი შემდეგნაირად ვლინდება: სახელმწიფო რაც უფრო აქტიურად უწყობს ხელს გაუსწორებას, მით უფრო ინტენსიურად ვრცელდება დანაშაულობის ძალადობითი ფორმა და მით უფრო აქტიურად უპირისპირდება მას სახელმწიფო.

საზოგადოების ცხოვრების ზედაპირზე სახელმწიფოს და დანაშაულობის ერთიანობა არ ჩანს. უფრო მეტიც, დანაშაულობა და სახელმწიფო ამჟღავნებს თავის არსს და შინაგან ბუნებას სულ სხვა სახით, თუ ისინი დანახულია გაუსწორების პროცესის გარეშე. ამ შემთხვევაში დანაშაულობა და სახელმწიფო მოქმედებს ჩვენზე იმ თვისებებით, რომლებიც აძლიერებენ ფეტიშურ ფვალთახედვას, პრაქტიკაში იწვევენ საწინააღმდეგო შედეგებს.

1. პირველყოვლისა განვიხილოთ დანაშაულობა და მისი ფორმები, ვინაიდან, სახელმწიფოს ფეტიში ვლინდება დანაშაულობის ძალადობით ფორმებთან დაკავშირებით და თავის უმაღლეს წერტილს აღწევს ამ ფორმების შეფა-

სებაში, ამიტომ, საჭირო ხდება ყურადღების გამახვილება სწორედ ამ მომენტებზე.

ძალადობითი დანაშაულობა დანაშაულობის მეორადი ფორმაა ანგარებითი დანაშაულობის შემდეგ, ძალადობითი დანაშაულობის ინტენსიური გავრცელება არა მარტო ფარავს დანაშაულობის იმანენტურ ბუნებას, არამედ სავსებით უარყოფს დანაშაულობის ერთიან მიზეზს — საზოგადოებაში არსებულ გაუცხოებას¹, ძალადობით დანაშაულობაში ჩანს პიროვნების და არა საზოგადოების „ბრალი“, უნდა ითქვას, რომ კრიმინოლოგიურ გამოკვლევათა უმრავლესობა მოქცეულია ამ მახეში — მათი დავის-საგანია მარტო დამნაშავეის პიროვნება. სამწუხაროდ, ქართული მეცნიერებაც ვერ გასცდა ამ ფეტიშს და დღემდე ვერ უპირისპირდება ყოფილ საბჭოთა კავშირში გაბატონებულ ე. წ. კრიმინალური ფსიქოლოგიის დოქტრინას.

ძალადობით ფორმებში დანაშაულობა იმდენად ფეტიშირებულია, რომ სუბსტანციური სქემა „საზოგადოება-დამნაშავე“ გვევლინება შემდეგი მეტამორფოზის სახით: „დამნაშავე — საზოგადოება“. თითქოს დაზარალებულია საზოგადოება, სინამდვილეში კი დაზარალებულია დამნაშავე.

აქ ჩანს დანაშაულობის საინტერესო პარადოქსი, რომლის გაუთვალისწინებლობამ თავის დროზე წარმოშვა ისეთი ირაციონალური ღონისძიებები, რომლებიც მიმართული იყო ე. წ. ორგანიზებული დანაშაულობის წინააღმდეგ. რა არის ამ პარადოქსის საიდუმლოება? თითქოს ძალადობით დანაშაულობაში ჩანს არა სოციალური სფეროს გავლენა, როგორც ანგარებით ფორმებში, არამედ პიროვნული (განზრახ მკვლევლობა, გაუპატიურება, სხეულის მძიმე დაზიანება და სხვ.) და, შეიძლება ითქვას, რომ თვით ცხოვრება, დაბრკოლების გარეშე ხელს გვიწყობს გავამახვილოთ ყურადღება კონკრეტულ ადამიანზე, მის ფსიქოლოგიაზე და სხვა. მაგრამ ძალადობით დანაშაულობაში ადამიანი კი არ ჩანს, არამედ ჩანს გაუცხოების სარკეში მოცემული ადამიანის მრუდე ანარეკლი — საზოგადოებას მოწყვეტილი ადამიანი, მისი აჩრდილი.

წინა პლანზე პიროვნების წამოწევის სახით ძალადობითი დანაშაულობა სცილდება თავის საფუძველს, გაუცხოება „ატყუებს“ საზოგადოებას, რათა დაფაროს ყოველივე იმანენტური, ძალადობითი დანაშაულობა თავისი ფეტიშირებული ბუნებით გვევლინება კონკრეტული ქცევის მიზეზის — ავტორის სახით, ძალადობით ფორმაში დანაშაულობა აღწევს მეტამორფოზის უმაღლეს წერტილს, ამ ფეტიშზე აგებული რეკომენდაცია მთლიანად დაფუძნებულია იმ დებულებაზე, რომ დამნაშავეში ძევს მიზეზი, მასში მოცემულია კონკრეტული ცხოვრების ტრავედია.

ძალადობითი დანაშაულობა, როგორც უკვე ითქვა, მეორადი ფორმაა. ეს იმას ნიშნავს, რომ ანგარებითი დანაშაულობის ზრდას მოჰყვება ძალადობითი დანაშაულობის ზრდა და არა — პირიქით, დანაშაულობის გადასვლა ანგარებითი ფორმიდან ძალადობით ფორმაში ხდება მაშინ, როდესაც ანგარებითი დანაშაულობა საკმარისი არ არის იმისათვის, რომ თავისთავად გამოხატოს გა-

1 ვერ გიდეგ მეტბრამეტე საუქუნეში ჰ. ფანინგერეი „ფიქციის ფილოსოფიაში“ აღნიშნავდა, რომ იურიდიული ცნება არის პრაქტიკული ფიქციის ნაირსახეობა. სამწუხაროდ, ეს უნიკალური დასკვნა კონკრეტული სუბიექტის ილუზიის ახსნაზე იყო აგებული. სინამდვილეში კი საქმე გვაქვს იურიდიული პრაქტიკის იმ თავისებურებასთან, რომელიც ობიექტურად წარმოშობს გარდასახვით ფორმებს და აქედან — ფეტიშს. მოკლედ, იურიდიულ პრაქტიკაში არსებული ფეტიში საფუძვლად უდევს ე. წ. იურიდიული ცნებების პრაქტიკულ ფიქციას. ეს ფაქტი ყველაზე ნათლად ჩანს დანაშაულობის და სახელმწიფოს ურთიერთკავშირში.

უცხოების პროცესი, ე. ი. საკმარისი ფორმა არ არის საკუთრებისადმი უკიდურესად უარყოფითი დამოკიდებულების განვითარებისათვის. ამიტომ ის ვრცელდება ადამიანზე, ხალხი უკვე ერთმანეთში ეძებს „ბრალს“. თუ ანგარებათ დანაშაულობაში კიდევ როგორღაც ჩანს საზოგადოების დაპირისპირება ადამიანისადმი, ძალადობით დანაშაულობაში ეს შერთალი კავშირი მთლიანად იდევნება და დანაშაულობა საბოლოოდ წყდება თავის მიზეზს. დანაშაულობის ძალადობით ფორმებში გაუცხოების ობიექტივაცია არის საზოგადოების მიერ თავის თავიდან კონკრეტულ დამნაშავეზე მთელი სიმძიმის გადატანა. ამით საზოგადოების დაშლა აღწევს ისეთ წერტილს, სადაც თვითონ აღარ ჩანს და ხდება მითითური, ანუ როგორც გერმანელი მეცნიერი შპენგლერი იტყოდა — „არარეალური რეალობა“.

2. ახლა განვიხილოთ გაუცხოების მეორე მხარე — სახელმწიფო.

„სამართლის ფილოსოფიაში“ ჰეგელმა უმართლობის (გაუცხოების) შესწავლის შედეგად დასვა საკითხი სახელმწიფოს და დანაშაულის ერთიანობის შესახებ. მეცნიერების ისტორიაში მან პირველმა მართლსაწინააღმდეგო ქმედება არ წარმოიდგინა უმართლობის ნაირსახეობად. ეს იყო უნიკალური აღმოჩენა, რომელმაც მაშველი ხელი გაუწოდა ნორმატივიზმის კოზმში ჩაფლულ გონს. მისი კონცეფციის თანახმად, უმართლობა არ არის მართლსაწინააღმდეგო ქმედება. პირიქით, უმართლობა მოცემულია მართლსაწინააღმდეგო ქმედების გარეშე, როგორც ამ ქმედების და სახელმწიფოს უზოგადესი სუბსტანცია, მაგრამ ნორმატივიზმის გავრცელებამ ევროპაში გზა გადაუკეტა ამ აღმოჩენას. უკვე მეოცე საუკუნის იურისტებმა კვლავ წარმოიდგინეს უმართლობა, როგორც მართლსაწინააღმდეგო ქმედება, ე. ი. სახელმწიფოს და დანაშაულობის არსებობა დაინახეს ცალმხრივად ანუ მხოლოდ სახელმწიფოს თვალსაზრისიდან. ისინი აღმოჩნდნენ სახელმწიფოს ფეტიშის გავლენის ქვეშ და მისი თვლით დაინახეს დანაშაულობა. ფაქტობრივად, სახელმწიფოს მახეში მოხვედრილ ცნობიერებას დაემართა ის, რაც უნდა დამართოდა. დანაშაულს (დანაშაულობას) მოაცილეს სუბსტანცია (უმართლობა, გაუცხოება) როგორც სახელმწიფოს და დანაშაულის ერთი ფესვი, გააიგივეს სახელმწიფოს მიერ დანახულ მოვლენასთან — მართლსაწინააღმდეგო ქმედებასთან და ამით გამოიყვანეს სახელმწიფო, როგორც ათვლის წერტილი. ამის შედეგად, როგორც მეცნიერებაში, ისე პრაქტიკოსის ცნობიერებაში სახელმწიფო კვლევის გარეშე დარჩა. აქედან გამომდინარე, ღღემდე ღიად დარჩა საკითხი: როგორ ხდება სახელმწიფოს გარდასახვა დანაშაულობის ასახვის გზაზე, რა ფეტიშურ ფორმებს იძენს სახელმწიფო ამ პროცესში?

დანაშაულობის გააზრებაში დასმული პრობლემის გადაწყვეტას დიდი მნიშვნელობა აქვს და ამიტომ მოკლედ უნდა შევეხოთ მას. სახელმწიფოს თვალსაზრისიდან დანაშაულობის მიზეზი მის გარეშე დევს. სოციალური ცხოვრების თვალთახედვით სახელმწიფო, როგორც საზოგადოების ნაწილი, არის გაუცხოების მომენტი, მისი ფორმა, სამშენებლო მასალა, რაც დანაშაულობის საფუძველია. ამ სიბრტყეში დანაშაულობა და სახელმწიფო ერთი ბუნებისაა — ეს ფორმულა გაუგებარია იურიდიული კრიმინოლოგიისათვის და მიუღებელია საბჭოურ წყობაში გაწვრთნილი იურისტის გონებისათვის. მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება: აღნიშნული სახელმწიფოს მხარეები რეალურად არსებობენ და გარკვეულ წინააღმდეგობაში არიან. ეს თავის ზეგავლენას პოულობს დანაშაულობის ასახვის პრაქტიკაში.

სახელმწიფოს გაუცხოების ხელშემწყობი „მისია“, როგორც ვთქვით, თა-

ვის ფარულ გამოხატულებას პოულობს დანაშაულობის ძალადობითი ფორმების გავრცელებაში. ეს პროცესი თავისთავად სახელმწიფოს ილუზიას ბადებს იმის თაობაზე, რომ დანაშაულობის სუბსტანცია ჩამოყალიბდა მის გარეშე, რომ სახელმწიფო არავითარ მიზეზობრივ კავშირში არ არის დანაშაულობასთან. სახელმწიფოს აქტივობის ზრდა გამოწვეულია არა მისი შინაგანი ორგანოების აქტივობით, არამედ იმით, რომ გაუცხოებაში მისი როლი იზრდება. რაც უფრო აქტიურია სახელმწიფოს ზეგავლენა ძალადობით დანაშაულობაზე, მით უფრო მწვავეა დანაშაულობის ძალადობითი ფორმების ზრდაც.

ძალადობით დანაშაულობაში ადამიანი უპირისპირდება ადამიანს იმიტომ, რომ უკვე მოხდა საკუთრებისადმი — და აქედან სახელმწიფოსადმი — დაპირისპირების ფაქტი. სახელმწიფო, როგორც გაუცხოების მომენტი მოცემულია ძალადობით დანაშაულობის მიმართ საწინააღმდეგო ფორმის სახით. რაც უფრო მეტად უწყობს ის ხელს დანაშაულობას, მით უფრო ძლიერია მოჩვენება, რომ სახელმწიფო არავითარ კავშირში არ არის დანაშაულობის ზრდასთან, რომ ბრალი მოცემულია მართო კონკრეტული პირის ორბიტაში.

სახელმწიფო, როგორც გაუცხოების მომენტი, გვევლინება ფეტიშურ ფორმაში — „სახელმწიფო როგორც გაუცხოების დაძლევის სუბიექტი“. როგორც გაუცხოების მომენტი, ის ჩაბმულია სუბსტანციონურ კანონზომიერებაში, ე. ი. გაუცხოების განვითარების პროცესში. როგორც სუბიექტი, სახელმწიფო არსებობს გაუცხოების გარეშე. ამიტომ დანაშაულობის ძალადობითი ფორმა, სახელმწიფოს, როგორც სუბიექტის წინაშე, არსებობს მართო დანაშაულთა რაოდენობის მერყეობის სახით, რაღაც იზრდება ან მცირდება დანაშაულთა რიცხვში. მაგრამ რა იცვლება დანაშაულობაში — ამას სახელმწიფო, როგორც სუბიექტი, ვერ ხედავს. აი, რატომ არის, რომ სახელმწიფო პასიურად მიჰყვება დანაშაულის რიცხვის მერყეობას.² სახელმწიფოს (როგორც სუბიექტის) პრაქტიკაში სიღრმისეული კანონზომიერების პროგნოზი გამორიცხებულია.

როდესაც ლაპარაკობენ ლატენტურობის ზრდაზე, ხშირად მხედველობაში აქვთ სახელმწიფო ორგანოების პასიურობა. სინამდვილეში ასეთი შეფასება უნდა ეხებოდეს სახელმწიფოს ფეტიშურ ფორმას, ე. ი. მის სუბიექტობას. როგორც გაუცხოების მომენტი, სახელმწიფო იწვევს დანაშაულობას. მაგრამ, როგორც სუბიექტი ის ვერ ხედავს ამ ზრდას. ამაში მდგომარეობს სახელმწიფოს შინაგანი წინააღმდეგობა, რომლის დაძლევა გამორიცხებულია, ვინაიდან, აქ საქმე გვაქვს სახელმწიფოს იმანენტურ ბუნებასთან.

3. როგორც ვხედავთ, ძალადობით დანაშაულობაში თავდება სახელმწიფოს ფეტიშის განვითარება: ბრალი საზოგადოებიდან გადადის კონკრეტულ პიროვნებაზე. სახელმწიფო კი, როგორც გაუცხოების მომენტი, გვევლინება გაუცხოების დაძლევის სუბიექტად.

რა პრაქტიკული დასკვნები შეიძლება გაკეთდეს ამასთან დაკავშირებით? დანაშაულობის ძალადობითი ფორმების წინააღმდეგ მიმართულ ღონისძიებას არ შეუძლია მიაღწიოს ეფექტურ შედეგს. ამაზე მიუთითებს დანაშაულობის განვითარების თავისებურება, კერძოდ, დანაშაულობის ანგარებითი ფორმების გადასვლა მის ძალადობით ფორმებში. თუ გავითვალისწინებთ ამ გადასვლას, მაშინ ვასაგები ხდება, რომ პასუხი უნდა ვეძებოთ დანაშაულობის ანგარებით ფორმების გავრცელებაში, აქედან კი — გაუცხოებაში ამ პრობლემის გადა-

2 იხ. გ. თოდრია, კრიმინოლოგიური აზროვნების გარდაქმნის პრობლემები, „მაცნე“, ეკონომიკა და სამართალი, 1989, №1 (რუსულ ენაზე), გვ. 103-105.



წყვეტის აუცილებლობა გვაიძულებს თავიდანვე ყურადღება მივაქციოთ ფორმის საკითხს: 1. რა კონკრეტულ-ისტორიულ ფორმაში არსებობს გაუცხოება რესპუბლიკაში და 2. როგორ უნდა გავზომოთ მისი ზრდა დანაშაულობაში.

გაუცხოების უშუალო მაჩვენებელია ხალხის დაპირისპირება საკუთრებისადმი. ამიტომ, დანაშაულობის, როგორც დაპირისპირების უკიდურესი ფორმის საიდუმლოება იხსნება საკუთრებისადმი დაპირისპირებაში. ეს დებულება ზოგადად არის ჭეშმარიტი და არ ასახავს იმ კონკრეტულ ვითარებას, რომელიც ახასიათებს ჩვენი ხალხის ბედ-იღბალს.


საქართველოში გაუცხოების კონკრეტულ-ისტორიული ფორმაა სოფლად ნესაქმის (გლეხის) გაუცხოება, მისი დაპირისპირება საკუთრებისადმი. დანაშაულობის რაოდენობრივ მხარეზე მოქმედებს სხვადასხვა ფაქტორი, მაგრამ დანაშაულის ზრდის სიდიდე (რომელიც შეიძლება მოცემული იყოს დანაშაულის სხვადასხვა მაჩვენებელში) უშუალოდ დამოკიდებულია გლეხის გაუცხოების ზრდასთან. აქედან გამომდინარე, ადვილად წყდება გაუცხოების გაზომვის პრობლემა.

გაუცხოების ზრდა იწყება სოციალური გადახრების სახით.³ თავის მხრივ, სოციალური გადახრისაგან აიგება დანაშაულობა, ეს უკანასკნელი კი არის სოციალური გადახრების განვითარების მოხსნა, შედეგი. ამიტომ რესპუბლიკაში გლეხის „სოციალური გადახრების“ დაგროვება ფაქტობრივად არის გაუცხოების და მისი ფორმის — დანაშაულობის ცვლილების პულსი.

დასმული საკითხების გადაწყვეტა რთულდება არა მარტო დანაშაულობის განვითარების თავისებურებით, არამედ სახელმწიფოს როლითაც ამ პროცესში. როგორც აღვნიშნეთ, სახელმწიფო გაუცხოების მიმართ იჩენს ორმაგ თვისებას. ეს გარება მოცემულია იმანენტური წინააღმდეგობის სახით და მისი მოხსნა შეუძლებელია, ვიდრე არსებობს სახელმწიფოს აუცილებლობა. ამიტომ, თუ გაუცხოების გაზომვის ამოცანის გადამწყვეტად გამოვა სახელმწიფო ორგანო, დანაშაულის მთლიანი სურათი კვლავ ვერ შეიმჩნევა და, როგორც ყოველთვის, კრიმინოლოგიურ ინფორმაციაში თავს იჩენს სახელმწიფოს გარება.⁴ ამიტომაც საჭიროა ახლავე ჩაეყაროს საფუძველი სოციალური გადახრების შესწავლის საკონსულტაციო ცენტრის შექმნას, რომელიც შეიმუშავებს სტრატეგიულ ინიციატივებს: მაგალითად, დანაშაულობის პრევენციის პრინციპების შემორანდუმს, რომელშიც ჩამოყალიბებული იქნება საქართველოს რესპუბლიკის დამოკიდებულება დანაშაულობის, როგორც გაუცხოების ფორმისადმი; კანონთა პაკეტს დანაშაულობის ზრდაზე კონტროლის შესახებ, სადაც განისაზღვრება დამოკიდებულება იმ კრიმინოგენური სიტუაციებისადმი, რომლის ჩამოყალიბება მოსალოდნელია მომავალში; რესპუბლიკის კრიმინოგენურ რუქას, რომლის საფუძველზე შესაძლებელი გახდება ძირითადი მიმართულებების დასახვა და სხვა. ამ გზით დაგროვილი დელიქტოლოგიური ინფორმაცია იმის სა-

3 იურიდიული მეცნიერების თვალსაზრისით, ე. ი. ფაქტობრივად, სახელმწიფოს თვალსაზრისით, დანაშაულობა არის უფრო საშიში მოვლენა, ვიდრე სოციალური გადახრა. მაგრამ თუ ჩვენ არ მოვექცევით სახელმწიფოს ილუზიის ორბიტაში და შევხედავთ საზოგადოებრივ მოვლენებს განვითარების თვლით, მაშინ მივიღებთ სულ სხვა დასკვნას: სოციალური გადახრა საზოგადოებისთვის უფრო საშიშია, ვიდრე — დანაშაულობა.

4 სამწუხაროდ, შეიდი ათეული წლის განმავლობაში არსებული სხვადასხვა კომისიები ან მეცნიერული ჯგუფები პასიურად აღიქვამდნენ ინფორმაციას დანაშაულობაზე, ვინაიდან, შედიოდნენ სახელმწიფო ორგანოებში ან ამზადდნენ მათთვის ხელსაყრელ რეკომენდაციებს. სამწუხაროდ, ეს უარყოფითი ტენდენცია დღესაც თავს იჩენს.



წინდარი გახდება, რომ მომავალ პარლამენტს ცარიელი ადგილი არ დახვდება. დასკვნის სახით უნდა აღვნიშნო, რომ მარტო სიღრმისეული აზროვნება შესაძლებელია დანაშაულობის გაგებაში არსებული პოზიტიურ-სამართლებრივი, განსჯისუნარიანი მსჯელობის დაძლევა. ასეთ მიდგომას კულტუროლოგიური მიზეზიც აქვს. სამწუხაროდ, ჩვენ ვარსებობთ დიონისურ მდგომარეობაში. სადაც ტყობა კერძო საგნებით, ნორმალური მოვლენაა, ამ კულტურის მატარებელ ადამიანს შეგნებულ არა აქვს არ მარტო ფილოსოფიური (რაც ზედმეტია ამ პირობებში), არამედ ქრისტიანულ რწმენაში მოცემული მონისტური აზროვნების საკაცობრიო გეზიც. მას სწამს არა სუბსტანციის არსებობა („ღმერთი“ — სიმბოლიკის ენით), არამედ თვალწინ მოცემული „არარეალური რეალობა“ (არა „ღმერთი“ — კვლავ სიმბოლიკის ენით). ჯერ-ჯერობით, ხალხი გვეცხადება სახელმწიფოს მრევლად და ამიტომ აქცევს ყურადღებას ცალკეულ დანაშაულთა ემპირიულ მიზეზებს, შემეცნების გარეშე ტოვებს დანაშაულობის ერთიან სუბსტანციას — გლეხის გაუცხოებას და მასზე აგებული მთელი ხალხის უბედურებას, საკითხთა ჩამოთვლა შეიძლება გაგრძელდეს, მაგრამ მაინც მთავარი ისაა, რომ დემოკრატიისაკენ მიმავალ ქვეყანას კაცობრიობა აფასებს არა მარტო პოლიტიკის ან ეკონომიკის კურსის მიხედვით, არამედ იმითაც, თუ როგორი დამოკიდებულება ყალიბდება დანაშაულობისადმი. დანაშაულობაში ფეთქავს საზოგადოებაში არსებული დაპირისპირება და ზედაპირული მიდგომა ამ საკითხისადმი მეტად სახიფათოა, უნდა გვახსოვდეს, რომ დემოკრატიისაკენ სწრაფვა საბოლოოდ იძენს ღირებულებას დაპირისპირებისა და აქედან დანაშაულობისადმი დამოკიდებულებაში.

ირაკლი გომიზუხვილი

დანაშაულობის პრობლემა და თანამედროვეობა

დანაშაულობა თანამედროვე საზოგადოების ერთ-ერთი მწვავე პრობლემაა. იგი დღეს ყველა სახელმწიფოს აწუხებს და ამიტომ მეტ-ნაკლებად ყოველთვის ხვდება მეცნიერებისა და პრაქტიკოსების აქტუალური ინტერესების სფეროში. შევეცდები გავაშუქო ამ პრობლემის ზოგიერთი საკითხი, რაც ალბათ არ იქნება უინტერესო, თუ მხედველობაში მივიღებთ დანაშაულობის მდგომარეობას ჩვენს ქვეყანაში.

1. **დანაშაულობის სოციალური ბუნება.** დანაშაულობის ანალიზის დროს, მისი ობიექტური სურათის მისაღებად, კრიმინოლოგიური კვლევის სპექტრში ხვდებიან ისეთი მნიშვნელოვანი მოვლენები, როგორცაა საზოგადოება, ინდივიდი, სოციალური ჯგუფი, ამ ჯგუფის ინტერესი, ნორმა, რომელიც ემსახურება ამ ინტერესის განხორციელებას. სახელმწიფო და



სამართალი, როგორც ისტორიულად ჩამოყალიბებული საზოგადოებრივი სისტემის ფუნქციონირების უზრუნველყოფის რძულეებითი საშუალებები. აქედან გამომდინარე, დანაშაულობის სწორი ახსნა ალბათ შეიძლება მხოლოდ ამ მოვლენების გათვალისწინებით, რაც ქვემოთ იქნება ნაჩვენები.

ის გარემოება, რომ დანაშაულს ჩადიან საზოგადოების წევრები, ე. ი. საზოგადოებრივი ინდივიდები, მიანიშნებს დანაშაულის ისეთ ნიშანზე, როგორცაა სოციალურობა. ამ გარემოებას ხაზს უსვამს თვით სახელმწიფოც, რომელიც დანაშაულის ქვეშ გულისხმობს მხოლოდ თავისი ბუნებით სოციალურ და, მექანიზმის განხორციელების მხრივ, ფსიქოლოგიურ ქცევას, რომლის სუბიექტი — ადამიანი აცნობიერებს თავისი ქცევის სოციალურ მნიშვნელობას, მის შედეგებს და შეუძლია მართოს ქცევა მისი განხორციელების მომენტში.

უნდა ითქვას, რომ დანაშაული როგორც სოციალური მოვლენა, არ ახასიათებს საზოგადოების განვითარების ყველა ეტაპს. იგი მის აუცილებელ ნიშნად გვევლინება საზოგადოების განვითარების უფრო გვიანდელ სტადიაზე. ისტორიკოსების მოწმობით, საზოგადოების განვითარების ადრინდელ ეტაპზე არ არსებობდა ინდივიდის და საზოგადოების დაპირისპირება, არ არსებობდნენ განსხვავებული ჯგუფური ინტერესები, რაც შესაძლებლობას ქმნიდა გველპარაკა პირველყოფილ საზოგადოებაზე, როგორც ინდივიდის და საზოგადოების ურთიერთობის სრულ ჰარმონიაზე. ეს ჰარმონია, იყო განპირობებული საზოგადოების პრიმიტიული ორგანიზაციით, რომელშიც შენარჩუნებული იყო ბიოლოგიური თანაარსებობის ანაბეჭდები, სადაც კონკრეტული ბიოლოგიური ერთეული არ უპირისპირდებოდა სახეობის ერთიანობას.

ამასთან ერთად, საზოგადოებაში ინდივიდების არსებობის პირობების შეცვლას საზოგადოება მიჰყავდა დიფერენციაციისაკენ, განსხვავებული სოციალური ჯგუფების წარმოშობისაკენ, რომლებსაც გააჩნდათ სპეციფიკური ინტერესები, რასაც თავის მხრივ, მიჰყავდა საზოგადოება სათანადო ნორმატიული დანაწევრებისაკენ. ამ პროცესის შედეგით მიმდინარეობდა ადამიანის ინდივიდუალური განთავისუფლების და მისი საზოგადოებისაგან გამოყოფის, მასში ინდივიდის არსებობის განსაზღვრული წესისაგან გარკვეული თავისუფლების და დამოუკიდებლობის მოპოვების რთული პროცესი.

ინდივიდუალური თავისუფლების ფორმირება საზოგადოებრივი პროგრესის განხორციელების აუცილებელი წინაპირობაა. თავის მხრივ, ასეთი თავისუფლება, არ შეიძლება იყოს გაგებული როგორც ინდივიდის საზოგადოებისაგან აბსოლუტური განთავისუფლების აუცილებლობა. ისტორიულად ამ თავისუფლების მოპოვებასთან ერთად, კონკრეტული ინდივიდი ბევრ შემთხვევაში საზოგადოებისაგან დამოკიდებული რჩებოდა. ამ დამოკიდებულებას ინდივიდები და ცალკეული სოციალური ჯგუფები აღიქვამდნენ ერთი მხრივ, როგორც მათი თავისუფლების განვითარების აუცილებელ პირობას, მაგრამ მეორე მხრივ, — როგორც ამ თავისუფლების გარკვეულ შეზღუდვას. მათი ასეთი წინააღმდეგობრივი დამოკიდებულება აირეკლებოდა სახელმწიფოზე და სა-



მართალზეც, რომლებსაც ისინი უყურებდნენ ერთდროულად, როგორც პოზიტიურ ისე ნეგატიურ საწყისებს.

სახელმწიფოსა და სამართალში ამა თუ იმ საწყისის სიჭარბე ისტორიულად განპირობებულ პროცესს წარმოადგენდა და დამოუკიდებელი იყო ეკონომიკურ, პოლიტიკურ და სხვა ერთმანეთთან დაკავშირებულ ობიექტურ და სუბიექტურ ფაქტორებზე, რომლების გავლენის ქვეშ ყალიბდებოდა ესა თუ ის საზოგადოებრივი და სახელმწიფო წესწყობილება. ამგვარად, დანაშაულობის წყარო უკვე ობიექტურ რეალობას წარმოადგენდა, იმდენად, რამდენადაც ინდივიდს და საზოგადოებას შორის წარმოიშვა გარკვეული წინააღმდეგობა, ამასთან დაკავშირებით, არ შეიძლება არ დავეთანხმოთ ე. დიურკჰეიმს, რომელიც დანაშაულობას თვლიდა საზოგადოებისთვის დამახასიათებელ ნორმალურ მოვლენად და ჩვენს მიერ გამოთქმულ მოსაზრებაში, ინდივიდსა და საზოგადოებას შორის გარკვეულ წინააღმდეგობასთან დაკავშირებით, ჩანს რომ ჩვენც ამ მეცნიერის დასკვნას ვიზიარებთ. ეს გაზიარება პრინციპული ხასიათისაა; რადგან საზოგადოებრივი განვითარებისათვის ინდივიდისა და საზოგადოების უთანხმოება გარდაუვალ ხასიათს ატარებს, და ამდენად, დანაშაულობა გარდაუვალაა ხდება, როგორც ამ უთანხმოების ერთ-ერთი შედეგი საზოგადოებაში, რომლის განვითარება ხდება სახელმწიფოსა და სამართლის არსებობის მეშვეობით და მათი უშუალო ჩარევით საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

თავის მხრივ, ე. დიურკჰეიმი შენიშნავდა, რომ როგორც ძალზე მაღალი, ასევე ძალზე დაბალი დანაშაულის დონე, ნებისმიერი საზოგადოებისათვის არის არანორმალური მდგომარეობა. ასეთი არანორმალურობა, ჩემი აზრით, მავნეა საზოგადოებრივი განვითარებისათვის, რადგან მიუთითებს სახელმწიფოს და საზოგადოებას შორის პოზიტიური და ნეგატიური ელემენტების ოპტიმალური თანაფარდობის დარღვევაზე, ნებისმიერ მხარეს ვითარებიდან გადახრა, ვითარებიდან, რომელიც ერთდროულად ხელს უწყობს საზოგადოებრივი სისტემის სტაბილიზაციას და დინამიურობას, არის მავნებლობა, რომელიც მდგომარეობს საზოგადოების და, მაშასადამე, პიროვნების, როგორც მისი უშუალო მიზნის, განვითარების დამუხრუჭებაში.

ამრიგად, როგორც ვხედავთ, ისტორიულად შექმნილი ერთობლიობა (საზოგადოება, ინდივიდი, სოციალური ჯგუფი, ნორმა, სახელმწიფო, დამნაშაევობა და ა. შ.) მოწმობს იმას, რომ საზოგადოების განვითარებისთვის დამახასიათებელი ამ ელემენტების ერთობლიობიდან არაფერი არ ყოფილა შემთხვევითი და არასპეციფიკური. ყველა ეს ელემენტი არის ობიექტურად აუცილებელი, რადგანაც მხოლოდ მათი კონკურენციით, ბრძოლით, და ამავე დროს, შეხამებით და შეთანხმებით მიმდინარეობს ძნელი საზოგადოებრივ-წინააღმდეგობრივი განვითარების პროცესი. ამ დაკვნის გაკეთებასთან დაკავშირებით შეიძლება წარმოიშვას ერთი მნიშვნელოვანი კითხვა, რომელიც აუცილებლად პასუხის გაცემას მოითხოვს. ეს კითხვა შემდგომში მდგომარეობს: თუ, დანაშაული წარმოადგენს საზოგადოებისათვის ნორმალურ და აგრეთვე გარდაუვალ მოვლენას, უტოპიური ხომ არ იქნებოდა მასთან ბრძოლის რეკომენდაცია, რადგანაც დამნაშაევობა იმდენად ორგანულად არის ჩაქსოვილი საზოგადოებაში, რომ თუ ვეცდებით იმის იქიდან ამოღებას, შეიძლება რეალურად დავდგეთ საფრთხის წინაშე — დავარღვიოთ ობიექტურად ჩამოყალიბებული საზოგადოებრივი განვითარების მთელი სისტემა, რის შედეგადაც, ჯერ ერთი, ჩვენ მაინც ვერ შევძლებთ დამნაშაევობის ლიკვიდაციას, სამაგიეროდ კი ასეთმა



მცდელობამ შეიძლება გამოაწვიოს საზოგადოებრივი განვითარებისათვის ყველაზე დამოუკველი შედეგები. ეს საკითხი ფაქტობრივად შეიძლება ორ ქვესაკითხად დაფყოთ. პირველ საკითხს, დამნაშავეობასთან ბრძოლის აუცილებლობასთან დაკავშირებით, უნდა გავცეს დადებითი პასუხი. მეორე საკითხს, მისი ლიკვიდაციის ცდასთან დაკავშირებით, უნდა გავცეს უარყოფითი პასუხი.

დანაშაულთან ბრძოლას მიზნად აქვს დასახული აცილოს მისი რაოდენობრივი ზრდა იმ მდგომარეობას, რომელიც დაემუქრება საზოგადოებას დესტაბილიზაციით, ქაოსით, მისთვის აქედან გამომდინარე ყველა დამოუკველი შედეგით. ასეთ ბრძოლას შეიძლება გააჩნდეს ორი ასპექტი: იურიდიული და სოციოლოგიური, მაგრამ წამყვანი მათ შორის იქნება სოციოლოგიური ასპექტი, რადგანაც სწორედ დამნაშავეობის სოციოლოგიური კვლევა გვიჩვენებს თანამედროვე საზოგადოებაში მისი არსებობის ობიექტურ გარდუვალობას, მისი კავშირს საზოგადოებისათვის მოსაზღვრე უმთავრეს ცნებების მთელ სისტემასთან. ამიტომ, პირველ რიგში, სოციოლოგიური მიმართულების მიმდევარმა შეიძლება ვვიჩვენოს, თუ როგორი საშუალებებით და რა ფარგლებში შეიძლება და საჭიროა ბრძოლა დანაშაულობასთან, რა ხასიათის ღონისძიებებია აუცილებელი განხორციელდეს იურიდიული სამსახურის მიმართულებით, რა არის საჭირო გაკეთდეს თვით საზოგადოების და სახელმწიფოს მიერ სოციალური და არა მხოლოდ იურიდიული პროგრამების განხორციელების თვალსაზრისით.

მ. თანამედროვე საზოგადოება და დანაშაულობა. XX საუკუნემ მოგვცა თავისებურად უნიკალური მასალა სხვადასხვა ქვეყანაში დანაშაულობის შედარებითი ანალიზის ჩასატარებლად, ვინაიდან, ეს ქვეყნები თავისი სოციალური მრავალფეროვნებით იმდენად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, რომ ამაში მათ შეუძლიათ თავისუფლად გაუწიონ კონკურენცია გარემო სამყაროში არსებულ ბუნების მოვლენებს. ასეთი გამოკვლევები, მათი ჩატარების სირთულეების გამო, ჯერჯერობით წინ მიიწევს მხდელი ნაბიჯებით. შესაძლებლობისდაგვიარად შევეცდები შევეხო ამ პრობლემას და ყურადღება გავამახვილო დამნაშავეობის ფუნქციონირების პირობებზე, მისი მექანიზმის რეალიზაციის შედარებით ანალიზზე, დემოკრატიულად და ავტორიტარულად ორიენტირებულ საზოგადოებრივ სისტემებში. როგორც ცნობილია, დემოკრატიულ ქვეყნებში ლიკვიდირებულ იქნა წოდებითი განსხვავებები მოსახლეობის სხვადასხვა ფენას შორის, რაც თავისთავად არის ამ ქვეყნებში საზოგადოებრივი განვითარების უდიდესი მონაპოვარი. მართალია, ზელმეუხებელი დარჩა კერძო საკუთრების ინსტიტუტი, რომელიც აგრძელებდა წინაპირობების შექმნას საზოგადოებრივი უთანასწორობისათვის, მაგრამ ეს პრობლემა თანამედროვე საზოგადოებაში არ აღმოჩნდა იმ მაღალი კრიმინოგენური პოტენციალის მქონე, რომელიც მას გააჩნდა ბურჟუაზიულ საზოგადოების წარმოშობის ადრინდელ ეტაპზე. ამასთან დაკავშირებით ვფიქრობ, რომ საჭიროება არ მოითხოვს მის განხილვას, როგორც ქვეყნებისა და დანაშაულობის კვლევის საკითხში, როგორც ამას ტრადიციულად აკეთებდნენ მარქსისტები.

ამით სავსებითაც არ მინდა ვთქვა, თითქმის წარმოების საშუალებებზე კერძო საკუთრების პრობლემა არ ქმნის კრიმინოლოგიურ ასპექტში უთანხმოებას კაპიტალსა და შრომას შორის. ლაბარაკია იმაზე, რომ ბურჟუაზიულად ორიენტირებულ საზოგადოებებში კერძო საკუთრების საკითხის კრიმინოლოგიური მნიშვნელობა გარკვეულწილად ნეიტრალდება სოციალური პროგრამებით,

რომლებიც ტარდება როგორც სახელმწიფო, ასევე არასახელმწიფო და რომელთა განხორციელება არის კერძო საკუთრების ინსტიტუტების სახელით განპირობებული ნეგატიური შედეგების სიმწვეავის გამოვლენის შემცირების ერთგვარი გარანტია.

დემოკრატიულ საზოგადოებაში არსებული თავისუფლებების ანალიზი გვიჩვენებს სოციალური ინსტიტუტების (პროფკავშირების, სტუდენტური მოძრაობების, საზოგადოებრივი აზრის და ა. შ.) და თვით სახელმწიფო პოლიტიკის, რომელიც ბევრად არის განპირობებული ამ სახელმწიფოების დემოკრატიული ტრადიციებით, საკმაოდ მძლავრ გავლენას სახელმწიფოზე იმ შემთხვევაში, თუ იგი დააპირებს ხელისუფლების უზურპაციის მცდელობას. ამგვარად, შეიძლება ითქვას, რომ პიროვნება დემოკრატიულ საზოგადოებაში დგას სოციალური პირამიდის თავში, რომლის არსებობის მიზანი და მნიშვნელობა არის პიროვნების კეთილდღეობა და თავისუფლება.

ამასთან ერთად, ჩვენი მხრიდან შეცდომა იქნებოდა ასეთი მდგომარეობის იდეალიზაცია, ყოველ შემთხვევაში, კრიმინოლოგიური პოზიციიდან გამომდინარე, რადგანაც დასახელებულ ქვეყნებში დამნაშავეობის საკმაოდ დიდ გასაქანთან ვვაქვს საქმე. ერთი შეხედვით პარადოქსად შეიძლება მოგვეჩვენოს, რომ, რაც უფრო თავისუფალ საზოგადოებასთან ვვაქვს საქმე, მით უფრო დიდი კრიმინოლოგიური სირთულეების წინაშე დგება ასეთი საზოგადოება. სინამდვილეში ასეთი ვითარება პარადოქსად არ უნდა იყოს აღიარებული და მას სათანადო ახსნა გააჩნია. საქმე ისაა, რომ დემოკრატიული საზოგადოება, მიუხედავად მისი ბევრი დადებითი მხარისა, არ არის იმ ტიპის საზოგადოება, რომელშიც საბოლოოდ გადაწყვეტილია ინდივიდის, საზოგადოების, სხვადასხვა სოციალურ ჯგუფებს შორის უთანხმოების პრობლემა. ეს პრობლემა მრავალფეროვანია და ამ პრობლემის ყველა მხარე გარკვეული კრიმინოლოგიური მნიშვნელობის მქონეა. მათი ჩამოთვლა შორს წავიყვანდა და, ამდენად, ყურადღება მინდა გავამახვილო მხოლოდ ერთ მთავარზე, რომელიც მიმაჩნია, რომ ერთ-ერთი მნიშვნელოვანია ამ თვალსაზრისით, დემოკრატიული საზოგადოების ერთ-ერთი მონაპოვარი და აქედან მისი პროგრესული მნიშვნელობა მდგომარეობს იმაში, რომ მასში მოხერხდა სახელმწიფოს დონეზე ადამიანების თანასწორუფლებიანობის პრინციპის აღიარება, რამაც მისცა მათ სამართლებრივი საშუალება განეხორციელებინათ თავისი ინდივიდუალური მისწრაფებები საზოგადოებრივ და პირად ცხოვრებაში, მაგრამ, როგორც გამოირკვა, ასეთი უფლების მოპოვება იყო მხოლოდ პირველი ნაბიჯი. მეორე ნაბიჯი, რომელიც ჯერაც არ გადადგმულა არცერთ საზოგადოებაში — ეს არის საზოგადოებისა და სახელმწიფოს მიერ ადამიანის ინდივიდუალური, კანონით გათვალისწინებული მისწრაფებების კანონის ფარგლებშივე მთლიანი უზრუნველყოფის გადაწყვეტა. და რაც უფრო პოტენციურად დიდი უფლებები გააჩნდა პიროვნებას, მით უფრო ძნელი ხდებოდა საზოგადოებისათვის და სახელმწიფოსათვის ეს უფლებები კანონიერი გზებით დაეკმაყოფილებინათ.

ეს მომენტი, ჩემი აზრით, არის ერთ-ერთი მთავარი დაბრკოლება თანამედროვე დემოკრატიულ საზოგადოებაში, რომელიც ხელს უწყობს დანაშაულობის მაღალ მაჩვენებლებს. შექმნილი სიტუაციიდან თავის დაღწევის ორი გზა არსებობს: პირველი — ადამიანების თავისუფლების შეზღუდვა, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ისტორიული დაბრუნება ფეოდალურ ხანაში, რაც



მიუღებელია და ისტორიულადაც შეუძლებელი. ამ მიმართულების განხორციელებას კიდევ ერთი შესაძლებლობა გააჩნია, რომელსაც ტოტალიტარიზმი ეწოდება. მეორე — ადამიანის თავისუფლების შეზღუდვის გარეშე საზოგადოების და სახელმწიფოს მხრივ პიროვნების სოციალური დაცვისკენ მიმართული ღონისძიებების გაფართოება და გაძლიერება. ამ ბოლო მიმართულების გათვალისწინებით მიმდინარეობს მუშაობა ყველა მოწინავე ქვეყანაში, რომლებშიც აქტიურ მონაწილეობას იღებენ კრიმინოლოგები. აქვე უნდა ითქვას, რომ ეს მუშაობა არ არის იმდენად ეფექტური, რომ საზოგადოების დაკმაყოფილება გამოიწვიოს. საქმე ისაა, რომ მის ეფექტურობას უშლის ხელს საკმაოდ ბევრი სხვადასხვა ხასიათის სუბიექტური და ობიექტური გარემოება. შეგჩერდები მხოლოდ ორ მათგანზე, რადგანაც ისინი სწორედ მესახებიან სხვებთან შედარებით როგორც უფრო მნიშვნელოვანი. პირველი მათგანია — საზოგადოების და სახელმწიფოს ობიექტურად განპირობებული შესაძლებლობის უქონლობა — სათანადო ღონეზე უზრუნველყოფის სოციალური დაცვის პროგრამები. მეორე მათგანია — სოციალურ-ფსიქოლოგიური ატმოსფერო, სადაც ადამიანის თავისუფლებისაკენ მისწრაფების სიმბოლოებად აღიარებულია, პირველ რიგში, ძაბრიალური სიმბოლოები, რომელთა ფლობაც თანდათანობით თვითმიზნის ხასიათს ღებულობდა, რადგან მაგალითად, ბოლო მარკის ავტომაქანის, ან რაიმე ფუფუნების საგნების ფლობა ინდივიდისათვის პრესტიჟულად ითვლებოდა. და რომ ეს ასეა, ამაზე დღეს მოწმობს ტოტალიტარული ხასიათის მოძრაობა თანამედროვე საზოგადოებაში პრესტიჟული და მოდური საგნების შეძენის მიმართულებით. ამ ფაქტორმა გარკვეულწილად გააუფასურა საზოგადოების და სახელმწიფოს მიერ სოციალური დაცვის ღონისძიებები, რადგანაც ცხადი გახდა, რომ თანამედროვე საზოგადოებაში დანაშაულს (მხედველობაში მაქვს, პირველ რიგში, ანგარების მოტივით ჩადენილი დანაშაული) სჩადიან ისინიც კი, ვინც ჯანონიერ ფარგლებში უზრუნველყოფილი არიან ეკონომიკურადაც და სოციალურადაც.

დემოკრატიულ საზოგადოებასთან შედარებით, ავტორიტარულ საწყისებზე აგებული საზოგადოება (მხედველობაში მაქვს ყოფილი სოციალისტური ბანაკის ქვეყნები) ხასიათდება ძლიერი ცენტრალიზებული ხელისუფლებით და კეშმარტივებაზე სახელმწიფოს მონოპოლიით. ეს არის ერთ-ერთი ნაირსახეობის კლასიკური მოდელი სახელმწიფოს ბატონობისა პიროვნებაზე და ამ პიროვნების თავისუფლების ჩახშობაზე. ასეთი სახელმწიფო პირდაპირ წინააღმდეგობაშია დემოკრატიულად ორიენტირებულ საზოგადოებასთან. თუ დემოკრატიულ საზოგადოებაში დამნაშავეობის წყაროს წარმოადგენს წინააღმდეგობა პიროვნების ინდივიდუალურ მისწრაფებებსა და სახელმწიფოს უუხარობას შორის სამართლებრივი ხერხებით და სხვადასხვა სოციალური პროგრამებით უზრუნველყოს მათი დაკმაყოფილება, ავტორიტარულ საზოგადოებაში, ამგვარ წყაროდ უნდა ჩაითვალოს წინააღმდეგობა თავის იმედებში მოტყუებულ ინდივიდსა და იმ სახელმწიფოს შორის, რომელიც არ აძლევს პიროვნებას საშუალებას — კონსტიტუციურ ფარგლებში მიიღოს მონაწილეობა (ლაპარაკია ფაქტობრივ და არა ფორმალურ მომენტზე) სახელმწიფოსთან ერთად სოციალური, ეკონომიკური და სხვა მნიშვნელოვანი საკითხების დაყენებაში, მათ განხილვასა და გადაწყვეტაში. ავტორიტარულ სახელმწიფოში ამგვარი პრივილეგია გააჩნია მხოლოდ სახელმწიფოს, რომელიც თითქოსდა ხალხის ინტერესებით მოქმედებს, ფაქტობრივად კი მისი პოლიტიკური და სახელმწიფოებრივი

მექანიზმი არის ისეთნაირად აგებული, რომ არავითარ შემთხვევაში არ იყოს დაშვებული ოპოზიციური აზროვნება, თუნდაც მას გააჩნდეს კიდევ უფრო მეტი უფლებები. თავისუფლებასთან დაკავშირებით კონსტიტუციური ფარგლებით გათვალისწინებული აზრები და წინადადებები. თავისუფალი აზრის გამოთქმის ფაქტობრივმა აკრძალვამ პოლიტიზირებული და, ამდენად, ერთფეროვანი გახადა ჰუმანიტარული მეცნიერებები და თვით კრიმინოლოგიაც, რომელიც ვერ საერთოდ იყო აკრძალული, შემდეგ კი ვითარდებოდა სახელმწიფოს მკაცრი კონტროლის ქვეშ. რა თქმა უნდა, ამ შემთხვევაში კრიმინოლოგიური დასკვნები დამნაშავეობაზე, მის გამოძვევებზე და მასთან პრძოლის ზერხებზე და საშუალებებზე წინააღმდეგობა დაპროგრამებული იყო.

კრიმინოლოგიური თვალსაზრისით, საბჭოთა იმპერიის არსებობა შეიძლება დაიყოს ორ ეტაპად. პირველ ეტაპზე — ეგრეთწოდებულ სტალინიზმის ხანაში მძლავრი რეპრესიული აპარატის მეშვეობით იქმნებოდა ადამიანების ერთფეროვანი მასა, სადაც ინდივიდმა, როგორც თავისუფალი და დამოუკიდებელი აზროვნების მქონე სუბიექტმა, ფაქტობრივად შეწყვიტა თავისი არსებობა და გარდაიქმნა რაღაც საშუალო — სტატისტიკურ არსებად, იმდენად გაუღიანოთილი იყო მისი ფსიქიკა მსგავსი პოლიტიკური, ეკონომიკური თუ ზნობრივი შაბლონებით. ცხადია, რომ ასეთი მდგომარეობა ადამიანის ბუნების საწინააღმდეგო იყო და, ამდენად, ხელოვნურად ინარჩუნებოდა სახელმწიფოს მიერ ძალის გამოყენებით და საზოგადოებაში შიშის და საერთო ექვიანობის დამკვიდრებით.

ამ ფონზე კრიმინოლოგიური სურათი ორგვაროვნად გამოიყურებოდა, ერთის მხრივ, ციხეები იყო გატენილი პოლიტპატიმრებით, რომლებსაც ნორმალურ საზოგადოებაში დამნაშავეებსაც ვერ უწოდებდი, მეორე მხრივ, მკაცრი რეპრესიების, საყოველთაო დასმენის შიშით და სახელმწიფო ქონებას ძლიერი დაცვის უზრუნველყოფით, სახელმწიფო სტრუქტურებში ანგარებით დანაშაულებს შედარებით ნაკლები გავრცელება ჰქონდა რაც შეეხება ძალადობის სახით და პირადი ქონების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებს, მათ შინც დიდი გავრცელება ჰქონდათ, რადგან საზოგადოებაში მოსახლეობის საკმაოდ დიდი რაოდენობა ნაკლებად განათლებული და საერთო კულტურის დაბალი დონის მქონე იყო.

საბჭოთა იმპერიის მეორე ეტაპზე, რომელსაც შეიძლება პოსტსტალინიზმის ხანაც ვუწოდოთ, დამნაშავეობის სახე საგრძნობლად შეიცვალა. სახელმწიფო და პარტიულ სტრუქტურებში გავრცელდა მექრთამეობა, სამეურნეო სტრუქტურებში — ქონების დატაცება, სავაჭრო სტრუქტურებში — მომხმარებლის მოტყუება, საყოფაცხოვრებო დონეზე — სპეკულაცია და ა. შ. ერთი სიტყვით, იფეთქა ანგარებითა და დანაშაულობამ და მისი ზრდის ტემპები საგრძნობლად უსწრებდა ძალადობითი ხასიათის დანაშაულებების დინამიკას.


ასეთი კრიმინალური სიტუაციის შეცვლა განპირობებული იყო საზოგადოებაში მომხდარი ცვლილებებით, კერძოდ, ეკონომიკური განვითარების წარუმატებლობის ფონზე საზოგადოებაში ნელ-ნელა იკარგებოდა რწმენა სოციალისტური სტრუქტურების სრულყოფისა. სამოციანი წლების ეკონომიკური რეფორმის ჩატარების ცდამ მთლიანი კრახი განიცადა. დაიწყო ეგრეთწოდებული უძრაობის ხანა, რომლისთვისაც დამახასიათებელი იყო ოფიციალურ დონეზე ფორმალიზმის, ლოზუნგმანიის და სხვა მსგავსი მოვლენების არსებობა. მათი მიზანი იყო ხალხისთვის სახელმწიფოში შექმნილი რეალური

ეკონომიკური მდგომარეობის დამალვა. ფაქტობრივად კი სახელმწიფოში დიდწილად მასშტაბებით გავრცელდა კორუპცია, რომელიც ჩვეულებრივი მოვლენა გახდა ხელისუფლების ყველაზე მაღალ სფეროებში, აქ უკვე აშკარა იყო ყველასათვის კომუნისტური იდეების დევალვაცია. საზოგადოებაში სულ უფრო ღრმად იკიდებდა ფეხს პრაგმატიზმი, მატერიალური ფასეულობებისკენ მიდრეკილება, რომელიც სუბიექტური ფასეულობების იერარქიაში სულ უფრო მაღალ სხეფხურს იკავებდა. ამ პროცესის გაღრმავებამ უფრო მეტად დააბაძა კრიმინოგენური სიტუაცია, რომლის გართულება დღესაც გრძელდება.

როგორც მოკლე ანალიზმა ვეჩვენა, განუსხვავებლად ეტაპებისა ავტორიტარიზმის პირობებში, კერძოდ, საბჭოთა იმპერიაში, პიროვნების და სახელმწიფოს შორის არსებული დიდი წინააღმდეგობანი და სახელმწიფოს მხრივ მათი უგულვებელყოფა, იწვევდა ადამიანების პროტესტს, რომლის ერთ-ერთ ფორმად გამოდიოდა დანაშაული.

მიმაჩნია, რომ, საერთოდ, ჩვენ ლიტერატურაში საკმაოდ და გადაჭარბებულადაც კი არის მოცემული ჩვენი ძნლო წარსულის კრიტიკა და ამიტომ არ ვთვლი საჭიროდ ვრცლად შევეხო ამ წარსულის კრიმინოლოგიურ ასპექტებს. აქ უბრალოდ ხაზს გაუსვამ იმას, რომ საბჭოთა იმპერიაში, რომელშიც სამწუხაროდ შედიოდა საქართველოც, იდეოლოგიური ჩარევის გარეშე არ წყდებოდა დანაშაულობის კრმინოლოგიური შეფასების არც ერთი საკითხი, რაც საბოლოო ჯამში კრმინოლოგიური მეცნიერების განვითარებაზე ძალზე უარყოფით გავლენას ახდენდა.

დღეს უფრო მნიშვნელოვანია ფიქრი მომავალზე, სადაც სოციალური მოვლენების კრმინოლოგიური გააზრება, ალბათ, დაიკავებს თავისთვის შესაფერის არგილს. წინააღმდეგ შემთხვევაში, საზოგადოებაში ვერ განხორციელდება დანაშაულობის სწორი შეფასება და აქედან გამომდინარე, ვერ შემუშავდება საჭირო სოციოლოგიური, სოციალურ-ფსიქოლოგიური, იურიდიული და სხვა ღონისძიებათა სისტემა, რომელიც ხელს შეუწყობს პიროვნების, სოციალური ჯგუფების და სახელმწიფოს ინტერესების შეხამებას. ეს კი აუცილებელია იმისათვის, რომ საზოგადოებაში დანაშაულობა ოპტიმალურ დონეზე იყოს დაყვანილი.



მოთარ შეწინი


სასამართლო ექსპერტიზის ჩოლი სამართლებრივ სასაქონლო

როცა ლაბარაქია სამართლებრივ სახელმწიფოში სასამართლო ექსპერტიზის როლი, უიწარესად, მხედველობაში გვაქვს პრობლემათა კომპლექსურობა, რაც თავისთავში მოიცავს ორგანიზაციულ, სამართლებრივ და მორალურ-ფსიქოლოგიურ ასპექტებს.

ამ პრობლემატიკასთან დაკავშირებით, აქ შეგვჩებნით რამდენიმე მოსაზრებას. საკითხის სამართლებრივი მხარე უნდა გამომდინარეობდეს სისხლის სამართლის პროცესუალური კანონმდებლობის ძირეული რეფორმის აუცილებლობიდან, რამაც უნდა შექმნას გარანტიები სასამართლო-პროცესუალურ შეჯიბრებადობის პრინციპების ცხოვრებაში გასატარებლად, უნდა გათანაბრდეს მხარეთა პროცესუალური უფლებები, შეიქმნას პირობები სისხლის სამართლის პროცესში მტკიცებულებათა გამოვლენის, ფიქსაციისა და კვლევის თანამედროვე მეცნიერულ-ტექნიკური საშუალებებისა და ზეობების დასაწერად. მიზანშეწონილად მიგვაჩნია სისხლის სამართლის პროცესუალური კანონმდებლობის რეფორმის დროს გათვალისწინებულ იქნას შემდეგი წინადადებები:

1. მოქმედი კანონმდებლობის — საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 187-ე მუხლის მიხედვით, ბრალდებული უფლებამოსილია ექსპერტიზის დანიშვნისას აცილება მისცეს ექსპერტს. სინამდვილეში, ბრალდებულის ეს უფლება იგნორირებულია ექსპერტიზის დანიშვნის დროს როგორც გამოძიებლის, ისე სასამართლოს მიერ. საქმე ისაა, რომ ექსპერტიზის დანიშვნის დადგენილებაში (განჩინებაში) მითითებულია საექსპერტო დაწესებულების დასახელება და არა კონკრეტული ექსპერტის სახელი. თუ გავიხსენებთ, რომ სასამართლო ექსპერტიზის უმრავლესობა ტარდება სწორედ საექსპერტო დაწესებულებაში, ცხადი გახდება, რამდენად აქტუალურია ეს საკითხი. არსებული სიტუაციიდან თავდასაღწევად აუცილებლად მიგვაჩნია:

სასამართლო-საექსპერტო დაწესებულებამ წლის დამლევს შეადგინოს თავისი ექსპერტის სრული ნუსხა იმის მითითებით, თუ რა სახის ექსპერტიზის ჩატარება შეუძლია თითოეულ მათგანს. სიები გადაგზავნოს იმ დაწესებულებებში, რომელთაც აქვთ ექსპერტიზის დანიშვნის უფლება; სათანადო ორგანოები გაამრავლებენ ამ სიებს და ხელმისაწვდომს გახდიან თავისი თანამ-



შრომლებისათვის (გამომძიებლების, მოსამართლეების და ა. შ.). საქადრო მდგენლობის შეცვლის კვალობაზე სასამართლო-საექსპერტო დაწესებულება შესაბამის ორგანოებს მიაწვდის დამატებით ინფორმაციას.

2. მიმაჩნია, რომ ხელახალ რედაქტირებას ითხოვს საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 185-ე მუხლი, რომელიც რეგამენტს უწევს გამომძიებლის უფლებას — დაესწროს ექსპერტიზის ჩატარებას. ეს, ცხადია, გამომდინარეობს ექსპერტის დამოუკიდებლობის პრინციპიდან. უნდა გვახსოვდეს, რომ სასამართლო ექსპერტი, სპეციალისტისაგან განსხვავებით, გამომძიებლის თანაშემწე კი არ არის, არამედ იგი დამოუკიდებელი პირია და ემსახურება მარლმსაჯულებას, თავის სპეციალურ ცოდნას ახმარს ჭეშმარიტების დადგენას. ჩვენ წინააღმდეგი ვართ ექსპერტი გადაიქცეს „მეცნიერ-მოსამართლედ“, მაგრამ ისიც მიუღებლად მიგვაჩნია, რომ მასზე გავრცელდეს „მოსამართლის თანაშემწის“ სტატუსი. სწორედ ამიტომ, მიგვაჩნია, რომ აუცილებლად უნდა შეიცვალოს საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 185-ე მუხლის რედაქცია სხვა რესპუბლიკების სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსების შესაბამისად და მიღებულ იქნეს იმ უფლებების ცხადი და ამომწურავი ჩამონათვალი, რომელიც მინიჭებული ექნება გამომძიებელს ჩატარებული ექსპერტიზისათვის.

3. მხარეთა პროცესუალური უფლებების თანასწორობისა და კონკურენციის პრინციპი უნდა აისახოს ექსპერტიზის სამართლებრივ რეგამენტში. ამ მიმართებით სწორი ნაბიჯი იქნება თუ ბრალდებულს, დაზარალებულს და მათ წარმომადგენლებს, აგრეთვე იურიდიულ კონსულტაციას მიენიჭებათ უფლება თავიანთი ინტერესების დასაცავად ჩაატარონ ალტერნატიული ექსპერტიზა. ეს არ ეწინააღმდეგება დასკვნის ობიექტურობის პრინციპს, რამდენადაც, წინასწარგანზრახული, მცდარი დასკვნისათვის ექსპერტი პასუხისმგებელია როგორც გამომძიებლის ან სასამართლოს, ისე კანონის წინაშე. მეორე მხრივ, სასამართლოს ექსპერტიზის დაფინანსების მეურნეობრიობის მართვის ახალ პირობებზე გადასვლისას მსგავსი ექსპერტიზები წაადგებოდა ორგანიზაციის ბიუჯეტს.

ეს საკითხი პრინციპულად შეიძლება გადაწყვეტილიყო არსებული კანონმდებლობის ფარგლებში სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 79-ე მუხლის გამოყენებით, რომელიც სასამართლო მტკიცებულების სტატუსს ანიჭებს წერილობით დოკუმენტს. ამგვარად, მცოდნე პირთაგან სასამართლო ექსპერტიზის დაწესებულებების თანამშრომლებიდან მიღებულა ცნობა, აქტი და ა. შ. საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 79-ე მუხლის გათვალისწინებით, შეიძლება სასამართლომ მიიჩნიოს საბუთად; აქ საკმარისი იქნება სასამართლო-საექსპერტო დაწესებულების დებულებაში შევიტანოთ ცვლილება — მოქალაქეთა ან ორგანიზაციების მოთხოვნით გათვალისწინებულ იქნეს უფლება კვლევის ჩატარებაზე.

4. სისხლის სამართლის პროცესუალური კანონმდებლობის რეფორმის უმნიშვნელოვანესი მიზანია მისი შეხამება მიეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესთან და ტექნიკის მიღწევებთან სწრაფი ადაპტაციის უნარი. დღეს ყველასათვის ცხადია მოქმედი კანონმდებლობის მოუქნელობის წყალობით როგორ ფერხდება და ხელოვნურად იზღუდება სასამართლო-ფონოსკოპიური ექსპერტიზის გამოყენება მართლმსაჯულებაში. სისხლის სამართლის პროცესზე, პიროვნების დაცვასთან ერთად, არ შეიძლება იმ ფაქტის უგულებელყოფაც, რომ

იზრდება ორგანიზებული დანაშაულობა და კრთულდება დანაშაულის ამოცანები.

განხილვის წესით უნდა დაისვას საკითხი, რომ კანონით მკაცრად განსაზღვრულ სიტუაციაში დამზვებელ იქნეს ოპერატიული გზით მოპოვებულ მასალაზე ჩატარებული სასამართლო-ფონოსკოპიური ექსპერტიზის დასკვნების გამოყენება სასამართლო მტკიცებულებების სახით. მთავარია, მასალა ექვემდებარებოდეს ობიექტურ მეცნიერულ კვლევას, რაც დღეს გარანტირებულია ფონოსკოპიური ექსპერტიზის განვითარებით.

ძალზე მნიშვნელოვანია აგრეთვე, პროცესუალური საკითხების გადაწყვეტასთან ერთად, მოგვარდეს შინაური, საორგანიზაციო საკითხებიც.

მოძველებულია და დროის მოთხოვნებს ხშირად ეწინააღმდეგება კიდევ ექსპერტისა და საერთოდ, სასამართლო ექსპერტიზის დაწესებულების მოქმედების შეფასების წესი.

როცა ლაპარაკია „ზოგად“ მაჩვენებლებზე, მხედველობაში აქვთ, თუ რა ზარალი მიაყენა ამგვარმა სტატისტიკამ მრეწველობასა და ეკონომიკას, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ „ზოგადობის“ მოზღვავებამ არანაკლები ზიანი მიაყენა არამატერიალურ წარმოებასაც, მათ შორის, იუსტიციას. დადგა დრო, რათა უარი ვთქვათ ექსპერტიზის ოფიციალური სტატისტიკის ზოგად მაჩვენებლებზე და შემოვიღოთ ისეთი მაჩვენებლები, სადაც გათვალისწინებულ იქნება მათი ხარისხი. შეუქმდებელია წინასწარ დაიდგმოს ექსპერტიზის რაოდენობა. მით უფრო შეუქმდებელია რაოდენობის მიხედვით შეფასდეს მუშაობა. ამოცანად უნდა დავისაზოთ მთლიანი პროფესიონალიზმითა და მაქსიმალური ეფექტიანობით გამოვიყენოთ ექსპერტიზის შესაძლებლობები და მივაღწიოთ იმას, რომ იგი სწრაფად რეაგირებდეს პრაქტიკის მოთხოვნილებაზე.

5. მრავალწლიანმა პრაქტიკამ დაგვანახა, რომ სასამართლო ექსპერტიზის ჩასატარებლად არ კმარა მარტოდენ საბაზო განათლება: სასამართლო ექსპერტიზის კვალიფიციური მუშაკები ვრცელი საერთო-სპეციალური ცოდნის მიღების ნაცვლად, ირჩევენ მეცნიერებისა და ტექნიკის ერთი რომელიმე დარგის შესწავლას.

იმ ცოდნის დაუფლება, რასაც რაიმე დამოკიდებულება აქვს კონკრეტული სახის ექსპერტიზასთან, აგრეთვე გამოკვლევის მეთოდებისა და მეთოდოკების სათანადოდ გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როცა ორგანიზებულად ფუნქციონირებს ექსპერტთა სწავლების და კვალიფიკაციის ამაღლების სისტემა. არსებითი ნაკლოვანებები აქვს ამჟამად დამკვიდრებული მეთოდური მასალების ინდივიდუალური შესწავლის, სტაჟირებისა თუ კურსებზე ექსპერტთა მომზადების პრაქტიკას.

ნაკლებეფექტიანია სპეციალისტის ინდივიდუალური მომზადება, მითუმეტეს, თუ მოცემული საექსპერტო დაწესებულებისათვის ასათვისებელია ექსპერტიზის ახალი სახეობები. გარდა ამისა, საექსპერტო დაწესებულებას არ შეუძლია ექსპერტს მიანიჭოს კვალიფიკაცია და მას ექსპერტის ჩატარება მიანდოს, თუ არ არსებობს სათანადო საკვალიფიკაციო კომისიები. რაც შეეხება სტაჟირებასა და კურსებს, ამჟამად არსებული წესის მიხედვით, მსმენელს მოეთხოვება პქონდეს 1-2 წლის სტაჟი, ამას გარდა, წინასწარ უნდა შეადგინოს 1 წლის სამუშაო გეგმა. თუ მხედველობაში მივიღებთ კურსების არარეგულარულობას, საექსპერტო დაწესებულებას შეუძლია სპეციალისტი სასწავლებ-

ლად მიაგლინოს სამსახურში მიღებიდან 2-4 წლის შემდეგ, ამიტომ, საექსპერტო დაწესებულება ზღუდავს სპეციალისტის გამოყენებას ან კმაყოფილდება არაკვალიფიციური ექსპერტიზით. ექსპერტი სათანადოდ მომზადებულად რომ ჩაითვალოს, სწავლების აუცილებლობა გამორიცხული უნდა იყოს.

რაც შეეხება ექსპერტიზის ჩატარების უფლების მიღებას, ზოგიერთი საბო-რატორიისა და ინსტიტუტის დებულების თანახმად მათ ჰყავთ საექსპერტო-საკვალიფიკაციო კომისიები, რომლებიც უფლებამოსილი არიან მიანიჭონ ცალ-კეული ექსპერტიზის დამოუკიდებლად ჩატარების უფლება, მაგრამ ამ შემთხ-ვევაში კომისია შედგება სხვადასხვა სახის ექსპერტებისაგან, რაც კომისიას არაკომპეტენტურს ხდის.

მიზანშეწონილად მიგვაჩნია, ჩამოყალიბდეს ექსპერტების მომზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების მუდმივმოქმედი კურსები. მსმენელები მიი-ღებიან სასამართლო ექსპერტიზის დაწესებულებიდან განაცხადების მიხედ-ვით. ამასთანავე აუცილებელი იქნება გაიზარდოს სწავლების დასწრებული ფორმის ვადები, ცვლილებები მოხდეს ცოდნის შეფასებაში, სწავლება ჩა-ტარდეს ერთდროულად რამდენიმე ექსპერტ-სპეციალისტთან. კურსის დას-რულების შემდეგ უნდა ჩატარდეს საკვალიფიკაციო გამოცდები იმის გამოსაგ-ლენად, თუ რამდენად დაეუფლა მსმენელი ცოდნას და შესწევს უნარი დამო-უკიდებლად ჩატაროს მითითებული სახის ექსპერტიზა.

ექსპერტების მაღალი კვალიფიციური ცოდნის უზრუნველსაყოფად აუ-ცილებელია პერიოდულად ჩატარდეს ექსპერტების საკვალიფიკაციო ატესტა-ცია, რომელიც გამოავლენს, შესწევთ თუ არა მათ უნარი, გადაწყვიტონ სასა-მართლო ექსპერტიზის ამოცანები.

6. ექსპერტის დასკვნების შეფასება მუდამ გარკვეულ სიძნელეს უქმნის როგორც გამოძიებას, ისე სასამართლოს, რადგან შეუძლებელია ობიექტური შეფასება გააკეთონ პირებმა, რომელთაც არ გააჩნიათ სპეციალური ცოდნა საჭირო მოცულობით.

ექსპერტიზის შედეგების შეფასებაზეა დამოკიდებული, თუ როგორ მო-იხმარს მას გამოძიებელი ან სასამართლო; მიიჩნევენ თუ არა მტკიცებულებად, უგულებელყოფენ თუ რაიმეს იღონებენ მის შესამოწმებლად, დანიშნავენ და-მატებით ან განმეორებით ექსპერტიზას, დაპკითხავენ ექსპერტს და ა. შ. არის შემთხვევები, როცა გამოძიებლის ან სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყ-ვეტილება არ შეესაბამება ექსპერტის შედეგების შეფასებას.

ამასთან დაკავშირებით, მიზანშეწონილია განივრცოს სასამართლო ექს-პერტიზის დაწესებულების ფუნქციები, გამოძიებლებისა და სასამართლოე-ბისათვის მეთოდოლოგიური დახმარების ფორმის პრაქტიკაში დაინერგოს რე-ცენზია ჩატარებული კვლევის სისრულისა და დასკვნის საფუძვლიანობის თვალ-საზრისით.

რეცენზირების მიზანია, გამუდმებით სრულყოს ექსპერტის ოსტატობა და გააუმჯობესოს დასკვნის ხარისხი.

რეცენზირებას, როგორც ექსპერტის დასკვნის ხარისხის კონტროლის ფორ-მას, აქვს თავისი ნაკლიც:

ა) თუ რეცენზენტს ხელთ არ ექნება კვლევის ობიექტი, ვერ შეძლებს ობიექტურად შეაფასოს ჩატარებული გამოკვლევის სისრულე და სისწორე; მას შეუძლია შეაფასოს მხოლოდ კვლევის ყველა მეთოდის გამოყენება და გა-



მოძიების ნაწილის მონაცემების შედეგების მიხედვით დასკვნების დადგენის მაგარამ ეს არ იქნება მოცემული ექსპერტიზის დასკვნის სისწორის დადგენა.

ამგვარად, რეცენზენტი თავს ვერ გაართმევს მის წინაშე დასმულ ამოცანებს.

ბ) რეცენზენტმა თუნდაც გამოაყლინოს ექსპერტიზის ნაკლოვანება, უსაფუძვლოა და შეცდომაა კი, გავლენას ვერ მოახდენს სასამართლო გამოძიებაზე, ექსპერტისაგან გამომდინარე მცდარ გადაწყვეტილებებზე. დასკვნის შეფასების უფლება ენიჭება მხოლოდ გამომძიებელს (სასამართლოს).

გ) რეცენზენტებსაც მოსდით „შეცდომები“ დასკვნის ანალიზის დროს. მაგალითად, დასკვნის რეცენზირების პრაქტიკაში 1987-1989 წლებში ორი შემთხვევა (ლითონისა და ნარკოტიკული ნივთიერებების გამოკვლევა) განიხილეს მეთოდოლოგიურ საბჭოზე.

არის შემთხვევები, როცა სხვადასხვა რეცენზენტი განსხვავებულ შეფასებას აძლევს ერთსა და იმავე დასკვნას.

დ) დასკვნის რეცენზირებისას შეინიშნება ტენდენცია ექსპერტიზის ზედაპირული შეფასებისა და თან ისეთი შენიღბული ფორმით, რომ არასპეციალისტი, მაგალითად, ლაბორატორიის გამგე, ვერ შეაფასებს ექსპერტის პროფესიულ დონეს.

7. საექსპერტო დაწესებულებათა კოოპერატივების შექმნის პრაქტიკის გაფართოებასთან დაკავშირებით, არ არის გამორიცხული, რომ ისინი ჩატარებულ ექსპერტიზას კერძო პირების დაკვეთით, რაც მომავალში წარმოშობს კონკურენციას ექსპერტიზის ჩატარებაში.

როგორც კერძო პირის, ისე გამომძიებლის მიერ ექსპერტის არჩევის შესაძლებლობა და მზარდი მატერიალური სტიმულირება იქნება იმის გარანტი, რომ ამალდება ექსპერტიზის ხარისხი და შემცირდება ჩატარების დრო.

ექსპერტიზის კონკურირებად სისტემას შეუძლია დაეხმაროს სასამართლოს ექსპერტის დასკვნის შეფასებისას, რადგან ბრალდების ექსპერტისა და დაცვის ექსპერტის დაკითხვები უზრუნველყოფს დასკვნის კრიტიკას, ცალკეული დებულების დაზუსტებას, დადასტურებს ექსპერტის დასკვნების სისწორეს.

8. საექსპერტო კოოპერატივების საქმიანობის დადებით მხარეებთან ერთად გაჩნდება ისეთი პრობლემები, როგორცაა პარალელური ექსპერტიზების რიცხვის გაზრდა. მოსალოდნელია, რომ ურთიერთსაწინააღმდეგოა კი გამოდგეს კოოპერატივისა და სასამართლო ექსპერტიზის დაწესებულებების მიერ ჩატარებული ექსპერტიზის დასკვნები.

განმეორებით ექსპერტიზას ყოველთვის როდი შეუძლია გამოასწოროს პირველადი ექსპერტიზის შეცდომები; ამასთან, მტკიცებულების მნიშვნელობით, ისინი თანასწორუფლებიანია ამიტომ, გამომძიებელი (სასამართლო), რადგან თვითონ ვერ შეაფასებს დასკვნის უჭველობას, დანიშნავს მესამე, მეოთხე და ა. შ. ექსპერტიზას, თანაც სხვადასხვა სასამართლო-საექსპერტო დაწესებულებაში, როგორც, მაგალითად, 1988 წელს სასამართლო ავტორიტეტის კური ექსპერტიზა ერთი და იმავე საქმის გამო დანიშნული იყო საქართველოს სასამართლო ექსპერტიზის ცენტრალურ სამეცნიერო-კვლევით ლაბორატორიაში, საქართველოს შსს ტექნიკურ-სამეცნიერო განყოფილებაში, კოოპერატიულ საექსპერტო დაწესებულებაში, რუსეთის სასამართლო ექსპერტიზის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში.

ამას გარდა, ძვირფასი როლია გამომძიებლის შეცვლა, ზოლო ახალი, როგორც

წესი, თავიდან ნიშნავს ექსპერტიზას. ყოველივე ამას მივყავართ ძიების ვადების გაჭიანურებამდე. ამასთან დაკავშირებით, მიზანშეწონილი იქნებოდა შექმნილიყო გამოცდილი და ავტორიტეტული სწავლული ექსპერტიზის კომისია, რომელიც გადასინჯავს განმეორებით ექსპერტიზებს, რომ ურთიერთსაწინააღმდეგო დასკვნის მიცემის შემთხვევაში და გადაწყვეტს, რომელს მიეცეს უპირატესობა.

9. ექსპერტის დასკვნის შეფასება მოიცავს რამდენიმე ეტაპს, რომელთაგან უპირველესია დასკვნის ფორმის ვარგისობის დადგენა: შეესაბამება თუ არა პროცესუალური კანონის მოთხოვნებს, რომელთაგან ერთერთია ექსპერტიზის სუბიექტის ჭეროვანი დადგენა; კვლევის ობიექტების სტატუსის პროცესუალური განსაზღვრა ექსპერტიზის დანიშვნის, მისი ჩატარების, შედეგების გაფორმების პროცესუალური წესის დაცვა, ე. ი. ექსპერტიზის სუბიექტის შემოწმება გარკვეული მოთხოვნილებების შესაბამისად, რომელთაგან უმთავრესია კომპეტენტურობა.

სახელმწიფო საექსპერტო დაწესებულებების სპეციალისტების მაღალი კომპეტენტურობა განპირობებულია კვალიფიკაციის ამაღლების ყველა არსებული სისტემის ხარჯზე, სტაჟირება, კვალიფიკაციის ასამაღლებელ კურსებზე სწავლება, სამეცნიერო-პრაქტიკულ სემინარებში მონაწილეობა.

კოოპერატიული ექსპერტების კომპეტენტურობა კი ჭერ არავის დაუდგენია, ამიტომ სახელმწიფო საექსპერტო დაწესებულების გარეშე ჩატარებულ ექსპერტიზას უსათუოდ უნდა გაეწიოს ხარისხის კონტროლი. ამასთან დაკავშირებით, მიზანშეწონილი იქნებოდა კოოპერატივებში საექსპერტო საქმეზე მუშაობის მსურველი სპეციალისტებისათვის დაწესებულიყო საკვალიფიკაციო გამოცდები, რის შემდეგაც ისინი ჩაირიცხებოდნენ რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრის მიერ დამტკიცებულ ექსპერტთა სიაში.

მაძიებლებმა საკვალიფიკაციო გამოცდები უნდა ჩაატარონ იმ დაწესებულებებში, სადაც არსებობს სათანადო საკვალიფიკაციო საბჭო, შემოღებულია სისუბემები. იუსტიციის სამინისტროს მიერ დამტკიცებული სიები იძლევა დასკვნის ვარგისიანობის ვაკონტროლების საშუალებას.

10. აუცილებელია სასამართლო ექსპერტის სტატუსის ამაღლება. ამასთან დაკავშირებით, გადასასინჯია საექსპერტო დაწესებულებაში სამუშაოზე მიღების ფორმა. ამჟამად, საექსპერტო დაწესებულებათა უმრავლესობის დებულებათა თანახმად, სპეციალისტს ექსპერტის თანამდებობაზე იღებს ინსტიტუტის დირექტორი (ლაბორატორიის გამგე), ლაბორატორიის დირექტორის (გამგის) მოადგილე. განყოფილებათა გამგეებს ნიშნავს იუსტიციის სამინისტროს კოლეგია. ამგვარად, სპეციალისტები ინიშნებიან ექსპერტის თანამდებობაზე ან ექსპერტის სტატუსით, ე. ი. ენიჭებათ იურიდიული სტატუსი მაშინ, როცა მათ არა აქვთ შესაბამისი კვალიფიკაცია ექსპერტის ფუნქციის შესაბამისად. ე. ი. ფაქტობრივად არ არიან ექსპერტები.

მიზანშეწონილად მიმაჩნია, ექსპერტის თანამდებობაზე სპეციალისტი დანიშნოს საკვალიფიკაციო გამოცდების ჩაბარების, სწავლების კურსის გავლისა და ექსპერტიზის დამოუკიდებლად ჩატარების უფლების მოპოვების შემოდების შემდეგ. აუცილებელია აგრეთვე, შემოვიღოთ მაძიებლის თანამდებობა.



საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი

სასამართლოს პლენუმის 1992 წლის 29 აპრილის №14

დადგენილება

უდანაშაულობის პრეზუმციისა და ეზომიტანილის, ბრალდებულის, განსასჯელის დაცვის უფლების შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს პლენუმმა განიხილა საკითხი უდანაშაულობის პრეზუმციისა და ეკვიტანილის, ბრალდებულის, განსასჯელის დაცვის უფლების უზრუნველყოფი კანონების გამოყენების შესახებ.

რესპუბლიკაში მიმდინარე დემოკრატიზაციის პროცესებმა, საქართველოს სწრაფვამ, ღირსეული ადგილი დაიკავოს მსოფლიოს დემოკრატიული ქვეყნების თანამეგობრობაში, როგორც სრულუფლებიანმა წევრმა, განსაკუთრებით აქტუალური გახადა მართლმსაჯულების მიერ საერთაშორისო-სამართლებრივი აქტებით გარანტირებული ადამიანის უფლებათა უცილობელი დაცვა.

ვინაიდან, საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტით და მოქმედი კანონმდებლობით უკვე აღიარებულია საერთაშორისო სამართლის ნორმების პრინციპი საქართველოს რესპუბლიკის კანონების მიმართ, ხოლო მათი პირდაპირი მოქმედება რესპუბლიკის ტერიტორიაზე ერთ-ერთ ძირითად, ფუნქციონირებულ პრინციპად ცხადდება, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს პლენუმში ერთგული რჩება მის მიერ აღებული კურსისა, რომ პრაქტიკაში ფართოდ იქნეს გამოყენებული და ცხოვრებაში გატარებული საერთაშორისო სამართლის ნორმებით განმტკიცებული მართლმსაჯულების დემოკრატიული პრინციპები (საწყისები).

მართლმსაჯულების დემოკრატიულ პრინციპებს შორის უმნიშვნელოვანესია უდანაშაულობის პრეზუმცია, რომელმაც ასახვა პოვა გაეროს გენერალური ასამბლეის 1948 წლის 10 დეკემბერს მიღებულ „ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციაში“ (მუხლი მე-11) და მისსავე 1966 წლის 16 დეკემბრის „სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტში“ (მუხლი მე-15).

აღნიშნული დოკუმენტების მიხედვით, ყოველ ადამიანს, რომელსაც ბრალად ედება დანაშაულის ჩადენა, უფლება აქვს ითვლებოდეს უდანაშაულოდ, ვიდრე მისი დამნაშაევობა (ბრალულობა) დადგენილი არ იქნება კანონის შე-

საბამისად საქვეყნო სასამართლო განხილვით, რომლის დროსაც მისთვის უზრუნველყოფილია დაცვის ყველა შესაძლებლობა.

ბრალდებული (განსასჯელი) მხოლოდ მაშინ შეიძლება ცნობილ იქნეს დამნაშავედ და დაისაჯოს სისხლის სამართლებრივი წესით, თუ მისი ბრალეულობა დანაშაულის ჩადენაში უტყუარად იქნება დამტკიცებული და დადგინდება კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენით.

საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით, ბრალდების მტკიცების მოვალეობა (მტკიცების ტვირთი) ეკისრება ბრალმდებელს, ბრალდებული (განსასჯელი) არაა ვალდებული საკუთარი უდანაშაულობა ამტკიცოს, ყოველგვარი ეჭვი, რომელიც ვერ დასტურდება მტკიცებულებებით, უნდა გადაწყდეს ეჭვმიტანილის, ბრალდებულის, განსასჯელის სასარგებლოდ. ამიტომ უდანაშაულობის პრეზუმფცია მჭიდროდ უკავშირდება ბრალდებულის, განსასჯელის დაცვის უფლებას, რომელიც პრაქტიკულად მხოლოდ მაშინ ხდება რეალური, თუ იგი ეფუძნება პირველს და გამომდინარეობს მისგან.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს პლენუმი აღნიშნავს, რომ რესპუბლიკის სასამართლოები ყოველთვის ჭეროვან ყურადღებას არ აქცევენ ეჭვმიტანილის, ბრალდებულის, განსასჯელის დაცვის უფლების რეალურ განხორციელებას გამოძიების სტადიაზე და საქმის სასამართლოში განხილვის დროს, რასაც შედეგად მოსდევს განაჩენის გაუქმება, საქმის დამატებით გამოძიებაში ან სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნება.

სასამართლო პრაქტიკის შესწავლა ცხადყოფს, რომ ყოველთვის არ სრულდება საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული მთელი რიგი მოთხოვნები, რითაც არსებითად ირღვევა დაცვის უფლება.

პრაქტიკაში გვხვდება შემთხვევები, როდესაც დანაშაულის ჩადენაში ეჭვმიტანილი პირის დაკავებისას ან მის მიმართ აღკვეთის ღონისძიებად დაპატიმრების გამოყენებისას მას არ განემარტება დამცველის აყვანის უფლება.

წინასწარი გამოძიების დროს არასრულწლოვანებს, ფიზიკური ან ფსიქიკური ნაკლის მქონე პირებს, აგრეთვე იმ პირებს, რომლებიც არ ფლობენ სამართალწარმოების ენას, ყოველთვის არ განუმარტავენ, რომ მათ საქართველოს რესპუბლიკის სსსკ 44-ე მუხლით გარანტირებული აქვთ დაცვის უფლება; ეჭვმიტანილს, ბრალდებულს, განსასჯელს უზღუდავენ შესაძლებლობას, იყოლიონ ის დამცველი, რომელიც მათ სურთ. დაცვის უფლების დარღვევის ერთ-ერთი გავრცელებული სახეა დამცველისა და ბრალდებულის, განსასჯელის პოზიციების დაპირისპირება. ვინაიდან სასამართლოები არ იღებენ ზომებს ამ წინააღმდეგობის აღმოსაფხვრელად, ბრალდებული, განსასჯელი რეალური დაცვის გარეშე რჩება.

სასამართლო პრაქტიკაში გვხვდება, აგრეთვე, დარღვევა საქართველოს რესპუბლიკის სსსკ 45-ე მუხლისა, რომელიც ითვალისწინებს უარის თქმას დამცველზე.

ბრალდებულის სამართალში მიცემის საკითხის გადაწყვეტისას სასამართლოები ყოველთვის არ ამოწმებენ, იყო თუ არა დაკუთლი ეჭვმიტანილის, ბრალდებულის დაცვის უფლება წინასწარი გამოძიების სტადიაზე და არ ახდენენ სათანადო რეაგირებას გამოვლენილ დარღვევებზე.

საკასაციო და საზედამხედველო ინსტანციის სასამართლოები, აუქმებენ რა სასამართლო გადაწყვეტილებებს ეჭვმიტანილის, ბრალდებულის, განსასჯე-

ლის დაცვის უფლების დარღვევის გამო, არ იღებენ კანონით დადგენილ პირობებს იმ პირთა მიმართ, რომლებმაც დაუშვეს დარღვევა.

გარდა ზემოაღნიშნულისა, სასამართლო პრაქტიკაში შეიმჩნევა დაცვის უფლების სხვა დარღვევებიც, რომლებიც უარყოფით ზეგავლენას ახდენენ მართლმსაჯულების განხორციელებაზე, განაპირობებენ უკანონო, დაუსაბუთებელი განაჩენების გამოტანას.

სასამართლო პრაქტიკაში გამოვლენილი დარღვევების აღმოფხვრის მიზნით საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს პლენუმი

ა დ გ ე ნ ს :

1. სასამართლოებმა განუზრგლად იხელმძღვანელონ საქართველოს რესპუბლიკის სსსკ 355-ე მუხლით, რომლის შესაბამისად, ექვმიტანილის, ბრალდებულის, განსასჯელის დაცვის უფლების არსებით დარღვევად ჩაითვლება ისეთი დარღვევა, რომელმაც საქმის განხილვისას აღუქვეთა ან შეუზღუდა მათ კანონით გარანტირებული უფლებები; ხელი შეუშალა სასამართლოს, საქმე ყოველმხრივ და ობიექტურად განეხილა; გაეღვნა მოახდინა ან შეეძლო მოეხდინა კანონიერი და დასაბუთებული განაჩენის დადგენაზე.

2. ექვმიტანილის, ბრალდებულის, განსასჯელის მიერ ბრალის აღიარება სამართალწარმოების ნებისმიერ სტადიაზე, თუ ის მოპოვებულია დამცველის მონაწილეობის გარეშე, არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს როგორც მტკიცებულება, გარდა იმ გამონაკლისებისა, როდესაც ექვმიტანილი, ბრალდებული, განსასჯელი უარს აცხადებენ დამცველზე ან მისი მონაწილეობა კანონით გათვალისწინებული არ არის.

3. მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის მიხედვით, დამცველის მოვალეობას გამოძიების სტადიაზე ახორციელებენ მხოლოდ ადვოკატები, მათ შორის — უცხოელებიც.

პროფესიული კავშირებისა და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების, მათ შორის — კოოპერატივების წარმომადგენლები, აგრეთვე, განსასჯელის ახლო ნათესავები, კანონიერი წარმომადგენლები საქმეში დაიშვებიან სასამართლოს განჩინებით ან მოსამართლის დადგენილებით სამართალში მიცემის სტადიიდან.

4. საქართველოს რესპუბლიკის სსსკ 43-46-ე მუხლებიდან გამომდინარე, სამართალწარმოების ნებისმიერ სტადიაზე, მათ შორის ექვმიტანილის სახით პირის დაკავების მომენტიდანაც, დამცველს საქმეში მონაწილეობისათვის მისი დაშვებიდანვე უფლება აქვს გაეცნოს საქმის მთელ მასალას, მართლ შეხედეს ექვმიტანილს, ბრალდებულს, განსასჯელს, დამცველს უფლება აქვს დაესწროს ექვმიტანილის, ბრალდებულის დაკითხვებს, ასევე, დაესწროს არა მართლ იმ საგამოძიებო მოქმედებებს, რომლებიც მისი უშუალოდგომლობით ტარდება, არამედ სხვა საგამოძიებო მოქმედებებსაც, რომელშიც მონაწილეობს მისი დაცვის ქვეშ მყოფი.

5. დაკავებისას ექვმიტანილს უნდა განემართოს უფლება, იყოლიოს მის მიერ არჩეული დამცველი. თუ საკუთარი ნების გამოხატვიდან 24 საათის განმავლობაში ეს არ მოხერხდა, კანონით დადგენილი წესით, გამოძიებელი და პროკურორი ვალდებული არიან უზრუნველყონ იგი სხვა დამცველით.

6. ბრალდებულის უარი, გაეცნოს საქმის მასალებს წინასწარი გამოძიე-

ბის დამთავრებისას, არ ათავისუფლებს გამოძიების ორგანოებს, საქმის მასალები გასაცნობად წარუდგინონ ბრალდებულის დამცველს.

7. გამოძიების ორგანოები ან სასამართლო არ არიან უფლებამოსილი არ განიხილონ ბრალდებულის, განსასჯელის ან მათი დამცველების შუამდგომლობა მისი დაუსაბუთებლობის მოტივით.

8. წინასწარი გამოძიების დამთავრებისას და საქმის გაცნობისას ბრალდებულს და მის დამცველს უფლება აქვთ, არა მარტო ამოიწერონ სისხლის სამართლის საქმიდან მათთვის საჭირო მასალა, არამედ ისარგებლონ ტექნიკური საშუალებებითაც (დიქტოფონი, გასამრავლებელი ტექნიკა).

9. თუ დამცველი მონაწილეობს საქმეში ბრალდების წაყენების მომენტიდან, ბრალდების შეცვლისას ან ახალი ბრალდების წაყენებისას მისი მონაწილეობა ასევე სავალდებულოა.

10. ექვმიტანილს, ბრალდებულს, განსასჯელს სისხლის სამართალწარმოების ყველა სტადიაზე უფლება აქვს ისარგებლოს მის მიერ არჩეული დამცველის იურიდიული დახმარებით, იყოლიოს ერთი ან რამდენიმე დამცველი.

11. ექვმიტანილს, ბრალდებულს, განსასჯელს სრულყოფილად უნდა განემარტოს საქართველოს რესპუბლიკის სსსკ 43-ე მუხლით გათვალისწინებული უფლება, ისარგებლოს არჩეული ან დანიშნული დამცველის დახმარებით, შეხვედეს ამ საკითხზე თავის ახლობლებს კანონით განსაზღვრული წესით, შეხვედეს თვით დამცველს, შეუთანხმოს მას პოზიცია, მოითხოვოს დამცველის შეცვლა, უარი თქვას კონკრეტულ დამცველზე ან, საერთოდ დამცველზე; მთლიანად ან ნაწილობრივ გაათავისუფლდეს დამცველისათვის საფასურის გადახდისაგან.

12. დამცველის მონაწილეობა სავალდებულოა წინასწარი გამოძიების და სასამართლო განხილვის დროს არასრულწლოვანთა, ყრუ-მუნჯ, უსინათლო პირების, ორსულ ქალთა, ასევე იმ პირთა საქმეებზე, რომლებსაც თავიანთი ფიზიკური ან ფსიქიკური მდგომარეობის გამო არ ძალუძთ დამოუკიდებლად განაზორციელონ დაცვის უფლება. იგივე წესი ვრცელდება, აგრეთვე, იმ პირთა საქმეებზე, რომლებიც არ ფლობენ სამართალწარმოების ენას.

13. ბრალდებულის სამართალში მიცემის საკითხის გადაწყვეტისას აუცილებელია გაირკვეს, იყო თუ არა დაცული ექვმიტანილის, ბრალდებულის დაცვის უფლებები გამოძიების დროს. თუ ბრალდებულის ან მისი დამცველის შუამდგომლობა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამორკვევის თაობაზე გამომძიებლის მიერ დაუსაბუთებლად არის უარყოფილი, ზოლო ამ ხარვეზის შევსება სასამართლო სხდომაზე შეუძლებელია, სასამართლომ უნდა იმსჯელოს საქმის დამატებით გამოძიებაში დაბრუნების შესახებ.

14. თუ დამცველი იცავს ორ ან მეტ პირს და ამ პირთა ინტერესებს შორის წინააღმდეგობა გამოვლინდება (ერთი პირის მიერ ბრალდების აღიარება და მეორის მიერ უარყოფა, ერთი განსასჯელის მიერ მეორის მხილება და სხვა), გამომძიებელმა, პროკურორმა, სასამართლომ თითოეული მათგანი უნდა უზრუნველყოს დამცველით.

15. იმ შემთხვევაში, თუ ექვმიტანილს, ბრალდებულს, განსასჯელს, ან მათი დავალებით სხვა პირებს დამცველი არ მოუწვევიათ, სასამართლო, ან შესაბამისად — პროკურორი, გამომძიებელი, ვალდებული არიან უზრუნველყონ დამცველის მონაწილეობა საქმეში.

16. დამცველი საქმეში მონაწილეობისაგან გაათავისუფლდება, თუ დადგინ-

და, რომ იგი ადრე ამ საქმეზე იურიდიულ დახმარებას უწევდა პირს, რომლის ინტერესები ეწინააღმდეგება მისი დაცვის ქვეშ მყოფის ინტერესებს, ან მონაწილეობდა ამ საქმეში როგორც მოსამართლე. გამოძიებელი, მომკვლელი, მოწმე, ექსპერტი, თარჯიმანი, დამსწრე, აგრეთვე, თუ საქმის გამოძიებაში ან განხილვაში მონაწილეობს თანამდებობის პირი, რომელთანაც დამცველს ნათესაური ურთიერთობა აკავშირებს.

17. განუხრებლად უნდა იქნეს დაცული კანონის მოთხოვნები, რომლებითაც გარანტირებულია ექვმიტანილის უფლება იცოდეს, თუ რაშია იგი ექვმიტანილი; ბრალდებულის უფლება — იცოდეს რა ედება კონკრეტულად ბრალად და მსჯავრდებულისა — რომელ ქმედებათა ჩადენაში არის იგი ცნობილი დამნაშავედ. პირის ექვმიტანილის სახით დაკავების ოქმში, დადგენილებაში ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემის შესახებ, აგრეთვე, საბრალდებო დასკვნასა და განაჩენში, ზუსტად უნდა აისახოს საქართველოს რესპუბლიკის სსსკ 123-ე, 141-ე, 206-ე და 317-ე მუხლებში ჩამოთვლილი გარემოებანი.

18. ზუსტად უნდა შესრულდეს საქართველოს რესპუბლიკის სსსკ 299-ე მუხლის მოთხოვნა: თუ განსასჯელმა საბოლოო სიტყვაში განაცხადა საქმისათვის არსებითად ახალი გარემოების შესახებ (მაგალითად, სასამართლო პროცესზე თავს არ ცნობდა დამნაშავედ, საბოლოო სიტყვაში კი პატიება ითხოვა), სასამართლო მოვალეა განაახლოს სასამართლო გამოძიება.

19. თუ განსასჯელი უარს ამბობს დამცველზე და თვითონ ახორციელებს თავის დაცვას, სასამართლომ უნდა უზრუნველყოს მისი მონაწილეობა სასამართლო კამათშიც.

20. სასამართლო ვალდებულია გაარკვიოს, რამდენად იცის განსასჯელმა სამართალწარმოების ენა და, საჭიროების შემთხვევაში, უზრუნველყოს იგი თარჯიმნით.

ექვმიტანილის, ბრალდებულის, განსასჯელის, მათი დამცველების უფლებების ყოველგვარი შეზღუდვა, რაც დაკავშირებულია სამართალწარმოების ენის არცოდნასთან, თუ ეს პირები რეალურად არ იყვნენ უზრუნველყოფილი შესაძლებლობით, პროცესის ყველა სტადიაზე ესარგებლათ დედაენით ან იმ ენით, რომელსაც ფლობენ, სისზღის სამართლის საპროცესო კანონის არსებითი დარღვევაა.

21. დამცველის მონაწილეობაზე უარი ექვმიტანილის, ბრალდებულის, განსასჯელის კემარითი ნება-სურვილი უნდა იყოს და აშკარად, მკაფიოდ, ნათლად უნდა იყოს გამოხატული.

ექვმიტანილის, ბრალდებულის, განსასჯელის მიერ ერთხელ განცხადებული უარი დამცველზე არ ზღუდავს მის უფლებას, შემდგომში მოიწვიოს დამცველად იგივე პიროვნება, რომელზეც ადრე მან უარი განაცხადა, თუ ეს გამოიწვევს არ არის საქმის ხელოვნურად გაჭიანურებისათვის.

22. სასამართლომ ყველა შემთხვევაში უნდა გაარკვიოს, ხომ არ არის დამცველზე უარის თქმა იძულებითი, მაგალითად, გამოწვეული იმ სახსრების უქონლობით, რომლებიც საჭიროა დამცველის მიერ გაწეული დახმარების ასანაზღაურებლად, ან ადვოკატის გამოუცხადებლობით სასამართლო სხდომაზე, როდესაც სასამართლო დაადგენს, რომ უარის თქმა იძულებითი იყო, იგი ვალდებულია უზრუნველყოს დამცველის მონაწილეობა საქმეში.

სასამართლომ უნდა იმსჯელოს განსასჯელის მიერ დამცველზე უარის თქმის თაობაზე და გამოიტანოს სათანადო განჩინება.

23. სასამართლოებმა დაიცვან საქართველოს რესპუბლიკის სსსკ 255-ე



მუხლის მოთხოვნა, რომლის თანახმად, საქმის განხილვა სასამართლოში წარმოებს იმ ბრალდებით, რომლითაც პირი მიცემულია სამართალში. დაუშვებელია ბრალდების შეცვლა უფრო მძიმე ან ფაქტობრივი გარემოებებით პირვანდელი ბრალდებისაგან არსებითად განსხვავებული ბრალდებით.

24. განაჩენის გამოცხადების შემდეგ სასამართლოს თავმჯდომარე ვალდებულია მსჯავრდადებულს, გამართლებულს განუმარტოს განაჩენის გასაჩივრების ვადა და წესი, მისი უფლება, გაეცნოს სასამართლო სხდომის ოქმს და კანონით დადგენილ ვადაში შეიტანოს მასში შენიშვნები.

25. სასამართლო ვალდებულია, მსჯავრდებულს, გამართლებულს და პროცესში მონაწილე სხვა პირებს, რომელთა ინტერესებსაც ეხება ოქმი, მისცეს იმის შესაძლებლობა, რომ გაეცნონ სასამართლო სხდომის ოქმს.

პროცესის მონაწილეებს: მსჯავრდებულს, გამართლებულს, და მათ დამცველებს, დაზარებულს, სამოქალაქო მოსარჩელეს, სამოქალაქო მოპასუხეს, დაზარალებულის, სამოქალაქო მოსარჩელისა და სამოქალაქო მოპასუხის წარმომადგენლებს, დროულად უნდა ეცნობოთ კანონით დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ შედგენილ ოქმზე ხელმოწერის თარიღი.

თუ პროცესის მონაწილეებს ოქმის გაცნობისა და შენიშვნების შეტანისათვის, მისი დიდი მოცულობისა და სხვა საპატიო მიზეზის გამო, ესაჭიროებათ 3 დღე-ღამეზე მეტი დრო, ვადა შეიძლება გააგრძელოს სასამართლომ ან მოსამართლემ.

26. საქართველოს რესპუბლიკის სსსკ 325-ე მუხლის თანახმად, განაჩენის ასლი მსჯავრდებულს, გამართლებულს უნდა ჩაბარდეს არა უგვიანეს 3 დღე-ღამის ვადაში, დედაენაზე ან იმ ენაზე თარგმნილი, რომელსაც ის ფლობს.

თუ ჩამოთვლილი პირები აღნიშნულ მოთხოვნათა უგულებელყოფის შედეგად მოკლებულნი იყვნენ შესაძლებლობას, რომ განაჩენი გაესაჩივრებინათ, ეს გარემოება განხილულ უნდა იქნეს როგორც გაცდენილი საკასაციო ვადის აღდგენის ან საკასაციო სასამართლოს განჩინების გაუქმების საფუძველი.

27. პირველი ინსტანციის სასამართლომ შემოტანილი საკასაციო და კერძო საჩივრების, პროტესტების შესახებ უნდა შეატყობინოს მსჯავრდებულს, გამართლებულს, მათ დამცველებს და მისცეს შესაძლებლობა, გაეცნონ შემოსულ საჩივრებს, პროტესტებს, განაჩენის გამოტანის შემდეგ პროცესის მონაწილეთა მიერ სასამართლოში წარდგენილ სხვა დოკუმენტებს და წარადგინონ თავიანთი მოსაზრებანი.

საქართველოს რესპუბლიკის სსსკ 339-ე მუხლის თანახმად, მსჯავრდებულს, გამართლებულს და პროცესში მონაწილე სხვა პირებს, რომელთა ინტერესებსაც ეხება საჩივარი ან პროტესტი, ბარდებათ პროტესტებისა და დაზარალებულის საჩივრის ასლი, თუ ისინი ამას ითხოვენ.

იმ შემთხვევაში, როდესაც კანონის ზემოაღნიშნული მოთხოვნები დარღვეულია, საკასაციო ინსტანციის სასამართლო ვალდებულია მიიღოს ზომები ამ დარღვევათა აღმოსაფხვრელად.

28. საქართველოს რესპუბლიკის სსსკ 342-ე მუხლის შესაბამისად, სასამართლოები ვალდებული არიან საკასაციო, კერძო საჩივრის შემომტან პირებს, მათ შორის — მსჯავრდებულებს, გამართლებულებს, აგრეთვე პროცესში მონაწილე სხვა პირებს, რომელთა ინტერესებსაც ეხება საჩივარი ან პროტესტი, შეატყობინონ საკასაციო ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვის დღე, აღნიშნული მოთხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევაში, საქმის მოსმენა გადაიდება.



საკასაციო ინსტანციის სასამართლოს მიერ საქმის განხილვა მსჯავრდებულის ან მისი დამცველის მონაწილეობის გარეშე, თუ მათთვის ცნობილი არ იყო სასამართლოს სხდომის დრო და ამ მიზეზით ისინი მოკლებული იყვნენ შესაძლებლობას მიეღოთ მონაწილეობა სასამართლოს სხდომაში, წარმოადგენს სისხლის სამართლის საპროცესო კანონის არსებით დარღვევას.

29. მსჯავრდებულის მონაწილეობას საკასაციო ინსტანციის სასამართლოში შეიძლება არსებითი მნიშვნელობა ჰქონდეს საჩივრებისა და პროტესტების კანონიერი გადაწყვეტისათვის. ამიტომ სასამართლოებმა გულდასმით განიხილონ პატიმრობაში მყოფ მსჯავრდებულთა შუამდგომლობები განმარტების მისაცემად მათი სხდომაზე წარმოდგენის შესახებ.

30. ზედამხედველობის წესით საქმის განმხილველ სასამართლოს, საჭიროების შემთხვევაში, შეუძლია ისარგებლოს სასამართლოს სხდომაზე მსჯავრდებულების, გამართლებულების და მათი დამცველების, აგრეთვე პროცესში მონაწილე სხვა იმ პირთა გამოცხადების უფლებით, რომელთა ინტერესებსაც ეხება საჩივარი ან პროტესტი.

31. საქართველოს რესპუბლიკის სსსკ 380-ე მუხლით გათვალისწინებულ წესის თანახმად, განაჩენის აღსრულებასთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტის დროს სასამართლოს შეუძლია დაუშვას დამცველი საქმეში მონაწილეობის მისაღებად, თუ ამის შესახებ მსჯავრდებულს, მის ნათესავს ან სხვა დაინტერესებულ პირს აღძრული აქვს შუამდგომლობა.

32. საქართველოს რესპუბლიკის სსსკ 321-ე, 367-ე მუხლების თანახმად, სასამართლოებმა უნდა მოახდინონ რეაგირება ექვმიტანრის, ბრალდებულის, განსასჯელის დაცვის უფლების დარღვევაზე. იმისდა მიუხედავად, თუ სამართალწარმოების რომელ სტადიაზე ჰქონდა ადგილი ამ დარღვევას.

33. დაევალოთ აფხაზეთის და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უზენაეს სასამართლოებს, თბილისის საქალაქო სასამართლოს, პერიოდულად გააანალიზონ უდანაშაულობის პრეზუმფციისა და დაცვის უფლებათა მომწესრიგებელი ნორმების გამოყენების სასამართლო პრაქტიკა და მიიღონ ზომები ამ მიმართებით სასამართლო პრაქტიკაში არსებული დარღვევების აღმოსაფხვრელად.

34. ძალადაქარგულად ჩაითვალოს ბრალდებულის დაცვის უფლების თაობაზე საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1984 წლის 27 დეკემბრის №5 დადგენილება.

უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე ა. შარხაშვილი

ადენუმის მდივანი. უზენაესი სასამართლოს წევრი დ. ხალაიბა



დადგენილება

ავტოსატრანსპორტო დანაშაულთა საქმეებზე სასამართლო
პრაქტიკის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს პლენუმი აღნიშნავს, რომ ავტოსატრანსპორტო დანაშაულთა საქმეების უმრავლესობას სასამართლოები იხილავენ სწორად, კანონის მოთხოვნათა შესაბამისად. ამასთან ერთად, როგორც სასამართლო პრაქტიკის შესწავლამ გვიჩვენა, აღნიშნული კატეგორიის საქმეთა განხილვისას სასამართლოთა საქმიანობაში ჯერ კიდევ შეინიშნება ნაკლოვანებები და შეცდომები.

ზოგიერთი სასამართლო არ არკვევს, სატრანსპორტო საშუალებათა მოძრაობისა და ექსპლუატაციის უსაფრთხოების კონკრეტულად რომელი წესია დარღვეული. ყოველთვის სწორად არ ადგენს დაშვებულ დარღვევის შედეგებს, მატერიალური ზარალის ოდენობას. იშვიათი როდია სატრანსპორტო საშუალებათა მოძრაობისა და ექსპლუატაციის უსაფრთხოების წესების დარღვევასა და დაშვებულ შედეგს შორის მიზეზობრივი კავშირის არარსებობისას პირთა მსჯავრდების შემთხვევები.

ზოგიერთი სასამართლო სათანადო ყურადღებას არ უთმობს დანაშაულის ყველა გარემოების და იმ პირთა გამოვლენას, რომლებსაც განსასჯელთან ერთად ბრალი მიუძღვით დანაშაულის ჩადენაში ან, რომლებმაც თავისი მოქმედებით ხელი შეუწვევს მის ჩადენას (სხვა სატრანსპორტო საშუალებათა მძღოლები, ქვეითად მოსიარულეები, პირები რომლებიც პასუხს აგებენ სატრანსპორტო საშუალებათა ტექნიკურ მდგომარეობასა და მათ სწორ ექსპლუატაციაზე და სხვ).

ზოგიერთი სასამართლო არასწორად აკვალიფიცირებს ავტოავარიის შემდეგ დაზარალების გარეშე დაზარალებულის მიტოვებას, ავტოსატრანსპორტო დანაშაულად არ თვლის შემთხვევას, როდესაც ტრანსპორტის მოძრაობისა და ექსპლუატაციის უსაფრთხოების წესების დანაშაულებრივი დარღვევა დასახლებული პუნქტების ქუჩებში და გზებზე არ არის მომხდარი, სათანადო სიღრმით არ იკვლევს საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 241-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულთა სუბიექტურ მხარეს. არ მიუთითებს, გაუფრთხილებლობითი ბრალის რომელი სახით — დანაშაულებრივი თვითიმედოვნებით თუ დაუდევრობითაა ჩადენილი ესა თუ ის დანაშაული. ქმედების სუბიექტურ მხარეს არ ასაბუთებს საქართველოს სსკ მე-10 მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, მოსამართლეთა უმრავლესობა ავტოსატრანსპორტო დანაშაულის სუბიექტური მხარის დახასიათებისას ძირითადად იმით იფარგლება, რომ „მძღოლმა არ გამოიჩინა სათანადო წინდახედულება“, „ვერ შეარჩია სათანადო სიჩ-

ქარე", „ვერ უზრუნველყო მანქანის უსაფრთხო მართვა“ და ა. შ., რაც ფაქტობრივად ნიშნავს ქმედების სტრუქტურული მხარის უგულვებელყოფას.

პრაქტიკაში ჯერ კიდევ ადგილი აქვს უსამართლოდ ღმობიერი და უსამართლოდ მკაცრი განაჩენების დადგენას. სასამართლოები ზოგჯერ დამდგარი მიმე შედგვის ზეგავლენის ქვეშ ექცევიან და სასჯელის გამოტანის დროს მხედველობაში არ იღებენ დამნაშავის საშეღავათო გარემოებებს, არის შემთხვევები, როდესაც ამა ბუ იმ გარემოებას დაუსაბუთებლად მიიჩნევენ პასუხისმგებლობის შემამსუბუქებლად, ხოლო ზოგჯერ პირიქით, სათვალავში არ ღებულობენ ფაქტობრივად არსებულ პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ გარემოებებს. ყოველთვის არ განიხილება საკითხი დამნაშავე პირისათვის სატრანსპორტო საშუალებათა მართვის უფლების ჩამორთმევის სახით დამატებითი სასჯელის გამოყენების თაობაზე.

სასამართლო პრაქტიკაში სხვადასხვაგვარად წყდება სატრანსპორტო საშუალებათა სიმთვრალეში მართვისათვის პასუხისმგებლობის საკითხი. ასევე სხვადასხვაგვარად განსაზღვრავენ იმ პირთა წრეს, რომლებიც პასუხს აგებენ წინასწარი შეცნობით ტექნიკურად გაუმართავ სატრანსპორტო საშუალებათა ექსპლუატაციაში გაშვებისა და მათი ექსპლუატაციის წესების სხვა უხეში დარღვევებისათვის.

საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის თანახმად, ავტოსატრანსპორტო დანაშაულთა საქმეებზე ყოველთვის სავალდებულო არ არის ავტოტექნიკური ექსპერტიზის დანიშვნა მოძრაობის მონაწილეთა მხრიდან წინდახედულობის ნორმათა დარღვევების დასადგენად. ზოგიერთი სასამართლო კი მოითხოვს ასეთი ექსპერტიზის ჩატარებას იმისდა მიუხედავად, არის თუ არა ეს აუცილებელი. ხშირად სასამართლოები წარმოებაში იღებენ ისეთ საქმეებს, რომლებზეც მოკვლევა და წინასწარი გამოძიება ჩატარებულია უხარისხოდ, ცალმხრივად, საპროცესო კანონმდებლობის დარღვევით, რის გამოც განაჩენის დადგენა შეუძლებელია.

არც თუ ისე იშვიათად ჭიანჭურდება საქმის განხილვის ვადები, დაბალია აღნიშნული კატეგორიის საქმეთა წარმოების კულტურა.

იშვიათად გამოაქვთ კერძო განჩინებები იმ უხეშ დარღვევათა აღმოსაფხვრელად, რომლებიც მოხდა სატრანსპორტო საწარმოებსა და უწყებებში და რომლებიც, თავის მხრივ, ზეგავლენას ახდენს ტრანსპორტის უსაფრთხოებაზე.

ავტოსატრანსპორტო დანაშაულთა საქმეებზე სასამართლო პრაქტიკაში არსებული ნაკლოვანებებისა და შეცდომების აღმოფხვრის მიზნით საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს პლენუმი

აღკანს:

1. ავტოსატრანსპორტო დანაშაულის საქმეთა განხილვის დროს სასამართლოებმა განუხრელად იხელმძღვანელონ საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კანონმდებლობით, სხვა კანონქვემდებარე აქტებით, რომლებიც აწესრიგებენ სატრანსპორტო საშუალებების მართვის და მათი ექსპლუატაციის საკითხებს, აგრეთვე წინამდებარე დადგენილებით.

2. საქართველოს რესპუბლიკის სსსკ მე-18 მუხლისა და „საქართველოს სასამართლოთა მიერ სისხლის სამართლის საქმის გარემოებათა ყოველმხრივი, სრული და ობიექტური გამოკვლევის მომწესრიგებელი ნორმების გამოყენების



შესახებ“ საქართველოს უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1986 წლის 26 დეკემბრის დადგენილების შესაბამისად, სასამართლო ვალდებულია მიიღოს კანონით გათვალისწინებული ყველა ზომა საქმის გარემოებათა ყოველმხრივი, სრული და ობიექტური გამოკვლევისათვის.

3. წინასწარი გამოძიების მასალების შემოწმებისას სასამართლოებმა განსაკუთრებული ყურადღება მიუქციონ იმას, თუ რამდენად ხარისხიანად და ობიექტურად არის ჩატარებული ისეთი პირველადი საგამოძიებო მოქმედებანი, როგორცაა შემთხვევის ადგილისა და ტრანსპორტის დათვალირება, ოქმებზე შედგენა, შემთხვევის ადგილის სქემებისა და ფოტოილუსტრაციების ხარისხიანად აღწერა. ამ მიმართებით დაშვებულ თითოეულ დარღვევაზე უნდა მოხდეს შესაბამისი რეაგირება.

4. სასამართლომ მხედველობაში უნდა მიიღოს, რომ ავტოსატრანსპორტო დანაშაულს მნიშვნელოვანი ზარალი მოაქვს საქართველოს ეკონომიკისათვის, ზიანს აყენებს პრავალი მოქალაქის ჯანმრთელობას, ხოლო ზოგჯერ იწვევს მათ დაღუპვას: ამიტომ, სასამართლომ დაწვრილებით უნდა გამოარკვიოს ამ დანაშაულთა ჩადენის მიზეზები და ხელშემწყობი პირობები. საჭიროა კანონით დადგენილი წესით რეაგირების გარეშე არ დარჩეს ავტოფარეხების არადამაკმაყოფილებელი ტექნიკური მდგომარეობის, შრომის დისციპლინის დარღვევის არც ერთი ფაქტი ავტომეურნეობებსა და სხვა საწარმოებში, რომლებიც ეწევიან სატრანსპორტო საშუალებათა ექსპლუატაციას, პასუხისმგებელნი არიან გზების მოვლაზე, ამასთან, უზრუნველყოფილ იქნეს კონტროლი, გამოტანილ კერძო განჩინებათა დროულ და სწორ განხილვაზე.

5. საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 241-ე, 241²-ე, 242-ე და 270-ე მუხლებით გათვალისწინებული დანაშაული განხილულ უნდა იქნეს, როგორც გაუფრთხილებლობით ჩადენილი, რამდენადაც ამ ქმედებათა სუბიექტურ მხარეს განსაზღვრავს სატრანსპორტო საშუალებათა მოძრაობის ან ექსპლუატაციის უსაფრთხოების წესების დარღვევისას პირის გაუფრთხილებელი დამოკიდებულება საზოგადოებრივად საშიში შედეგების დადგომის შესაძლებლობებისადმი.

6. აღნიშნულ დანაშაულთა სუბიექტური მხარის დადგენის დროს აუცილებელია სასამართლომ მიუთითოს, გაუფრთხილებლობითი ბრალის რომელი სახით — დანაშაულებრივი თვითიმედოვნებით თუ დაუდევრობით არის იგი ჩადენილი.

თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემული დანაშაული ჩადენილია თვითიმედოვნებით, მან უნდა განმარტოს, თუ რაში გამოიხატა დამნაშავის თვითიმედოვნება, რა კონკრეტულ გარემოებებზე დაყრდნობით ფიქრობდა მოძრაობის წესების დამრღვევი მძღოლი მოსალოდნელი მავნე შედეგის თავიდან აცილებას.

ქმედების დანაშაულებრივი დაუდევრობით ჩადენილად მიჩნევისას უნდა მიუთითოს, იყო თუ არა მძღოლი ვალდებული გამოეჩინა წინდახედულება და, ამასთან ერთად, შეეძლო თუ არა მას თავიდან აეცილინა დამდგარი მავნე შედეგი.

სხვა თანაბარ პირობებში, დაუდევრობით ჩადენილი დანაშაული, როგორც წესი, უფრო მსუბუქად უნდა დაისაჯოს, ვიდრე თვითიმედოვნებით ჩადენილი, რამდენადაც, ბრალის ხარისხის მიხედვით, თვითიმედოვნება აღემატება დაუდევრობას.

სასჯელის ზომის სწორად განსაზღვრისათვის სასამართლომ უნდა გამოიყენოს და დაადგინოს ტრანსპორტის მოძრაობისა და ექსპლუატაციის რეგულაციის წესების დანაშაულებრივი დარღვევის მოტივიც.

7. თუ საქმეზე დადგენილია, რომ დაზარალებულის სიკვდილი ან სხეულის დაზიანება, ანდა მატერიალური ზარალი მოცული იყო დამნაშავის განზრახვით, ქმედება განხილულ უნდა იქნეს როგორც მოქალაქეთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობის, ანდა სახელმწიფო, საზოგადოებრივი ან პირადი ქონების წინააღმდეგ მიმართული განზრახი დანაშაული.

იმ შემთხვევაში, როდესაც დამნაშავის მიერ თანმიმდევრულად ჩადენილია ორი დამოუკიდებელი ქმედება, რომელთაგან ერთ-ერთი წარმოადგენდა ავტოსატრანსპორტო დანაშაულს, ხოლო მეორე — დანაშაულს პიროვნების სიცოცხლისა და ჯანმრთელობის ანდა სახელმწიფო, საზოგადოებრივი ან პირადი ქონების წინააღმდეგ, მისი მოქმედებები უნდა დაკვალიფიცირდეს აღნიშნულ დანაშაულთა ერთობლიობით.


8. პასუხისმგებლობა საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 241-ე, 241¹-ე, 241²-ე, 242-ე და 270-ე მუხლებით დგება იმის მიუხედავად, თუ სად მოხდა სატრანსპორტო საშუალებათა მოძრაობისა და ექსპლუატაციის უსაფრთხოების წესების დარღვევა. მაგალითად, გზატკეცილზე, ქუჩაში, რკინიგზის გადასასვლელზე, ეზოში, მინდვრის გზაზე, თუ საწარმოს ტერიტორიაზე მოძრაობის დროს.

9. „სხვა თვითმავალ მანქანებში“, რაზედაც მითითებულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 241-ე, 241¹-ე და 241²-ე მუხლებში, იგულისხმება ნებისმიერი საგზაო, სამშენებლო, სასოფლო-სამეურნეო და სხვა სპეციალური მანქანა (ექსკავატორი, გრეიდერი, ავტომწე, სკრეპერი, ავტომტვირთავი და ა. შ.).

241-ე მუხლით პირმა შეიძლება პასუხი აგოს მხოლოდ მაშინ, თუ სატრანსპორტო საშუალების მართვისას, იგი დაარღვევს ტრანსპორტის მოძრაობისა და ექსპლუატაციის უსაფრთხოების წესებს. იმ შემთხვევაში, თუ პირი დაარღვევს განსაზღვრული სამუშაოების წარმოების, ტექნიკის უსაფრთხოების, შრომის დაცვის ან სხვა წესებს, თუნდაც შესაბამისი მანქანით მოძრაობის დროს, მისი ქმედება განხილული იქნება არა როგორც ავტოავარია, არამედ როგორც უსაფრთხოების შესაბამისი წესების დანაშაულებრივი დარღვევა, ან პიროვნებისა და ქონების წინააღმდეგ მიმართული დანაშაული.

10. საქართველოს რესპუბლიკის სსკ მე-40 მუხლის თანახმად, დანაშაულთა ერთობლიობით უნდა დაკვალიფიცირდეს ტრანსპორტის მოძრაობისა და ექსპლუატაციის უსაფრთხოების წესების ისეთი დარღვევა, რასაც 241-ე მუხლის სხვადასხვა ნაწილით გათვალისწინებული შავნე შედეგები მოჰყვა.

11. იმ დანაშაულთა შესახებ საქმეების განხილვის დროს, რომლებიც მნიშვნელოვანი მატერიალური ზარალის გამოწვევასთან, სატრანსპორტო საშუალებათა, ნაგებობათა, ტვირთის და ა. შ. დაზიანებასთან ან განადგურებასთან დაკავშირებით დაკვალიფიცირებულია საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 241-ე მუხლის პირველი ნაწილით, სასამართლო არ უნდა შემოიფარგლოს განაჩენში იმის ზოგადი მითითებით, რომ დამნაშავის მიერ მიყენებულია მნიშვნელოვანი მატერიალური ზარალი. აუცილებელია მიუთითოს ზარალის კონკრეტული მოცულობა და მოტივები, რომელთა მიხედვით იგი მიჩნეულ იქნა მნიშვნელოვნად.



12. „მნიშვნელოვან მატერიალურ ზარალში“ კანონი გულისხმობს ფაქტობრივ ზარალს, იმას, რაც შედეგად მოჰყვა ავარიას. ამიტომ, ქონების დაზიანების შემთხვევაში, ზარალის გამოთვლა ხდება მხოლოდ დაზიანებული ქონების ღირებულების მიხედვით ისე, რომ მხედველობაში არ მიიღება ანაცდენი გამორჩევა.

საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლასთან დაკავშირებით, სასამართლომ, ავტომატურად გამოწვეული ზარალის ოდენობის განსაზღვრისას, უნდა იხელმძღვანელოს თავისუფალი ფასებით და ისე გადაწყვიტოს ზარალის მნიშვნელოვნების საკითხი.

13. თუ მძღოლმა დაარღვია სატრანსპორტო საშუალებათა მოძრაობისა და ექსპლუატაციის უსაფრთხოების წესები, რასაც მოჰყვა დაზარალებულის სხეულის დაზიანება და თუ მან სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაში მყოფი დაზარალებული წინასწარი შეცნობით დატოვა დახმარების გარეშე, მისი მოქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს იმ დანაშაულთა ერთობლიობით, რომლებიც გათვალისწინებულია საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 241-ე და 129-ე მუხლებით.

14. განსაცდელში მიტოვებად არ შეიძლება ჩაითვალოს და მძღოლმა 129-ე მუხლით არ შეიძლება პასუხი აგოს იმ შემთხვევაში, თუ ავარიის შედეგად დაზიანებული პირი შემთხვევისთანავე ადგილზე გარდაიცვალა.

129-ე მუხლით პასუხისმგებლობისთვის მნიშვნელობა არა აქვს იმას, თუ სად იყო მიტოვებული დაზარალებული; დასახლებულ პუნქტში თუ უკაცრიელ ადგილას; ყველა შემთხვევაში, პირი პასუხს აგებს განსაცდელში მიტოვების თვის.

15. საქართველოს რესპუბლიკის სსკ მე-12 მუხლის მიხედვით, 14-დან 16 წლამდე ასაკის პირი 241-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედებით გამოწვეული მავნე შედეგებიდან პასუხს აგებს მხოლოდ გაუფრთხილებლობით ადამიანის სიკვდილისათვის. მოცემულ შემთხვევაში მოზარდის ქმედება დაკვალიფიცირდება არა როგორც ავტოსატრანსპორტო დანაშაული, არამედ როგორც დანაშაული პიროვნების სიცოცხლის წინააღმდეგ, კერძოდ, საქართველოს რესპუბლიკის სსკ 108-ე მუხლით.

16. ტრანსპორტის მოძრაობისა და ექსპლუატაციის უსაფრთხოების წესების დანაშაულებრივი დარღვევისათვის სასჯელის დანიშვნის დროს, დამდგარ მავნე შედეგთან ერთად, სასამართლომ მხედველობაში უნდა მიიღოს შესაბამისი წესების დარღვევის ხასიათი, დამნაშავის ბრალის ხარისხი, მისი ქცევა დანაშაულის ჩადენის შემდეგ.

17. ავტოსატრანსპორტო დანაშაულთა საქმეებზე პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ გარემოებად ითვლება დამნაშავის ისეთი პოსტკრიმინალურა საქციელი, როგორიც არის: დაზარალებულისათვის დახმარების აღმოჩენა, დანაშაულით მიყენებული ზარალის ნებაყოფლობითი ანაზღაურება, ასევე შემამსუბუქებელ გარემოებად უნდა იქნეს მიჩნეული დაზარალებულის ვიქტიმური ქმედება („დაზარალებულის ბრალი“); ავარიის შედეგად თვით დამნაშავის ან მისი ახლობლის დაზიანება, მძღოლის მიერ თანამდებობის პირის უკანონო ბრძანების შესრულება და სხვა მსგავსი გარემოებანი.

კანონით გათვალისწინებულ პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოებებიდან სსკ 39-ე მუხლის თანახმად, ავტოსატრანსპორტო დანაშაულისათვის დამახასიათებელია ავარიის შედეგად მრავალი პირის დაზიანება.

18. მითითებულ გარემოებათა გათვალისწინებით, სასამართლომ, 241-ე მუხლის მიხედვით, გულდასმით უნდა განიხილოს, აგრეთვე, საკითხი დამატებითი ვისთვის სასჯელის დამატებითი ღონისძიების — სატრანსპორტო საშუალებათა მართვის უფლების ჩამორთმევის შეფარდების მიზანშეწონილობის შესახებ.

სასამართლომ უნდა დაასაბუთოს, თუ რატომ მიიჩნია მან საჭიროდ მძღოლისთვის მართვის უფლების ჩამორთმევა ან არჩამორთმევა, მართვის უფლების ჩამორთმევის შესახებ უნდა ეცნობოს სახელმწიფო ავტოინსპექციის შესაბამის ორგანოებს. ამასთან ერთად, უნდა გაუგზავნონ საქმეზე დართული მსჯავრდებულის მოწმობა ამა თუ იმ სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების შესახებ.

19. საქართველოს რესპუბლიკის სსკ 241-ე მუხლის პირველი ნაწილით პასუხისმგებლობა დგება იმ შემთხვევაში, როდესაც პირი წლის განმავლობაში ორჯერ მართავდა მთვრალი (ნასვამი) სატრანსპორტო საშუალებას, ამასთან მნიშვნელობა არა აქვს, დადებული ჰქონდა თუ არა მას პირველ დარღვევისთვის ადმინისტრაციული ან სხვა სახის სასჯელი.

ასეთივე პასუხისმგებლობა ეკისრება იმ პირს, რომელსაც ჩამორთმეული აქვს სატრანსპორტო საშუალებათა მართვის უფლება სიმთვრალეში მანქანის მართვისათვის და კვლავ მთვრალი მართავს რომელიმე სატრანსპორტო საშუალებას.

ამ კატეგორიის საქმეთა განხილვის დროს სასამართლო მოვალეა გამოარკვიოს, რამდენად სამართლიანად იყო პირველ შემთხვევაში მძღოლის მიმართ ამა თუ იმ ხასიათის ღონისძიება გამოყენებული. თუ დადგინდება, რომ პირველ შემთხვევაში არასწორად იყო შედგენილი ადმინისტრაციული დარღვევის ოქმი ან არასწორად იყო დასჯილი პირი, მაშინ უნდა იმსჯელოს მისი მხოლოდ ადმინისტრაციული წესით პასუხისმგებლობის თაობაზე.

საქართველოს რესპუბლიკის სსკ 241-ე მუხლის მეორე ნაწილით პასუხისმგებლობა დგება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც პირი ადრე გასამართლებულია სატრანსპორტო საშუალების სიმთვრალეში მართვისათვის და კვლავ ჩაიდინა ასეთივე სამართლდარღვევა, იმ პირობით, თუ დამნაშავეს პირველი ნასამართლობა არ ჰქონდა მოხსნილი ან გაქარწყლებული.

საქართველოს რესპუბლიკის სსკ 241-ე მუხლის მესამე ნაწილით პასუხისმგებლობა დგება იმ შემთხვევაში, როდესაც პირი ხუთი წლის განმავლობაში სატრანსპორტო საშუალებას განმეორებით გადასცემს სამართავად მთვრალ პირს, აგრეთვე, თუ პირი იმავე დარღვევას ჩადის სატრანსპორტო საშუალებათა მართვის უფლების ჩამორთმევის ვადაში.

საქართველოს რესპუბლიკის სსკ 241-ე მუხლის მეოთხე ნაწილით პასუხისმგებლობა დგება იმ შემთხვევაში, როდესაც პირს დადგენილი წესით სიმთვრალისათვის ჩამორთმეული აქვს სატრანსპორტო საშუალებათა მართვის უფლება გარკვეული ვადით და ამ ვადის განმავლობაში იგი კვლავ მართავს სატრანსპორტო საშუალებას.

20. საქართველოს რესპუბლიკის სსკ 241-ე და 241-ე მუხლების ერთობლიობით უნდა დაკვალიფიცირდეს ქმედება, როდესაც მთვრალ მდგომარეობაში მყოფი დამნაშავე წლის განმავლობაში სიმთვრალეში განმეორებით ან მართვის უფლების ჩამორთმევის ვადაში კვლავ მართავდა სატრანსპორტო საშუალებას. რასაც მოჰყვა 241-ე მუხლით გათვალისწინებული შედეგი.

21. იმ საკითხის გადაწყვეტისას, მთვრალი მართავდა თუ არა პირი სატრან-

სპორტო საშუალებას, სასამართლომ მხედველობაში უნდა იქონიოს, რომ სიმთავრალედ ჩაითვლება არამართო ალკოპოლური, არამედ ნარკოტიკული და ტოქსიკური თრობაც.

სასამართლომ ყველა შემთხვევაში დაწერილებით უნდა გამოარკვიოს იმ მასალების დასაბუთებულობა, რომლებიც ადასტურებენ ტრანსპორტის მართვის მომენტში მძღოლის სიმთვრალეს. თრობის ხარისხს მნიშვნელობა არა აქვს პასუხისმგებლობისათვის. ნებისმიერი ხარისხის სიმთვრალე საკმარისია იმისათვის, რათა, სხვა საფუძვლების არსებობასთან ერთად, პირმა პასუხი აგოს ხსენებული დანაშაულისთვის.

22. სატრანსპორტო საშუალებათა ექსპლუატაციის წესების „სხვა უხეშ დარღვევას“, რაც გათვალისწინებულია სისხლის სამართლის კოდექსის 241²-ე მუხლით, უნდა მიეკუთვნოს, მაგალითად, სატრანსპორტო საშუალებათა სამართავად იმ პირის დაშვება, რომელსაც საერთოდ არა აქვს, ანდა ჩამორთმეული აქვს მართვის უფლება, მძღოლის მუშაობის რეჟიმის უხეში დარღვევა და სხვა.

საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 241²-ე მუხლით სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა დგება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც წინასწარი შეცნობით ტექნიკურად გაუმართავ სატრანსპორტო საშუალებათა ექსპლუატაციაში გაშვება ან მათი ექსპლუატაციის წესების სხვა უხეში დარღვევა მიზეზობრივ კავშირშია კანონით გათვალისწინებულ შედეგებთან, რომელთა დადგომის შესაძლებლობასაც დამნაშავე ითვალისწინებდა, მაგრამ ჭარბმუტუელად ვარაუდობდა მათ თავიდან აცილებას, ანდა არ ითვალისწინებდა, თუმცა უნდა გაეთვალისწინებინა და შეეძლო კიდევ გაეთვალისწინებინა ისინი.

23. კანონით პასუხისმგებლობა საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 241²-ე მუხლით შეიძლება დაეკისროთ როგორც სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების იმ მუშაკებს, რომლებსაც მოქმედი ინსტრუქციებით ან წესებით, შესაბამისი განკარგულებით ანდა მათ მიერ დაკავებული სამსახურებრივი მდგომარეობით დაკისრებული აქვთ პასუხისმგებლობა სატრანსპორტო საშუალებათა ტექნიკური მდგომარეობისა ან ექსპლუატაციისათვის, ისე ინდივიდუალურ სატრანსპორტო საშუალებათა მფლობელებს ან მძღოლებს, რომლებმაც სხვა პირს წინასწარი შეცნობით მისცეს ტექნიკურად გაუმართავ სატრანსპორტო საშუალებათა ექსპლუატაციის უფლება.

24. სატრანსპორტო საშუალებათა მძღოლი ან მფლობელი, რომელიც მოქმედი წესების დარღვევით გადასცემს სატრანსპორტო საშუალებას სამართავად წინასწარი შეცნობით მთვრალ პირს, აგრეთვე პირს, რომელსაც ჩამორთმეული აქვს მართვის უფლება ან საერთოდ არა აქვს ასეთი უფლება, ანდა არა აქვს მოცემული სახის ტრანსპორტის მართვისათვის საჭირო უფლება, თუ ამ მოქმედებამ გამოიწვია სსკ 241-ე მუხლში აღნიშნული შედეგები, პასუხს აგებს საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 241²-ე მუხლით, ხოლო პირი, რომელიც ფაქტობრივად მართავდა ამ შემთხვევაში სატრანსპორტო საშუალებას, პასუხს აგებს საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 241-ე მუხლით.

თუ მოქმედი წესების დარღვევით სატრანსპორტო საშუალება სამართავად

გადაცემული ჰქონდა თანამდებობის პირს, რომელზეც მძლოლი დამოკიდებუ-
ლია სამსახურებრივად, ეს არ ათავისუფლებს მძლოლს პასუხისმგებლობის
მაგრამ გათვალისწინებული უნდა იქნეს სასჯელის დანიშვნის დროს.

მძლოლს ამგვარი მოქმედებისთვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა
არ ეკისრება, თუ მას სათანადო თანამდებობის პირი (უშუალო უფროსი, სახელ-
მწიფო ავტონისპექციის მუშაკი და სხვა) სამსახურებრივი მოვალეობის შესრუ-
ლებისას ჩამოაცლებს სატრანსპორტო საშუალებათა მართვას.

25. საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 241²-ე
მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის სუბიექტად ჩაითვლება ის მძლო-
ლიც, რომელიც, მოძრაობის წესების მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ, უყურად-
ღებოდ ტოვებს სატრანსპორტო საშუალებას ამუშავებული ძრავით, რითაც სა-
შუალება ეძლევა სხვას, წაიყვანოს ეს მანქანა და რასაც შემდეგ მოსდევს ავტო-
ავარია სათანადო მეწენე შედეგით.

26. საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 242-ე
მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის სუბიექტად შეიძლება მიჩნეულ იქ-
ნეს ქვეითად მოსიარულე, ველოსიპედით მავალი, პირუტყვის გადამრეკი, ავ-
რეთვე სხვა პირები, რომლებიც ჩამოთვლილი არ არიან საქართველოს რესპუბ-
ლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 241-ე, 241¹-ე, 241²-ე, 86-ე და 270-ე
მუხლებში, თუ მათ მიერ წესრიგის დაცვისა და ტრანსპორტზე მოქმედი მოძრა-
ობის უსაფრთხოების წესების დარღვევამ გამოიწვია კანონში მითითებული შე-
დეგები.

27. საქართველოს რესპუბლიკის სსკ 243-ე მუხლი სატრანსპორტო საშუა-
ლებების გატაცებაში გულისხმობს როგორც მანქანების უნებართვო წაყვანას
დროებითი გამოყენების მიზნით, ისე მისათვისებლად.

თუ სატრანსპორტო საშუალება წაყვანილია დროებით გამოსაყენებლად
მესაკუთრის ოჯახის წევრის მიერ, აღნიშნული ქმედება არ შეიძლება ჩაითვა-
ლოს გატაცებად და პირმა არ შეიძლება პასუხი აგოს 243-ე მუხლით.

ასევე, არ უნდა ჩაითვალოს გატაცებად მძლოლის მიერ მასზე გაპიროვნე-
ბული ავტომანქანის თვითნებური გამოყვანა გარაჟიდან დროებით გამოყენების
მიზნით, მან ასეთი თვითნებობისთვის პასუხი უნდა აგოს დისციპლინური წესით.

ქმედების საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 243-ე
მუხლით დაკვალიფიცირებისათვის მნიშვნელობა არა აქვს გატაცების მი-
ზანი; ყველა შემთხვევაში, დამნაშავე პასუხს აგებს აღნიშნული მუხლით. მიუხე-
დავად ამისა, საქართველოს რესპუბლიკის სსკ 59-ე მუხლის თანახმად, სასამარ-
თლო ვალდებულია ყველა კონკრეტულ საქმეზე დაამტკიცოს, რისთვის გაიტაცა
პირმა მანქანა — დროებითი გამოყენების მიზნით თუ მისათვისებლად, რამდენა-
დაც საქართველოს რესპუბლიკის სსკ 39-ე მუხლით დანაშაულის ჩადენა ანგარე-
ბით ითვლება პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებად, სხვა თანასწორ
პირობებში, მანქანის მითვისების მიზნით გამტაცებელი უფრო მკაცრად უნდა
დაისაჯოს.

28. სატრანსპორტო საშუალების გატაცება დროებითი გამოყენების მიზ-
ნით დამთავრებულად ითვლება, როგორც კი დამნაშავე მას უნებართვოდ გა-
მოიყვანს გარაჟიდან, ეზოდან ან სხვა სადგომიდან და მას ექნება რეალური სა-
შუალება მისი გადაადგილებისა სასურველი მიმართულებით.

29. სატრანსპორტო საშუალების განმეორებით გატაცებად უნდა დაკვალიფიციკრდეს ყველა ის შემთხვევა, როდესაც პირს ადრე ჩადენილი აქვს ანალოგიური დანაშაული, მიუხედავად იმისა, იყო თუ არა იგი ამისათვის მსჯავრდებული. განმეორებითი გატაცების კვალიფიკაციისთვის მნიშვნელობა არა აქვს იმას, იყო თუ არა გატაცების პირველი შემთხვევა დამთავრებული დანაშაული.

არ შეიძლება ავტომანქანის გატაცება დაკვალიფიციკრდეს როგორც განმეორებითი იმ შემთხვევაში, როდესაც დამნაშავეს პირველი გატაცებისთვის მოხსნილი ან გაქარწყლებული აქვს ნასამართლობა, ან ახალი დანაშაულის ჩადენის დროისთვის გასულია სატრანსპორტო საშუალებეთა გატაცებისთვის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის ხანდაზმულობის ვადა.

30. თუ ავტოსატრანსპორტო საშუალება გატაცებულია პირთა ჯგუფის მიერ წინასწარი შეთანხმებით, თითოეული პირის ქმედება განხილული უნდა იქნეს ან როგორც თანამონაწილეობა (ვიწრო გაგებით) ჩადენილ დანაშაულში ან როგორც თანამსრულებლობა. ყველა თანამსრულებლის მოქმედება, მიუხედავად იმისა, მართავდა თუ არა იგი ფაქტობრივად გატაცებულ მანქანას, დაკვალიფიციკრდება სსკ 243-ე მუხლით.

31. ტექნიკური საშუალების გამოყენებით სატრანსპორტო საშუალების გატაცებაში იგულისხმება დამნაშავეს მიერ სპეციალურად მომარჯვებული საგნის, ინსტრუმენტისა და მექანიზმის გამოყენება დანაშაულებრივი მიზნის მიღწევის გასაადვილებლად, შექმნილ დაბრკოლებათა დაძლევისათვის.

32. მართვის უფლების უქონლობაში, რაზედაც მითითებულია საქართველოს რესპუბლიკის სსკ 243-ე მუხლის მეორე ნაწილში, კანონი გულისხმობს, რომ დამნაშავეს არა აქვს იმ სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება, რომელსაც იგი იტაცებს ან ჩამორთმეული აქვს იგი კანონით დადგენილი წესით.

33. სატრანსპორტო საშუალების გატაცება ძალადობით (სსკ 243-ე მუხლის მესამე ნაწილი) გულისხმობს ნებისმიერ ძალადობას, როგორც სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიშს, ისე ასეთი საშიშროების გარეშე. ძალადობის საშიშროების ხარისხს ქმედების კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობა არა აქვს (პირი ყველა შემთხვევაში პასუხს აგებს 243-ე მუხლის მესამე ნაწილით); იგი ზეგავლენას ახდენს სასჯელის ზომაზე; სხვა თანასწორ პირობებში, ქმედების ერთდამივე კვალიფიკაციისას, უფრო მკაცრად დაიხება ის, ვინც მანქანა გაიტაცა დაზარალებულებისადმი სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობის გამოყენებით, ვიდრე ის პირი, ვინც გამოიყენა ისეთი ძალადობა, რაც არ იყო საშიში დაზარალებულის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის.

34. მუქარით სატრანსპორტო საშუალების გატაცებაში იგულისხმება ისეთი მუქარა, რომელიც მოიცავს იმ ძალადობის გამოყენების შესაძლებლობას, რაც 243-ე მუხლის მესამე ნაწილშია გათვალისწინებული და რომლის შესახებაც განმარტებულია წინამდებარე დადგენილებების 33-ე პუნქტში.

35. სატრანსპორტო საშუალების მითვისების მიზნით გატაცების დროს ქმედება უნდა დაკვალიფიციკრდეს დანაშაულთა ერთობლიობით — საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 243-ე მუხლით და სახელმწიფო

ან მოქალაქეთა ბირადი ქონების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის მისი მუხლით.

36. 243-ე მუხლით, მძიმე შედეგად ითვლება სატრანსპორტო საშუალების გატაცება, რასაც მოჰყვა, მაგალითად, ადამიანის სიკვდილი, სხეულის მძიმე დაზიანება ან განსაკუთრებით დიდი ოდენობით მატერიალური ზარალი და სხვა.

37. სასამართლოებმა მტკიცედ უნდა დაიცვან ავტოსატრანსპორტო დანაშაულთა საქმეების განხილვის კანონით დადგენილი ვადები, ამაღლონ მათი განხილვის კულტურა, საქმის კონკრეტული გარემოების მიხედვით, სასამართლომ თვითონ შეარჩიოს მოცემულ საქმეთა განხილვის პროცესუალური ფორმები.

განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ ამ კატეგორიის დანაშაულთა პროფილაქტიკის საკითხებს, დანაშაულის წარმომშობი მიზეზებისა და ხელშემწყობი პირობების დადგენას, კერძო განჩინებებით მოახდინონ მათზე სათანადო რეაგირება, ფართოდ გამოიყენონ ამ საქმეში ინფორმაციის საშუალებები — პრესა, რადიო, ტელევიზია.

38. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ, აფხაზეთის და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უზენაესმა სასამართლოებმა და თბილისის საქალაქო სასამართლომ სისტემატურად შეისწავლონ და განაზოგადონ ავტოსატრანსპორტო დანაშაულთა საქმეების განხილვის პრაქტიკა, ქვემდგომ სასამართლოებს გაუწიონ პრაქტიკული დახმარება ამ კატეგორიის საქმეებზე კანონმდებლობის სწორად გამოყენებისა და ერთიანი სასამართლო პრაქტიკის უზრუნველსაყოფად.

39. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს პლენუმის 1987 წლის 23 ოქტომბრის №6 დადგენილება „ავტოსატრანსპორტო დანაშაულთა საქმეებზე სასამართლო პრაქტიკის შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1970 წლის 6 ოქტომბრის №11 დადგენილების შესრულების თაობაზე.

უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე მ. შარმახლიძე

პლენუმის მდივანი, უზენაესი სასამართლოს წევრი დ. ხელაია

კონვენცია სამხედრო ტყვეებთან მოკურობის შესახებ*

იმ ქვეყნის თანხმობით, რომლის სახელზეც ირიცხება სამხედრო ტყვე, მას შეუძლია მოახდინოს თავის ქვეყანაში გადახდა შემდეგნაირად: დამტყვევებელი ქვეყანა, მფარველი სახელმწიფოს მეშვეობით, აღნიშნულ ქვეყანას გადასცემს ავიზოს, რომელშიც არის ყველა აუცილებელი მონაცემი გადამხდელის და ფულის მიმღების შესახებ, ასევე აღნიშნულია დამტყვევებელი ქვეყნის ვალუტაში გამოხატული გადასახდელი ფულის რაოდენობა. ავიზოს ხელს აწერს დაინტერესებული სამხედრო ტყვე და ბანაკის მეთაური. დამტყვევებელი ქვეყანა ამ თანხას ჩაწერს სამხედრო ტყვის ანგარიშის დებეტზე. ეს დებეტი დამტყვევებელი ქვეყნის მიერ ჩაიწერება იმ ქვეყნის კრედიტზე, რომლის სახელზეც ირიცხებიან სამხედრო ტყვეები.

ზემოხსენებულ დებულებათა გამოყენების მიზნით, დამტყვევებელ ქვეყანას შეუძლია ისაგრებლოს ამ კონვენციის V დამატებაში მოყვანილი ტიპური წესებითა.

მუხლი 64. დამტყვევებელი ქვეყანა ყოველი სამხედრო ტყვის სახელზე ხსნის პირად ანგარიშს, რომელშიც; სულ მცირე, შედის შემდეგი თანხები:

1) თანხები, რომელიც ეკუთვნის ან მიღებულია ავანსის სახით ფულადი უზრუნველყოფისათვის, ხელფასის ან სხვა შესატანების სახით; სამხედრო ტყვისათვის ჩამორთმეული ფულადი თანხები დამტყვევებელი ქვეყნის ვალუტით; ჩამორთმეული თანხა, რომელიც მფლობელის თხოვნით გადაყვანილია აღნიშნული ქვეყნის ვალუტაზე.

2) ნაღდ ანგარიშზე ან სხვა ანალოგიური ფორმით მიღებული თანხები. მფლობელის სახელით ან თხოვნით გადახდილი თანხები 63-ე მუხლის III აბზაცის თანახმად.

მუხლი 65. ყოველი ჩანაწერი ანგარიშში ხელმოწერილი ან პარაფირებული უნდა იყოს სამხედრო ტყვის ან მისი სახელით მოქმედი ნდობით აღჭურვილი პირის მიერ.

სამხედრო ტყვეებს ყოველთვის უნდა მიეცეთ შესაძლებლობა, გაეცნონ თავისი ანგარიშების მდგომარეობას და მიიღონ მათი ასლები, რომელთა შემოწმებაც შეუძლიათ ბანაკის მონახულების დროს მფარველი სახელმწიფოს წარმომადგენლებს.

ერთი ბანაკიდან მეორეში გადაყვანისას გადადის პირადი ანგარიშებიც. დამტყვევებელი ქვეყნის მიერ სხვა ქვეყნისათვის ტყვეების გადაცემის შემთხვევაში, თანხა, რომელიც არ არის გადაყვანილი დამტყვევებელი ქვეყნის ვალუტაზე, გადადის ტყვეებთან ერთად. ანგარიშის კრედიტზე დარჩენილი თანხის შესახებ მათ ეძლევათ მოწმობა.

* დასასრული. დასაწყისი იხ. ჟურნ. „სამართალი“ 1992, № 4.

კონფლიქტში მყოფ მხარეებს შეუძლიათ, დროდადრო, მფარველი მწიფოს მეშვეობით, ერთმანეთს აცნობონ სამხედრო ტყვეთა სწავარსებულ თანხების შესახებ.

მუხლი 66. ტყვეობის დამთავრების შემდეგ სამხედრო ტყვეების გათავსუფლების ან რეპატრიაციის შემდეგ დამტყვევებელმა ქვეყანამ ტყვეების ქვეყანას უნდა მისცეს დოკუმენტი, ამ ქვეყნის სათანადოდ რწმუნებული ოფიცრის ხელმოწერით დადასტურებული, რომელშიც მითითებული იქნება მისთვის კუთვნილი საკრედიტო სალდო. დამტყვევებელი ქვეყანა, მფარველი სახელმწიფოს მეშვეობით, ქვეყანას, რომლის სახელზეც ირიცხებიან სამხედრო ტყვეები, უგზავნის იმ სამხედრო ტყვეების სიებს, რომელთა ტყვედ ყოფნა დასრულდა რეპატრიაციით, გათავსუფლებით, გაქცევით, სიკვდილით ან სხვა სახით; მიუთითებს მათ საკრედიტო სალდოს. ამ სიის თითოეული ფურცელი დამოწმებული უნდა იყოს დამტყვევებელი ქვეყნის რწმუნებული წარმომადგენლის მიერ.

ამ მუხლის ნებისმიერი ზემოხსენებული დებულება შეიძლება შეიცვალოს კონფლიქტში მყოფ მხარეთა ორმხრივი დებულებების საფუძველზე.

სახელმწიფო, რომლის სახელზეც ირიცხება სამხედრო ტყვე პასუხისმგებელია დამტყვევებელი ქვეყნისაგან მისთვის კუთვნილი საკრედიტო სალდოს შესახებ საკითხის მოგვარებაში ტყვეობის დამთავრების შემდეგ.

მუხლი 67. მე-60 მუხლის თანახმად, ფულადი უზრუნველყოფისათვის გაცემული ავანსები ითვლება იმ სახელმწიფოს მიერ გაცემულ ავანსებად, რომლის სახელზეც ირიცხებიან ტყვეები, ამგვარი ავანსები, აგრეთვე სხვა გადასახადები, მითითებული 63-ე მუხლის III აბზაცში და 68-ე მუხლში. წარმოდგენს დაინტერესებულ მხარეთა შორის შეთანხმების საგანს საომარი მოქმედებების დამთავრების შემდგომ.

მუხლი 68. ნებისმიერი მოთხოვნა სამხედრო ტყვისა, სამუშაოს შედეგად დასახიჩრების ან ინვალიდობის გამო კომპენსაციის თაობაზე, მფარველი სახელმწიფოს მეშვეობით ეგზავნება სახელმწიფოს, რომლის სახელზეც იგი ირიცხება. 54-ე მუხლის თანახმად, დამტყვევებელი ქვეყანა ყველა შემთხვევაში გასცემს დოკუმენტს, რომელშიც ნაჩვენებია დასახიჩრების ან ინვალიდობის ხასიათი, გარემოებანი, რომელშიც იგი მოხდა, გაწეული სამედიცინო სტაციონარული მკურნალობის მონაცემები. დოკუმენტს ხელს აწერს დამტყვევებელი ქვეყნის პასუხისმგებელი ოფიცერი, ხოლო სამედიცინო მონაცემები დამოწმებული უნდა იყოს სამედიცინო სამსახურის ექიმის მიერ.

სამხედრო ტყვის ნებისმიერი მოთხოვნა, მე-18 მუხლის თანახმად მისთვის ჩამორთმეული პირადი ნივთების, ფულის თუ ძვირფასეულობის შესახებ, რომელიც არ გადაეცემა მას რეპატრიაციის დროს, ასევე, კომპენსაციის მოთხოვნა ზარალისათვის, რომელიც მისი აზრით, მან განიცადა დამტყვევებელი სახელმწიფოს ან მისი ნებისმიერი წარმომადგენლისაგან, ეგზავნება ქვეყანას, რომლის სახელზეც ირიცხება მოცემული პირი. ტყვეობაში ყოფნის დროს აუცილებელი ყოველგვარი პირადი მოხმარების ნივთით სამხედრო ტყვეს უზრუნველყოფს დამტყვევებელი ქვეყანა. დამტყვევებელი ქვეყანა სამხედრო ტყვეს აძლევს პასუხისმგებელი ოფიცრის მიერ ხელმოწერილ დოკუმენტს. რომელშიც მითითებულია აღნიშნული ნივთების, ფულის ან ძვირფასეულობის არდაბრუნების მიზეზები. ამ დოკუმენტის ასლს 123-ე მუხლში მითითებულ სამხედრო ტყვეთა საქმეების ცენტრალური სააგენტო უგზავნის ქვეყანას, რომლის სახელზეც ირიცხება სამხედრო ტყვე.

სამხედრო ტყვეთა კავშირი გარე სამყაროსთან

მუხლი 69. როგორც კი მოხდება დატყვევება, დამტყვევებელი სახელმწიფო ტყვეებს და შესაბამის სახელმწიფოს აცნობებს ამ ნაწილის დებულებათა შესასრულებლად მიღებული ღონისძიებების შესახებ. დაინტერესებულ მხარეებს იგი აცნობებს ამ ღონისძიებათა ცვლილებების შესახებაც.

მუხლი 70. ყოველ სამხედრო ტყვეს დატყვევების მომენტიდან ან თუნდაც, სატრანზიტო ბანაკში მისვლიდან უახლოესი ერთი კვირის ვადაში, ასევე ავადმყოფობის გამო ლაზარეთში გადასვლის ან სხვა ბანაკში გადაყვანის შემთხვევაში, შესაძლებლობა ექნება ერთს მხრივ, თავის ოჯახს, მეორეს მხრივ — 123-ე მუხლში მითითებული სამხედრო ტყვეთა საქმეების ცენტრალურ სააგენტოს გაუგზავნოს საფოსტო ბარათი, თუ შესაძლებელია — შედგენილი ამ კონვენციაზე დამატების სახით დართული ნიმუშის მიხედვით.

(ნიმუში არ არის მოყვანილი).

ბარათით იგი აცნობებს ტყვედ ჩავარდნას, თავის ჯანმრთელობის მდგომარეობას, მისამართს. ამ ბარათების გადაგზავნა უნდა მოხდეს უმოკლეს დროში, მათი დაყოვნება დაუშვებელია.

მუხლი 71. სამხედრო ტყვეებს ნებადართული აქვთ, გაგზავნონ და მიიღონ წერილები და საფოსტო ბარათები. თუ დამტყვევებელი სახელმწიფო აუცილებლად ჩათვლის კორესპონდენციის შეზღუდვას, მან, უკიდურეს შემთხვევაში, უნდა დაუშვას თვეში ამ კონვენციაზე დართული ნიმუშის საფუძველზე შედგენილი ორი წერილის და 4 საფოსტო ბარათის გაგზავნა, გარდა 70-ე მუხლში მითითებული ბარათებისა. (წერილისა და ბარათის ნიმუშები მოყვანილი არ არის).

სხვა შეზღუდვების შემოღება შეიძლება იმ შემთხვევაში, როცა მფარველი სახელმწიფო მიიჩნევს მათ სამხედრო ტყვეთა ინტერესებისათვის ზრუნვად, რაკი დამტყვევებელ ქვეყანას არ ჰყავს სათანადო რაოდენობის კვალიფიციური მთარგმნელები ცენზურის განხორციელებისათვის. თუ საჭიროა სამხედრო ტყვეებისათვის განკუთვნილი კორესპონდენციის შეზღუდვა, ამას ზოგიერთ შემთხვევაში, დამტყვევებელი ქვეყნის საფუძველზე ახორციელებს სახელმწიფო, რომლის სახელზეც ირიცხებიან ტყვეები.

ეს წერილები და ბარათები იგზავნება დამტყვევებელი სახელმწიფოს ხელთ არსებული უსწრაფესი საშუალებით. მათი დაკავება ან შეფერხება, დისციპლინური მოქმედების მიზნით, დაუშვებელია.

სამხედრო ტყვეებს, რომელთაც დიდი ხანია არ მიუღიათ ან არ შეუძლიათ მიიღონ შეტყობინება ოჯახიდან, ასევე მათ, ვინც დიდი მანძილით არიან დაშორებული ახლობლებს, ნებადართული აქვთ გაგზავნონ დეპეშები. დეპეშების საფასური გადახდილი იქნება ნაღდად, ან შევა მათი პირადი ანგარიშის დებეტში. ამგვარი შესაძლებლობა ექნებათ სამხედრო ტყვეებს გადაუღებელი აუცილებლობის შემთხვევაშიც.

როგორც წესი, სამხედრო ტყვეები კორესპონდენციას აწარმოებენ მშობლიურ ენაზე. კონფლიქტში მყოფმა მხარეებმა შეიძლება დაუშვან მიმოწერა სხვა ენებზეც.

ტომრები სამხედრო ტყვეთა კორესპონდენციითურთ სათანადოდ უნდა დაილუქოს და მათზე უნდა დაეკრას იარლიყი შემადგენლობის ზუსტი მითი-

თებით. ტომრები იგზავნება დანიშნულების ადგილის საფოსტო განყოფილებაში.

მუხლი 72. სამხედრო ტყვეებს შეუძლიათ, ფოსტით ან სხვა საშუალებით, მიიღონ ინდივიდუალური ან კოლექტიური ამანათები. ამანათებში შეიძლება იყოს კვების პროდუქტები, ტანსაცმელი, მედიკამენტები, ასევე, მათ რელიგიური მიათხვეწილებების, განათლებისა და გართობისათვის საჭირო საგნები წიგნების, საკულტო საგნების, სამეცნიერო მუშაობისათვის საჭირო აპარატურის, საგამოცდო მასალების, მუსიკალური ინსტრუმენტების, სპორტული ინვენტარის, სწავლისა ან მხატვრულ მოღვაწეობასთან დაკავშირებული ნივთების ჩათვლით.

ეს ამანათები არავითარ შემთხვევაში არ ათავისუფლებს დამტყვევებელ ქვეყანას მასზე ამ კონვენციით დაკისრებულ ვალდებულებებისაგან.

მხოლოდ მფარველ სახელმწიფოს შეუძლია შესთავაზოს შეზღუდვები სამხედრო ტყვეთა ინტერესების შესაბამისად ან ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის სისტემის გადატვირთვის დროს.

შეზღუდვა ეხება წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის ან ტყვეთა დამხმარე სხვა ორგანიზაციის ამანათებს. საჭიროების შემთხვევაში, ინდივიდუალური და კოლექტიური ამანათების გაგზავნის რიგითობა დადგინდება დაინტერესებულ მხარეთა სპეციალური შეთანხმებებით. არავითარ შემთხვევაში არ უნდა შეფერხდეს სამხედრო ტყვეთა დასახმარებლად გამოგზავნილი ამანათების მიღება. არ შეიძლება წიგნების ჩადება პროდუქტებთან და ტანსაცმოსთან ერთად. სამედიცინო საგნები, როგორც წესი, კოლექტიური ამანათებით იგზავნება.

მუხლი 73. როდესაც დაინტერესებული მხარეები სპეციალურად არ შეთანხმებულან კოლექტიური ამანათების მიღების და განაწილების თაობაზე, გამოყენებული იქნება ამ კონვენციაზე დამატების სახით დართული წესები კოლექტიური ამანათების შესახებ (წესები მოყვანილი არ არის).

შემოსვენებით სრულებით არ იზღუდება ნდობით აღჭურვილ პირთა უფლება — მიიღონ, გაანაწილონ ან გამოიყენონ სამხედრო ტყვეთა ინტერესების დაცვით მათთვის გამოგზავნილი კოლექტიური ამანათები.

ასევე, არ იზღუდება კოლექტიური ამანათების განაწილებაზე მფარველი სახელმწიფოს, წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის ან სამხედრო ტყვეების დამხმარე ნებისმიერი სხვა ორგანიზაციის წარმომადგენელთა მხრივ კონტროლის უფლება. აღნიშნული პირები პასუხისმგებელნი არიან ამანათების გადაცემაზე.

მუხლი 74. სამხედრო ტყვეთათვის განკუთვნილი ყოველგვარი ამანათი თავისუფლდება საბაჟო ბეგარისა და სხვა გადასახადებისაგან.

122-ე მუხლში მითითებული ცნობათა ბიუროს ან 123-ე მუხლში მითითებული სამხედრო ტყვეთა საქმეების ცენტრალური სააგენტოს მეშვეობით, სამხედრო ტყვეებისათვის გათვალისწინებული ან მათ მიერ ფოსტით გაგზავნილი კორესპონდენციები, ამანათები, ნებადართული ფულადი გადარიცხვები თავისუფალია საფოსტო გადასახადებისაგან როგორც გამგზავნ, ისე ადრესატ და შეიძლება ქვეყნებში.

ზარკებს სამხედრო ტყვეთათვის გათვალისწინებული ამანათებისათვის, რომლებიც თავიანთი წონის გამო ან რაიმე სხვა მიზეზით არ შეიძლება ფოსტით გაიგზავნოს, გადაიხდის დამტყვევებელი ქვეყანა მისი კონტროლის ქვეშ

მყოფ მთელ ტერიტორიაზე. კონვენციის წევრი სხვა სახელმწიფოები ხარა-
ჯებს გაიღებენ მათ ტერიტორიაზე გადატანისას.

დაინტერესებულ მხარეებს შორის სპეციალური შეთანხმების არქონის შემთხვევაში ამგვარ ამანათთა გაგზავნა, რომლებიც არ ხდებდა შემოსხენებუ-
ლი შეღავათების ქვეშ, ხდება გამგზავნის ხარჯით.

მოლაპარაკებაში მონაწილე მხარეები შეეცდებიან შეძლებისამებრ შეამ-
ცირონ სამხედრო ტყვეების მიერ ან მათთვის გაგზავნილი დეპეშებისათვის
დაწესებული ჩიხრი.

მუხლი 75. იმ შემთხვევებში, როცა საომარი ოპერაციები ხელს უშლის
დაინტერესებულ მხარეებს 70, 71, 72 და 77 მუხლებში მითითებული მათი
ვალდებულებების შესრულებაში, დაინტერესებული მფარველი სახელმწიფო-
ები, წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტი ან კონფლიქტში მყოფი მხა-
რეების მიერ აღიარებული ნებისმიერი სხვა ორგანიზაცია კისრულობს ამ ამა-
ნათების გადაგზავნას შესაბამისი სატრანსპორტო საშუალებებით (ვაგონები,
საბარგო ავტომანქანები, გემები, თვითმფრინავები და ა. შ.). ამ მიზნით მოლა-
პარაკებაში მონაწილე მხარეები ცდილობენ გამოიყონ სატრანსპორტო საშუა-
ლებები და დააწესონ მათი მოძრაობა სპეციალური საშვის მეშვეობით.

იმავე საშვის გამოყენებით შეიძლება გადაიტანონ:

a) კორესპონდენცია; სიები და მოხსენებები, რომლებსაც ცვლიან 123-ე
მუხლში მითითებული ცნობათა ცენტრალური სააგენტო და 122-ე მუხლში
მითითებული ეროვნული ბიურო;

b) კორესპონდენცია, მოხსენებები სამხედრო ტყვეთა შესახებ, რომლებ-
საც ცვლიან მფარველი სახელმწიფოები, წითელი ჯვრის საერთაშორისო კო-
მიტეტი და სხვა დამხმარე ორგანიზაციები როგორც თავის წარმომადგენლებ-
თან, ისე კონფლიქტში მყოფ მხარეებთან.

მოცემული დებულებანი არ ზღუდავს კონფლიქტში მყოფ ნებისმიერ მხა-
რეს გამოიყენოს ტრანსპორტირების სხვა საშუალება ან გასცეს საში ორ-
მხრივი შეთანხმებების დადგენილი პირობების დაცვით.

სპეციალური შეთანხმებების არარსებობის შემთხვევაში ამ სატრანსპორ-
ტო საშუალებათა გამოყენებასთან დაკავშირებულ ხარჯებს გაიღებს კონფ-
ლიქტში მყოფი ის მხარე, რომლის მოქალაქეებსაც უწევენ დახმარებას.

მუხლი 76. სამხედრო ტყვეებისათვის განკუთვნილი ან მათ მიერ გაგ-
ზავნილი კორესპონდენციის ცენზურა უნდა მოხდეს უმოკლეს დროში. ცენ-
ზურა ხდება გამგზავნი და მიმღები სახელმწიფოების მიერ მხოლოდ ერთხელ.

სამხედრო ტყვეებისთვის გათვალისწინებული ამანათების დათვალიერება
არ უნდა მოხდეს ისეთ პირობებში, რომ გაფუჭდეს მათში შემავალი კვების
პროდუქტები, გარდა ბეჭდვითი ან ნაწერი მასალის შემცველი ამანათებისა,
სხვა ამანათების დათვალიერება უნდა მოხდეს ადრესატის ან მის მიერ სათა-
ნადოდ რწმუნებული პირის თანდასწრებით. ტყვეებისათვის ინდივიდუ-
ალური ან კოლექტიური ამანათების გადაცემა არ უნდა შეაფერხოს ცენზურამ.

კონფლიქტში მყოფი მხარის მიერ სამხედრო ან პოლიტიკური მიზნებით
შემოღებული კორესპონდენციის ნებისმიერი აკრძალვა შეიძლება იყოს დროე-
ბითი და მივი ვადა უნდა იყოს რაც შეიძლება ხანმოკლე.

მუხლი 77. დამტყვევებელი სახელმწიფოები უზრუნველყოფენ მფარვე-
ლი სახელმწიფოს ან 123-ე მუხლში გათვალისწინებულ სამხედრო ტყვეთა

საქმეების ცენტრალური სააგენტოს მეშვეობით სამხედრო ტყვეების კუთვნილი ან მათ მიერ შედგენილი ყოველგვარი აქტების, საქმიანი ქაღალდების და დოკუმენტების, კერძოდ — ანდერძების, მინდობილობების გადაცემას.

ყველა შემთხვევაში დამტყვევებელი სახელმწიფო დაეხმარება სამხედრო ტყვეებს ამ დოკუმენტების შედგენაში, კერძოდ — ნებას დართავს მათ, მიიღონ კვალიფიციური კონსულტაცია იურისტისაგან და მიიღებს ზომებს, რათა უზრუნველყოს ტყვეთა ხელმოწერის დამოწმება.

ნაწილი VI

სამხედრო ტყვეთა ურთიერთობა ხელისუფლებასთან

თავი I

სამხედრო ტყვეთა საჩივრები ბანაკის რეჟიმის თაობაზე

მუხლი 78. სამხედრო ტყვეებს შეუძლიათ, რაიმე თხოვნით მიმართონ სამხედრო ხელისუფალთ ტყვეობის დროს მათთვის დაწესებული რეჟიმის თაობაზე.

მათ უფლება აქვთ, ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე, უშუალოდ ან ნდობით აღჭურვილი პირის მეშვეობით დაუკავშირდნენ მფარველ სახელმწიფოთა წარმომადგენლებს, რათა მათი ყურადღება გაამახვილონ რეჟიმის იმ მომენტებზე, რომელთა შესახებ მათ საჩივრები აქვთ.

ეს შუამდგომლობები და საჩივრები არ იქნება შეზღუდული და არ ჩაითვლება 71-ე მუხლში მითითებული კორესპონდენციის კვტად. საჩივრები გადაიცემა სასწრაფოდ. არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება მათ გამო დასჯა იმ შემთხვევაშიც კი, თუ ისინი მიჩნეულია დაუსაბუთებლად.

ნდობით აღჭურვილ პირებს შეუძლიათ მფარველი სახელმწიფოების წარმომადგენლებს პერიოდულად გაუგზავნონ მოხსენებები ბანაკებში შექმნილი მდგომარეობის, და სამხედრო ტყვეთა საჭიროებების შესახებ.

თავი II

სამხედრო ტყვეთა წარმომადგენლები

მუხლი 79. იმ ადგილებში, სადაც არიან სამხედრო ტყვეები ოფიცრების გამოკლებით, ისინი თავისუფლად, ფარული კენჭისყრით ყოველ ექვს თვეში და ვაკანსიების შემთხვევაში ირჩევენ ნდობით აღჭურვილ პირებს. ეს პირები მათი წარმომადგენლები არიან სამხედრო ხელისუფალთა, მფარველი სახელმწიფოების, წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის და სხვა დამხმარე ორგანიზაციების წინაშე. შეიძლება მათი გადარჩევა.

ოფიცერთა და მათთან გათანაბრებულ პირთა ბანაკებში ნდობით აღჭურვილი პირი ხდება წოდებით და სტაჟით უფროსი სამხედრო ტყვე ოფიცერი. ოფიცერთა ბანაკებში მას ეხმარება ოფიცერთა წრიდან არჩეული ერთი ან რამდენიმე კონსულტანტი. შერეულ ბანაკებში მის თანაშემწეებს არაოფიცერთა წრიდან ირჩევენ სამხედრო ტყვეები.



სამხედრო ტყვეთა შრომით ბანაკებში მოთავსდებიან იმავე მოქალაქეობის სამხედრო ტყვე ოფიცრები, რათა შეასრულონ ადმინისტრაციული ფუნქციები. ეს ოფიცრები შეიძლება არჩეულ იქნენ ამ მუხლის I აბზაცის თანახმად ნდობით აღჭურვილ პირებად, ასეთ შემთხვევაში მათი თანაშემწეები არჩეული იქნებიან არაოფიცერი სამხედრო ტყვეებისაგან.

ნდობით აღჭურვილ ყოველ პირს, ვიდრე ის მოვალეობათა აღსრულებას შეუძლება, ამტკიცებს დამტყვევებელი ქვეყანა. იმ შემთხვევაში, თუ დამტყვევებელი ქვეყანა უარს იტყვის არჩეულის დამტკიცებაზე, მან უარის მიზეზები უნდა აცნობოს მფარველ სახელმწიფოს.

ყველა შემთხვევაში ნდობით აღჭურვილი პირის მოქალაქეობა, ენა და ჩვევები უნდა იყოს იგივე, რაც იმ სამხედრო ტყვეებისა, რომლებსაც ის წარმოადგენს. ამგვარად, მოქალაქეობის მიხედვით დანაწილებულ სამხედრო ტყვეებს ყოველ სექტორში თავისი ნდობით აღჭურვილი პირი ჰყავთ, წინა აბზაცების დებულებათა შესაბამისად.

მუხლი 80. ნდობით აღჭურვილმა პირებმა ხელი უნდა შეუწყონ სამხედრო ტყვეთა ფიზიკურ, მორალურ და ინტელექტუალურ კეთილდღეობას.

კერძოდ თუ, ტყვეებმა გადაწყვიტეს ურთიერთდახმარების სისტემის ორგანიზება, მისი გამგებლობა ეკისრებათ ნდობით აღჭურვილ პირებს, გარდა ამ კონვენციით ნაკისრი ვალდებულებებისა.

ნდობით აღჭურვილი პირები პასუხს არ აგებენ მხოლოდ თავიანთი ვალდებულებების საფუძველზე სამხედრო ტყვეების მიერ ჩადენილი სამართალდარღვევებისთვის.

მუხლი 81. ნდობით აღჭურვილ პირებს იძულებით არ უნდა შეასრულებინონ სამუშაო, რომელიც ხელს უშლის მათ ძირითადი ფუნქციების აღსრულებაში.

ნ. ა. პირებმა შეიძლება დანიშნონ თანაშემწეები ტყვეებისაგან. მათ ექნებათ ყველა საშუალება — კერძოდ, გადაადგილების გარკვეული თავისუფლება ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისათვის (სამუშაო რაზმების მონახულება, ამანათების მიღება და ა. შ.).

ნ. ა. პირებს ნებადართული აქვთ მოინახულონ ინტერნირებულ სამხედრო ტყვეთა სამყოფელი. ინტერნირებულ სამხედრო ტყვეებს აქვთ ნ. ა. პირებთან თავისუფალი კონსულტაციის უფლება.

ნ. ა. პირებს საშუალება ექნებათ აწარმოონ საფოსტო და სატელეგრაფო მიმოწერა დამტყვევებელი ქვეყნის ხელისუფლებასთან, მფარველ სახელმწიფოებთან, წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტთან და მის წარმომადგენლებთან, შერეულ სამედიცინო კომისიებთან, სამხედრო ტყვეთა დამხმარე ორგანიზაციებთან. სამუშაო რაზმების ნ. ა. პირნი ბანაკების ნ. ა. პირების თანაბარი შეღავათებით სარგებლობენ მიმოწერის დროს. ეს მიმოწერა არაფრით არ არის შეზღუდული. იგი არ შედის 71-ე მუხლში მითებული კვოტის სათვალავში.

ნ. ა. პირის სხვა ადგილზე გადაყვანა მოხდება მხოლოდ მას შემდეგ, რაც მას მიეცემა საკმარისი დრო, რომ თავის დამცველს გააცნოს საქმის არსი.

ნ. ა. პირის შეცვლის შემთხვევაში ცვლილების მიზეზს შეატყობინებენ მფარველ სახელმწიფოს.

სისხლის სამართლის და დისციპლინური სასჯელები

I. ზოგადი დებულებანი

მუხლი 82. სამხედრო ტყვეები ემორჩილებიან დამტყვევებელი ქვეყნის შეიარაღებულ ძალებში მოქმედ კანონებს, წესდებებს და ბრძანებულებებს. ამ ქვეყანას უფლება აქვს მიიღოს სისხლის სამართლის ან დისციპლინური ღონისძიებანი აღნიშნული კანონების, წესდებების, ბრძანებების დამრღვევი ნებისმიერი სამხედრო ტყვის მიმართ. მაგრამ არ უნდა დაუშვან ისეთი სასამართლო საქმის წარმოება და სასჯელის დაწესება, რომლებიც ეწინააღმდეგება ამ თავის დებულებებს.

თუ დამტყვევებელი ქვეყნის კანონებში, წესდებებსა და ბრძანებულებებში დასაჯადია სამხედრო ტყვეების მიერ ჩადენილი ისეთი ქმედებები, რომელთა გამოც არ ისჯებიან ამ ქვეყნის შეიარაღებული ძალების წევრები, მაშინ გამოტანილი იქნება მხოლოდ დისციპლინური სასჯელი.

მუხლი 83. როდესაც წყდება როგორი სახის სასჯელი — სისხლის სამართლის თუ დისციპლინური — უნდა დაედოს დანაშაულის ჩამდენ სამხედრო ტყვეს, დამტყვევებელმა ქვეყანამ ყურადღება უნდა მიაქციოს, რომ შესაბამისმა ხელისუფლებამ გამოიჩინოს მაქსიმალური შემწყნარებლობა და ყველა შესაძლო შემთხვევაში დისციპლინურ ზომებს მიმართოს, ვიორი სასამართლოს წესით ღიჟნას.

მუხლი 84. სამხედრო ტყვეს ასამართლებს სამხედრო სასამართლო, შეიძლება დამტყვევებელმა ქვეყანამ სამოქალაქო სასამართლოს მიანიჭოს სპეციალური უფლება გაასამართლოს ამ ქვეყნის შეიარაღებული ძალების წევრები იმავე დანაშაულისათვის, რომლის ჩადენაც ბრალად ედება სამხედრო ტყვეს.

არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება სამხედრო ტყვეთა გასამართლება ისეთი სასამართლოთი, რომელიც ვერ უზრუნველყოფს საყოველთაოდ აღიარებულ დამოუკიდებლობის და მიუმხრობლობის გარანტიებს, კერძოდ — სასამართლო, რომლის სასამართლო პროცედურა არ უზრუნველყოფს ბრალდებულს 105-ე მუხლში მითითებული დაცვის უფლებებით და საშუალებებით.

მუხლი 85. სამხედრო ტყვეები, რომლებიც განიცდიან ღიჟნას დამტყვევებელი ქვეყნის კანონმდებლობით დატყვევებამდე ჩადენილი ქმედებებისათვის, გასამართლების შემთხვევაშიც კი, ამ კონვენციის მფარველობით სარგებლობენ.

მუხლი 86. სამხედრო ტყვე ერთი და იმავე დანაშაულის გამო ან ერთი და იმავე ბრალდებით ისჯება მხოლოდ ერთხელ.

მუხლი 87. დამტყვევებელი ქვეყნის სამხედრო ხელისუფლებმა და სასამართლოებმა სამხედრო ტყვეებს არავითარ შემთხვევაში არ უნდა მიუსაჯონ რაიმე სხვა სასჯელი გარდა იმისა, რომლითაც ანალოგიური დანაშაულისათვის ისჯება ამ ქვეყნის შეიარაღებული ძალების წევრი.

სასჯელის გამოტანისას დამტყვევებელი ქვეყნის სასამართლოებმა და ხელისუფლებმა მაქსიმალურად უნდა გაითვალისწინონ ის ფაქტი, რომ

ბრალდებული ამ ქვეყნის მოქალაქე არ არის. არ არის დაკავშირებული მის დამი ერთგულების მოვალეობით და რომ, იგი მხოლოდ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იმყოფება მისი ზელისუფლების ქვეშ, მათ საშუალება ექნებათ შეამსუბუქონ შერაცხადი სამხედრო ტყვის მიერ ჩადენილი სამართალდარღვევისათვის სასჯელი. ამისათვის არ არის საჭირო ამ სასჯელისათვის გათვალისწინებული მინიმუმი დაიცვან.

იკრძალება კოლექტიური სასჯელები კოლექტიური დანაშაულისათვის, სხეთლის ყოველგვარი დასახიჩრება, დღის სინათლეს მოკლებულ შენობებში ჩაკეტვა, და საერთოდ, სისასტიკის ან წამების ნებისმიერი სახე.

დამტყვევებელ ქვეყანას არ შეუძლია რომელიმე სამხედრო ტყვეს ჩამოართვას წოდება ან განმასხვავებელი ნიშნის ტარების უფლება.

მუხლი 88. თანაბარი წოდების სამხედრო ტყვე ოფიცრებს, უნტერ-ოფიცრებს ან ჯარისკაცებს, რომლებიც იხდიან დისციპლინურ, ან სისხლის სამართლის სასჯელს, არ უნდა მოეპყრან უფრო მკაცრად, ვიდრე ანალოგიური დანაშაულისათვის დასჯილ დამტყვევებელი ქვეყნის შეიარაღებული ძალების წევრებს.

სამხედრო ტყვე ქალებს არ მოეპყრობიან უფრო მკაცრად, ვიდრე ანალოგიური სამართალდარღვევისათვის ეპყრობიან დამტყვევებელი ქვეყნის შეიარაღებული ძალების წევრ ქალებს.

სამხედრო ტყვე ქალების განაჩენი არ იქნება უფრო მკაცრი და დანაშაულის მოხდის დროს მოპყრობა არ იქნება უფრო მკაცრი, ვიდრე ეს გათვალისწინებულია დამტყვევებელი ქვეყნის შეიარაღებული ძალების წევრი კაცებისათვის.

სამხედრო ტყვეებს დისციპლინური ან სისხლის სამართლის სასჯელის მოხდის შემდეგ არ ეპყრობიან უფრო მკაცრად, ვიდრე სხვა სამხედრო ტყვეებს.

II. დისციპლინური სასჯელები

მუხლი 89. სამხედრო ტყვეებს შეიძლება დაედოთ შემდეგი დისციპლინური სასჯელები:

- 1) ჯარიმა სამხედრო ტყვეთათვის მე-60 და 62-ე მუხლებით გათვალისწინებული ხელფასის და ფულადი დაკმაყოფილებისათვის განსაზღვრული თანხის არაუმეტეს 50 პროცენტით. ჯარიმის მოქმედების ვადა არ აღემატება 30 დღეს.
- 2) ამ კონვენციით მინიჭებული უპირატესობების ჩამორთმევა.
- 3) რიგგარეშე განაწესები, არაუმეტეს 2 საათისა დღეში.
- 4) დაპატიმრება.

მე-3 პუნქტში მითითებული სასჯელი არ დაედება ოფიცრებს.

დისციპლინური სასჯელები არ უნდა იყოს არაადამიანური, სასტიკი ან სამხედრო ტყვეთა ჯანმრთელობისათვის საზიანო.

მუხლი 90. ერთი სასჯელის ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს 30 დღეს. დისციპლინური დანაშაულის დროს საქმის მოსმენამდე ან დისციპლინური სასჯელის გამოტანამდე წინასწარი დაკავების ვადა ჩაითვლება სამხედრო ტყვისათვის გამოტანილ სასჯელის ვადაში.

ზემოხსენებული მაქსიმალური ოცდაათდღიანი ვადა არ უნდა გაიზარდოს იმ შემთხვევაშიც, თუ სამხედრო ტყვემ პასუხი უნდა აგოს რამდე-

ნამე დისციპლინური დარღვევისათვის სასჯელის გამოტანის მომენტში. და მოუქიდებლად იმისაგან, დაკავშირებულია თუ არა ერთმანეთთან ეს დარღვევები.

დისციპლინური დარღვევის შესახებ გადაწყვეტილების გამოტანიდან მის აღსრულებამდე არ უნდა გავიდეს თვეზე მეტი.

თუ სამხედრო ტყვეს დაადებენ ახალ დისციპლინურ სასჯელს, ყოველი სასჯელის აღსრულების შორის არანაკლებ 3 დღე უნდა გავიდეს, თუ ერთ-ერთი სასჯელის ხანგრძლივობა აღწევს 10 ან მეტ დღეს.

მუხლი 91. სამხედრო ტყვის გაქცევა წარმატებულად ჩაითვლება, თუ:

- 1) იგი შეუერთდა მოკავშირე ქვეყნის ან იმ სახელმწიფოს შეიარაღებულ ძალებს, რომლის სახელზეც ირიცხება.
- 2) დატოვა დამტყვევებელი ქვეყნის ან მისი მოკავშირის ხელისუფლების ქვეშ მყოფი ტერიტორია.
- 3) მოხვდა გემზე, რომელიც ცურავს მოკავშირე ქვეყნის ან იმ ქვეყნის დროშით, რომლის სახელზეც ირიცხება ეს პირი. გემი შეიძლება დამტყვევებელი ქვეყნის ტერიტორიულ წყლებში იყოს, მაგრამ იმ პირობით, რომ არ ექვემდებარება ამ ქვეყნის კონტროლს.

სამხედრო ტყვეები, რომლებიც წარმატებით განხორციელებული გაქცევის შემდეგ კვლავ ტყვედ ჩავარდებიან, არ დაისჯებიან გაქცევისათვის.

მუხლი 92. სამხედრო ტყვე, რომელმაც სცადა გაქცევა ან დაჭრილი იქნა 91-ე მუხლის თანახმად წარმატებულად მიჩნეული გაქცევის განხორციელებამდე, რეციდივის შემთხვევაშიც კი, დაისჯება მხოლოდ დისციპლინური წესით.

ხელახლა დაჭრილი სამხედრო ტყვე დაუყოვნებლივ გადაეცემა შესაბამის სამხედრო ხელისუფლებას.

წარუმატებელი გაქცევისათვის დასჯილი სამხედრო ტყვეები 88-ე მუხლის მე-4 აბზაცის დებულების მიუხედავად, შეიძლება მოექცნენ განსაკუთრებული ზედამხედველობის ქვეშ იმ პირობით, რომ ეს განხორციელდება სამხედრო ტყვეთა ბანაკში, უარყოფით გავლენას არ მოახდენს მათი ჯანმრთელობის მდგომარეობაზე და არ გამოიწვევს ამ კონვენციით გათვალისწინებულ გარანტიების შეზღუდვას.

მუხლი 93. გაქცევა ან გაქცევის მცდელობა რეციდივის შემთხვევაშიც კი არ ჩაითვლება დამამძიმებელ გარემოებად, როცა სამხედრო ტყვე პასუხს აგებს სასამართლოს წინაშე გაქცევის მცდელობისას ჩადენილი სამართალდარღვევისათვის.

88-ე მუხლში მითითებული პრინციპის თანახმად, სამხედრო ტყვეების მიერ გაქცევის შემსუბუქების მიზნით ჩადენილი დანაშაული, რომელსაც არ გამოუწვევია ადამიანთა ჯანმრთელობის და სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართული ძალადობის აქტები, მაგალითად, დანაშაული საზოგადოებრივი საკუთრების წინააღმდეგ, ქურდობა, რომელიც არ არის განპირობებული გამდიდრების სურვილით, ყალბი დოკუმენტების დამზადება ან გამოყენება, სამოქალაქო ტანისამოსის გამოყენება, — ისჯება მხოლოდ დისციპლინური წესით.

გაქცევის თანამონაწილე სამხედრო ტყვეები ისჯებიან მხოლოდ დისციპლინური წესით.

მუხლი 94. გაქცეული, მაგრამ დაკავებული სამხედრო ტყვეების შესა-



ხებ 122-ე მუხლში მითითებული უნდა ეცნობოს სახელმწიფოს, რომლის სახელზეც ისინი ირიცხებიან, თუ აღრე მას აცნობეს მათი გაქცევის შესახებ.

მუხლი 95. დისციპლინური დანაშაულისათვის ბრალდებული სამხედრო ტყვეები წინასწარ პატიმრობაში იქნებიან აყვანილი იმ შემთხვევაში, თუ ანალოგიური დანაშაულისათვის წინასწარი პატიმრობაა გათვალისწინებული დამტყვევებელი ქვეყნის შეიარაღებული ძალების წევრებისათვის ან თუ ამის განწორციელება აუცილებელია ბანაკში წესრიგისა და დისციპლინის შენარჩუნებისათვის.

დისციპლინური დანაშაულისათვის წინასწარი პატიმრობის ვადა შემცირებული იქნება მინიმუმამდე, იგი არ უნდა აღემატებოდეს 14 დღეს.

ამ თავის 97-ე და 98-ე მუხლების დებულებანი გამოიყენება სამხედრო ტყვეთა შიშვართ, რომლებიც დისციპლინური დანაშაულისათვის წინასწარ პატიმრობას იხდიან.

მუხლი 96. დაუყოვნებლივ უნდა გამოიკვლიონ ქმედებანი, რომლებიც დისციპლინის დარღვევას წარმოადგენს.

გარდა გამონაკლისი შემთხვევებისა, რომლებიც სასამართლო ორგანოებს და უმაღლესი სამხედრო ხელისუფლების კომპეტენციაში შედის, დისციპლინურ სასჯელს ადებს ბანაკის მეთაურის სახით დისციპლინური ხელისუფლებით აღჭურვილი ოფიცერი ან პასუხისმგებელი ოფიცერი, რომელიც ცვლის მას ან რომელსაც მან გადასცა დისციპლინური ხელისუფლება.

ასეთი უფლებამოსილება არავითარ შემთხვევაში არ გადაეცემა სამხედრო ტყვეს და მას არ შეუძლია მისი აღსრულება.

წებისმიერი დისციპლინური სასჯელის დადებამდე სამხედრო ტყვეს ზუსტად ეცნობება დანაშაული, რომლის ჩადენაც ბრალად ედება. მას საშუალება ექნება ახსნას თავისი მოქმედება და დაიცვას თავი. კერძოდ, შეუძლია მიიწვიოს მოწმეები და საჭიროების შემთხვევაში, ისარგებლოს კვალიფიციური მთარგმნელის მომსახურებით. გადაწყვეტილება უნდა გამოცხადდეს ბრალდებულის ან ნდობით აღჭურვილი პირის თანდასწრებით.

ბანაკის მეთაურმა უნდა აწარმოოს დადებული დისციპლინური სასჯელების რეესტრი, რომელიც გასაცნობად ხელმისაწვდომი იქნება მფარველი სახელმწიფოს წარმომადგენლებისათვის.

მუხლი 97. დისციპლინური სასჯელის მოსახდელად სამხედრო ტყვეები არავითარ შემთხვევაში არ უნდა გადაიყვანონ გამასწორებელ დაწესებულებებში (ციხე, გამასწორებელი დაწესებულება, საკატორლო ციხე და სხვ.).

დისციპლინური სასჯელის მოხდისათვის გათვალისწინებული შენობა უნდა პასუხობდეს 25-ე მუხლით გათვალისწინებულ ჰიგიენის მოთხოვნებს. სასჯელის მოხდის პერიოდში სამხედრო ტყვეებს უფლება აქვთ დაიცვან სისუფთავე 29-ე მუხლის შესაბამისად.

ოფიცრები ან მათდამი გათანაბრებული პირები დაკავების დროს არ უნდა ამყოფონ იმავე შენობაში, სადაც არიან უნტერ-ოფიცრები ან რიგითები.

სამხედრო ტყვე ქალები, რომლებიც დისციპლინურ სასჯელს იხდიან, მოთავსებული იქნებიან მამაკაცებისაგან განცალკევებულ შენობაში ზედამხედველი ქალების მეთვალყურეობის ქვეშ.

მუხლი 98. დისციპლინური დანაშაულისათვის დაპატიმრებული სამხედრო ტყვეები აგრძელებენ მოცემული კონვენციის დებულებებით სარგებლობას გარდა შემთხვევებისა, როდესაც ისინი არ გამოიყენება მითითებული

პატიმრობის დროს, მათ არავითარ შემთხვევაში არ უნდა ჩამოართვეთ 78-ე და 126-ე მუხლებით გათვალისწინებული უფლებები.

დისციპლინურად დასჯილ სამხედრო ტყვეებს არ ჩამოერთმევათ მათი წოდებისათვის შესაფერისი უპირატესობანი.

დისციპლინურად დასჯილ სამხედრო ტყვეებს უფლება ექნებათ ყოველდღიურად ივარჯიშონ და არანაკლებ ორი საათი იყენონ სუფთა ჰაერზე.

თხოვნის საფუძველზე, საშუალება ექნებათ ყოველდღე გაიარონ სამედიცინო შემოწმება. ისინი მიიღებენ ჯანმრთელობის მდგომარეობის შესაბამის სამედიცინო დახმარებას, ხოლო აუცილებლობის შემთხვევაში მათ მოათავსებენ ბანაკის ლაზარეთში ან ჰოსპიტალში.

მათ ნებადართული აქვთ წაიკითხონ და დაწერონ, აგრეთვე მიიღონ და გაგზავნონ წერილები, მაგრამ, ამანათები და ფულადი გადარიცხვების გაგზავნა გადადებული იქნება სასჯელის მოხდამდე. ისინი გადაეცემა ნდობით აღჭურვილ პირს, რომელიც ამანათებში შემავალ ადვილადფუჭებად პროდუქტებს მიაწვდის ლაზარეთში მყოფ ტყვეებს.

III. სასამართლო წესით დევნა

მუხლი 99. არ შეიძლება სამხედრო ტყვე გადასცენ სასამართლოს ან დასაჯონ დანაშაულისათვის, რომელიც ჩადენის მომენტში არ ისჯება დამტყვევებელი ქვეყნის კანონმდებლობით ან საერთაშორისო სამართლით.

ნებისმიერი სახის მორალური ან ფიზიკური ზემოქმედება სამხედრო ტყვეზე იმ მიზნით, რომ მან თავი დამნაშავედ ცნოს, დაუშვებელია.

არ შეიძლება გაასამართლონ სამხედრო ტყვე, თუ მას არა აქვს თავის დაცვის საშუალება და არა ჰყავს კვალიფიციური დამცველი.

მუხლი 100. შესაძლებლობისთანავე სამხედრო ტყვეებს და მფარველ სახელმწიფოებს აცნობებენ იმ სამართალდარღვევების შესახებ, რომლებიც დამტყვევებელი ქვეყნის კანონებით სიკვდილით ისჯება.

არცერთი სამართალდარღვევისათვის არ შეიძლება გამოტანილ იქნეს სასიკვდილო განაჩენი, თუ ამას არ ეთანხმება ქვეყანა, რომლის სახელზეც ირიცხებიან სამხედრო ტყვეები.

სასიკვდილო განაჩენის გამოტანა შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა, 87-ე მუხლის მე-2 აბზაცის თანახმად, სასამართლოს ყურადღება გამახვილდება იმ ფაქტზე, რომ სამხედრო ტყვე არ არის მოცემული ქვეყნის მოქალაქე და მისდამი ერთგულების ვალდებულებით დაკავშირებული, მაგრამ მისი ხელისუფლების ქვეშ იმყოფება, მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო.

მუხლი 101. სასიკვდილო განაჩენი სისრულეში მოიყვანება ექვსი თვის გასვლის შემდეგ იმ დღიდან, რაც მფარველი სახელმწიფო მიიღებს 107-ე მუხლში გათვალისწინებულ დაწვრილებით შეტყობინებას.

მუხლი 102. სამხედრო ტყვეთა მიმართ გამოტანილი განაჩენი კანონიერი, თუ იგი გამოტანილია იმავე სასამართლოს მიერ და ისეთივე რიგით, როგორც ეს გათვალისწინებულია დამტყვევებელი ქვეყნის შეიარაღებული ძალების წევრთათვის. ამას გარდა, უნდა შესრულდეს ამ თავის დებულებები.

მუხლი 103. სამხედრო ტყვეთა ყოველგვარი საქმის სასამართლოს წესით განხილვა უნდა მიმდინარეობდეს იმდენად სწრაფად, რამდენადაც ამის საშუალებას იძლევა გარემოება; სასამართლო პროცესი უნდა დაიწყოს რაც შეიძლება მალე. არც ერთი სამხედრო ტყვე წინასწარ პატიმრობაში არ უნდა აიყვანონ, თუ ამგვარი ღონისძიება გათვალისწინებული არ არის დამტყვევებელი ქვეყნის შეიარაღებული ძალების წევრთათვის ანალოგიური სასამართლო დარღვევის ჩადენის შემთხვევაში და თუ ამას არ ითხოვს სახელმწიფო უშიშროების ინტერესები. წინასწარი პატიმრობის ვადა ჩაითვლება თავისუფლების აღკვეთის იმ ვადაში, რომელიც მას მიესჯება და გათვალისწინებული იქნება სასჯელის განსაზღვრის დროს.

წინასწარ პატიმრობაში მყოფი სამხედრო პირები სარგებლობენ ამ თავის 97-ე და 98-ე მუხლებში მითითებული დებულებებით.

მუხლი 104. სამხედრო ტყვის დამტყვევებელი ქვეყნის მიერ სასამართლო წესით დევნის შემთხვევას ეს ქვეყანა აცნობებს უმოკლეს დროში — სასამართლოში საქმის განხილვის დაწყებამდე არაუგვიანეს სამი კვირისა — მფარველ სახელმწიფოს, სამკვირიანი ვადა იწყება იმ დღიდან, როცა მფარველი სახელმწიფო მიიღებს მითითებულ მისამართზე ამ შეტყობინებას.

შეტყობინებაში უნდა შედიოდეს შემდეგი მონაცემები:

1) სამხედრო ტყვის გვარი, სახელი, წოდება, პირადი ნომერი, დაბადების წელი, პროფესია;

2) ინტერნირების ან დაკავების ადგილი;

3) დანაშაულის ან დანაშაულთა დაწვრილებით გადმოცემა კანონის გამოსაყენებელი მუხლების მითითებით;

4) სასამართლოს დასახელება, რომელიც გაარჩევს საქმეს; საქმის მოსმენის ადგილი და თარიღი.

იგივე შეტყობინება ეგზავნება სამხედრო პირის ნდობით აღჭურვილ პირს. თუ საქმის მოსმენის დაწყებისას არ დადასტურდება შეტყობინების მიღება მფარველი სახელმწიფოს, სამხედრო ტყვისა და დაინტერესებული, ნდობით აღჭურვილი პირის მიერ, საქმის მოსმენა გადაიდება.

მუხლი 105. სამხედრო ტყვეს უფლება აქვს ისარგებლოს ტყვეთა წრიდან ერთ-ერთი მეგობრის დახმარებით, იყოლიოს მის მიერ არჩეული კვალიფიციური ადვოკატი, ითხოვოს მოწმეების გამოძახება და თუ საჭიროდ თვლის, ისარგებლოს კომპეტენტური მთარგმნელის მომსახურებით. ამ უფლებათა შესახებ საქმის მოსმენის დაწყებამდე აცნობებს მას დამტყვევებელი ქვეყანა.

თუ სამხედრო ტყვე არ აირჩევს დამცველს, მფარველი სახელმწიფო, არანაკლებ ერთი კვირის ვადაში, უნიშნავს მას დამცველს და დამტყვევებელ ქვეყანას გადასცემს სიას იმ კვალიფიციური პირებისა, რომელთაც შეუძლიათ უზრუნველყონ დაცვა. როდესაც დამცველს არ ირჩევს არც სამხედრო ტყვე, არც მფარველი სახელმწიფო, დამტყვევებელი ქვეყანა თავად ნიშნავს ბრალდებულის დასაცავად ადვოკატს.

დამცველს საქმის მოსმენის დაწყებამდე სულ მცირე, ორი კვირა უნდა ჰქონდეს თავის განკარგულებაში, რათა მოემზადოს დაცვისათვის. კერძოდ, მას უფლება აქვს შეუზღუდავად მოინახულოს ბრალდებული და ესაუბროს მას მოწმეების გარეშე. მას შეუძლია მოეთათბიროს მოწმეებს, სამხედრო

ტყვეთა ჩათვლით. ამგვარი უფლებით იგი ისარგებლებს განაჩენის გასაჩივრების ვადის გასვლამდე.

სასამართლოს სხდომის გახსნის დღემდე, დიდი ხნით ადრე, ბრალდებულს მიიღებს მისთვის გასაგებ ენაზე ჩამოყალიბებულ საბრალდებო აქტს, ასევე დოკუმენტაციას, რომელსაც უნდა გაეცნოს ბრალდებულს დამტყვევებელი ქვეყნის შეიარაღებულ ძალებში მოქმედი კანონების მიხედვით. იმავე გარემოებებში აღნიშნული დოკუმენტაცია გადაეცემა დამცველსაც.

მფარველი სახელმწიფოს წარმომადგენლებს უფლება აქვთ, დაესწრონ სხდომებს, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ისინი ტარდება დაბურულად სახელმწიფოს უშიშროების უზრუნველყოფის მიზნით, ასეთ შემთხვევებში დამტყვევებელი ქვეყანა აღნიშნულის შესახებ წინასწარ აცნობებს მფარველ სახელმწიფოს.

მუხლი 106. ყოველ სამხედრო ტყვეს ისეთივე უფლება აქვს, შეიტანოს სააპელაციო ან საკასაციო საჩივარი ყოველგვარი განაჩენის გამო ან ითხოვოს საქმის გადახედვა, როგორც აქვთ დამტყვევებელი ქვეყნის შეიარაღებულ ძალებში შემავალ პირებს, იგი სრულად უნდა იყოს ინფორმირებული გასაჩივრების უფლების და გასაჩივრების ვადის შესახებ.

მუხლი 107. რომელიმე სამხედრო ტყვის მიმართ გამოტანილი განაჩენის შესახებ მოკლე შეტყობინებით ეცნობება მფარველ სახელმწიფოს. შეტყობინებაში მითითებული უნდა იყოს, აქვს თუ არა ბრალდებულს სააპელაციო ან საკასაციო გასაჩივრების ან საქმის გადახედვის მოთხოვნის უფლება. შეტყობინება ეგზავნება აგრეთვე, ნდობით აღჭურვილ პირს. იგივე ეცნობება სამხედრო ტყვეს მისთვის გასაგებ ენაზე, თუ განაჩენი გამოტანილი იქნება მისი არყოფნის შემთხვევაში. ამის გარდა, დამტყვევებელი ქვეყანა დაუყოვნებლივ აცნობებს მფარველ სახელმწიფოს ბრალდებულის გადაწყვეტილებას გასაჩივრების უფლების გამოყენების ან არგამოყენების შესახებ.

ამას გარდა, იმ შემთხვევაში, როცა განაჩენი ძალაში შევიდა და საქმე ენება პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ გამოტანილ სასიკვდილო განაჩენს, დამტყვევებელი ქვეყანა უმოკლეს დროში შეტყობინებას უგზავნის მფარველ სახელმწიფოს. შეტყობინებაში მითითებულია:

- 1) განაჩენის ზუსტი ტექსტი;
- 2) მოკლე ანგარიში წინასწარი გამოძიების და სასამართლოს მსვლელობის შესახებ, განსაკუთრებით ხაზგასმულია ბრალდების და დაცვის მომენტები;
- 3) შესაბამის შემთხვევაში მითითებულია ადგილი, სადაც განაჩენს სისრულეში მოიყვანენ.

წინა აბზაცებში მითითებული შეტყობინებები მფარველ სახელმწიფოს გაეგზავნება მისამართზე, რომელსაც ის წინასწარ აცნობებს დამტყვევებელ ქვეყანას.

მუხლი 108. კანონიერ ძალაში შესულ განაჩენს სამხედრო ტყვეები მოიხდებიან იმავე ადგილებსა და პირობებში, რომლებიც გათვალისწინებულია დამტყვევებელი ქვეყნის შეიარაღებული ძალების წევრთათვის. ეს პირობები უნდა პასუხობდეს ჰიგიენისა და ჰუმანურობის მოთხოვნებს.

სამხედრო ტყვე ქალები, რომელთა მიმართ გამოტანილია განაჩენი, თავსდებიან ცალკე შენობაში, ქალთა პერსონალის მეთვალყურეობის ქვეშ, თავისუფლებადკვეთილი სამხედრო ტყვეები, ნებისმიერ შემთხვევაში, სა-

რგებლობენ ამ კონვენციის 78-ე და 126-ე მუხლების მფარველობით. ამას გარდა, მათ ნებადართული აქვთ მიიღონ და გაგზავნონ კორესპონდენციები, თვეში მიიღონ არანაკლებ ერთი ამანათი, რეგულარულად ისეირნონ სუფთა ჰაერზე, მიიღებენ აგრეთვე, მათი ჯანმრთელობისათვის საკურო სამედიცინო დახმარებას და მოთხოვნის მიხედვით — სულიერ დახმარებას. მათზე დაკისრებული სასჯელები უნდა შეესაბამებოდეს 87-ე მუხლის მესამე აბზაცის დებულებებს.

პარი IV

ტყვეობის დასასრული

ნაწილი I

უშუალო რეპატრიაცია და ჰოსპიტალიზაცია ნეიტრალურ ქვეყნებში

მუხლი 109. ამ მუხლის მესამე აბზაცში მითითებული შემთხვევების გარდა, კონფლიქტში მყოფი მხარეები ვალდებული არიან, მომდევნო მუხლის I აბზაცის თანახმად, სამშობლოში გაგზავნონ მძიმე ავადმყოფი და მძიმედ დაჭრილი სამხედრო ტყვეები, მიუხედავად მათი წოდებისა და რაოდენობისა, მას შემდეგ, რაც მათი ჯანმრთელობის მდგომარეობის თანახმად, დასაშვები იქნება გადაყვანა.

სამხედრო მოქმედებების დროს კონფლიქტში მყოფი მხარეები შეეცდებიან შესაბამისი ნეიტრალური სახელმწიფოების დახმარებით, მომდევნო მუხლის II აბზაცის თანახმად, მოახდინონ დაჭრილი ან ავადმყოფი სამხედრო ტყვეების ჰოსპიტალიზაციის ორგანიზება. ამას გარდა, მათ შეუძლიათ შეთანხმდნენ იმ ჯანმრთელი სამხედრო ტყვეების რეპატრიაციის ან ნეიტრალურ ქვეყანაში ინტერნირების შესახებ, რომლებიც დიდი ხანია ტყვეობაში იმყოფებიან.

ამ მუხლის I აბზაცის თანახმად, რეპატრიაციისათვის მომზადებული არც ერთი დაჭრილი ან ავადმყოფი სამხედრო ტყვის ძალდატანებითი რეპატრიაცია არ შეიძლება სამხედრო მოქმედებების დროს.

მუხლი 110. უშუალო რეპატრიაციას ექვემდებარებიან:

- 1) განუკურნებელი დაჭრილები და ავადმყოფები, რომელთა გონებრივი ან ფიზიკური შესაძლებლობანი ძალზე დაქვეითებულია;
- 2) დაჭრილები და ავადმყოფები, რომლებიც ექიმთა პროგნოზით ვერ განიკურნებიან ერთი წლის განმავლობაში, რომელთა მდგომარეობა მოვლას ითხოვს, ხოლო გონებრივი ან ფიზიკური შესაძლებლობანი ძალზე დაქვეითებულია;
- 3) განუკურნებელი დაჭრილები და ავადმყოფები, რომელთა გონებრივი ან ფიზიკური შესაძლებლობანი საგრძნობლად და როგორც ჩანს, სამუდამოდ არის დაქვეითებული.

ნეიტრალურ ქვეყანაში ჰოსპიტალიზებული იქნებიან:

- 1) დაჭრილები და ავადმყოფები, რომელთა განკურნება შესაძლებელია დაჭრის მომენტიდან ან ავადმყოფობის დაწყებიდან 1 წლის განმავლობაში,

თუ ნეიტრალურ ქვეყანაში მკურნალობა იძლევა უფრო მოსალოდნელი და სწრაფი განკურნების შესაძლებლობას;

2) სამხედრო ტყვეები, რომელთა ფიზიკური ან ფსიქიკური მდგომარეობისათვის, ექიმთა აზრით, შემდგომი ტყვეობა სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენს და ამ საფრთხეს მათ ააცილებთ მხოლოდ ნეიტრალურ ქვეყანაში ჰოსპიტალიზაცია. პირობები, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდნენ ნეიტრალურ ქვეყნებში ჰოსპიტალიზებული სამხედრო ტყვეები მათი რეპატრიაციისათვის, ასევე მათი სტატუსი, განისაზღვრება დაინტერესებულ ქვეყნებს შორის შეთანხმებით. ჩვეულებრივ, ნეიტრალურ ქვეყანაში ჰოსპიტალიზებული ტყვეებიდან რეპატრირებული იქნებიან შემდეგი კატეგორიის სამხედრო ტყვეები:

1) ისინი, რომელთა ჯანმრთელობის მდგომარეობა ისე გაუარესდა, რომ საჭიროა დაუყოვნებლივი რეპატრიაცია;

2) ისინი, რომელთა გონებრივი ან ფიზიკური შესაძლებლობანი მკურნალობის შემდეგაც მკვეთრად დაქვეითებული დარჩა;

3) კონფლიქტში მყოფ დაინტერესებულ მხარებს შორის სპეციალური შეთანხმებების არარსებობის შემთხვევაში, რომლებიც განსაზღვრავენ ნეიტრალურ ქვეყანაში უშუალო რეპატრიაციის ან ჰოსპიტალიზაციის საჭიროებას ინვალიდობის ან დაავადების შემთხვევებში, ეს შემთხვევები დადგენილი იქნება ამ კონვენციაზე დართული ნეიტრალურ ქვეყანაში უშუალო რეპატრიაციის და ჰოსპიტალიზაციის შესახებ ტიპური შეთანხმების და შერეული სამედიცინო კომისიების შესახებ დადგენილების შესაბამისად (დადგენილება შერეული სამედიცინო კომისიების შესახებ მოყვანილი არ არის).

მუხლი 111. დამტყვევებელი ქვეყანა, რომლის სახელზეც ირიცხება სამხედრო ტყვეები, ასევე ნეიტრალური ქვეყანა, რომელზედაც ისინი შეთანხმდებიან, ეცდებიან შეთანხმდნენ საომარი მოქმედებების დამთავრებამდე ნეიტრალური ქვეყნის ტერიტორიაზე სამხედრო ტყვეთა ინტერნირების განხორციელების თაობაზე.

მუხლი 112. კონფლიქტის დაწყებისთანავე დაინიშნება შერეული სამედიცინო კომისიები დაჭრილი და ავადმყოფი სამხედრო ტყვეების გასინჯვის და მათ შესახებ ყველა საჭირო გადაწყვეტილების მიღებისათვის. ამ კომისიათა დანიშვნა, მოვალეობანი და მოღვაწეობა უნდა შეესაბამებოდეს ამ კონვენციის დამატების დებულებებს.

მაგრამ სამხედრო ტყვეები, რომლებიც დამტყვევებელი ქვეყნის სამედიცინო ხელისუფლების წარმომადგენელთა აზრით, მძიმედ დაჭრილი ან მძიმე ავადმყოფები არიან, დაუყოვნებლივ რეპატრირებული იქნებიან შერეულ სამედიცინო კომისიაში შემოწმების გავლის გარეშე.

მუხლი 113. გარდა დამტყვევებელი ქვეყნის სამედიცინო ხელისუფლების წარმომადგენელთა მიერ მითითებული სამხედრო ტყვეებისა, წინა მუხლში ნახსენებ შერეულ სამედიცინო კომისიებში შემოწმების უფლება აქვთ ქვემოთ ჩამოთვლილი კატეგორიების დაჭრილ ან ავადმყოფ სამხედრო ტყვეებს:

1) დაჭრილები და ავადმყოფები, რომლებსაც რეკომენდაცია მისცა ბანაკში მომუშავე მათმა თანამემამულე ექიმმა ან ექიმმა, რომელიც კონფლიქტში მყოფი იმ ქვეყნის მოკავშირე ქვეყანას წარმოადგენს, რომლის სახელზეც ირიცხებიან სამხედრო ტყვეები;

2) ნდობითაღჭურვილი პირის მიერ რეკომენდებული დაჭრილები
ავადმყოფები;

3) იმ ქვეყნის მიერ რეკომენდებული დაჭრილები და ავადმყოფები, რომლის სახელზეც ისინი ირიცხებიან ან ამ სახელმწიფოს მიერ აღიარებული დამხმარე ორგანიზაციის მიერ რეკომენდებული პირნი.

სამხედრო ტყვეებს, რომლებიც არც ერთ მითითებულ კატეგორიას არ ეკუთვნის. შემოწმება შეუძლიათ გაიარონ მხოლოდ მას შემდეგ, რაც დამთავრდება ზემოხსენებული კატეგორიის პირთა შემოწმება.

სამხედრო ტყვეთა თანამემამულე ექიმს და მათი ნდობით აღჭურვილ პირს უფლება აქვთ დაესწრონ შემოწმებას შერეულ სამედიცინო კომისიებში.

მუხლი 114. ნეიტრალურ ქვეყანაში რეპატრიაციის და ჰოსპიტალიზაციის შესახებ ამ კონვენციის მოქმედება ვრცელდება სამხედრო ტყვეებზე, რომლებიც გახდნენ უბედური შემთხვევების მსხვერპლნი, ასოთდამშავებელთა გამოკლებით.

მუხლი 115. თუ სამხედრო ტყვე აკმაყოფილებს ნეიტრალურ ქვეყანაში რეპატრიაციის ან ჰოსპიტალიზაციის პირობებს, მაგრამ იხდის დისციპლინურ სასჯელს, არ იქნება დაკავებული იმ მოტივით, რომ მას ჯერ არ მოუხდია სასჯელი.

გამოძიების ქვეშ მყოფი ან განაჩენგამოტანილი სამხედრო ტყვეები, რომლებიც რეპატრირებული ან ჰოსპიტალიზებული უნდა იქნენ, პროცესის დამთავრებამდე ან სასჯელის მოხდამდე რეპატრირებული ან ჰოსპიტალიზებული იქნებიან დამტყვევებელი ქვეყნის თანხმობით.

კონფლიქტში მყოფი მხარეები ერთმანეთს აცნობენ იმ პირთა გვარებს, რომელნიც დატყვევებული არიან საქმის დამთავრებამდე ან სასჯელის მოხდამდე.

მუხლი 116. სამხედრო ტყვეთა რეპატრიაციის ან ნეიტრალურ ქვეყანაში გადაყვანის ხარჯებს დამტყვევებელი ქვეყნის საზღვრიდან მოყოლებული გაიღებს ქვეყანა, რომლის სახელზეც ირიცხებიან ტყვეები.

მუხლი 117. არც ერთი რეპატრირებული არ გამოიყენება ნამდვილ სამხედრო სამსახურში.


ნაწილი II

სამხედრო მოქმედებათა და მთავრების უფლებათა სამხედრო ტყვეთა გათავისუფლება და რეპატრიაცია

მუხლი 118. სამხედრო ტყვეთა გათავისუფლება და რეპატრიაცია ხდება სამხედრო მოქმედებათა დამთავრებისთანავე.

ამ საკითხის შესახებ კონფლიქტში მყოფ მხარეებს შორის სამხედრო მოქმედებების შეწყვეტის მიზნით დადებულ შეთანხმებაში შესაბამისი დადგენილების ან ამგვარი შეთანხმების არარსებობის შემთხვევაში ყოველი დამტყვევებელი ქვეყანა თავად ადგენს და ახორციელებს, წინა აბზაცში მითითებული პრინციპის თანახმად, რეპატრიაციის გეგმას.

ორივე შემთხვევაში მიღებული ზომების შესახებ აცნობენ სამხედრო ტყვეებს.



რეპატრიაციის ხარჯებს სამართლიანად ინაწილებენ დამტყვევებელი ქვეყანა და ქვეყანა, რომლის სახელზეც ირიცხებიან სამხედრო ტყვეები;

განაწილების დროს დაცული იქნება შემდეგი პრინციპები:

ა) თუ ეს სახელმწიფოები ერთმანეთს ესაზღვრება, ის ქვეყანა, რომლის სახელზეც ირიცხებიან სამხედრო ტყვეები, გაიღებს რეპატრიაციის ხარჯებს მოყოლებული დამტყვევებელი ქვეყნის საზღვრიდან;

ბ) თუ არ ესაზღვრებიან ერთმანეთს, დამტყვევებელი ქვეყანა გაიღებს თავისი ტერიტორიის საზღვრამდე ან იმ ტერიტორიამდე ტრანსპორტირების ხარჯებს, რომელიც ახლოს არის სამხედრო ტყვეთა ქვეყანასთან. რეპატრიაციასთან დაკავშირებული სხვა ხარჯების სამართლიანად გაყოფის შესახებ დაინტერესებული მხარეები შეთანხმდებიან. ამ შეთანხმების დადება არავითარ შემთხვევაში არ ვახდება რეპატრიაციის შეყოვნების გასამართლებელი მიზეზი.

მუხლი 118. რეპატრიაცია ხდება სამხედრო ტყვეთა გადაყვანის შესახებ ამ კონვენციის 46-48 მუხლების, 118-ე მუხლის და ქვემოთ აბზაცების გათვალისწინებით.

მე-18 მუხლის შესაბამისად, ჩამორთმეული ძვირფასი ნივთები და დამტყვევებელი ქვეყნის ვალუტაზე გადაუცვლელი ფულადი სახსრები რეპატრიაციის დროს უზრუნველბათ სამხედრო ტყვეებს, თუ რაიმე მიზეზით არ მოხდა მათი დაბრუნება, ისინი გადაეცემა 122-ე მუხლით გათვალისწინებულ ცნობათა ბიუროს.

სამხედრო ტყვეებს შეუძლიათ თან წაიღონ პირადი ნივთები, კორესპონდენცია, მათ სახელზე მოსული ამანათები, მათი წონა რეპატრიაციის გარემოებების გათვალისწინებით შეიძლება შეიზღუდოს იმ ნორმამდე, რომლის ნორმალურად ტარებაც შეუძლია სამხედრო ტყვეს. ყოველ შემთხვევაში, დაშვებული იქნება კაცზე არანაკლებ 25 კგ ტვირთის ტარება.

სხვა პირად ნივთებს შეინახავს დამტყვევებელი ქვეყანა. იგი მათ გადაგზავნის მაშინვე, როგორც კი დაიდება შეთანხმება ამ ნივთების ტრანსპორტირების და მასთან დაკავშირებული ხარჯების შესახებ ქვეყანასთან, რომლის სახელზეც ირიცხებიან სამხედრო ტყვეები.

შეიძლება დააკავონ სამხედრო ტყვეები, რომელთა შესახებაც აღძრულია სისხლის სამართლის საქმე სისხლის სამართლის დანაშაულისათვის. დაკავება მოხდება სასამართლოს დამთავრებამდე ან შესაბამის შემთხვევაში — სასჯელის მოხდამდე. იგივე ეხება სისხლის სამართლის დანაშაულისათვის გასამართლებულ სამხედრო ტყვეებს.

კონფლიქტში მყოფი მხარეები ერთმანეთს აცნობებენ სასამართლოს დამთავრებამდე ან სასჯელის მოხდასდე დაკავებული სამხედრო ტყვეების შესახებ.

მხარეები შეთანხმდებიან, რომ შეიქმნას კომისიები ქვეყანაში გაფანტული სამხედრო ტყვეების მოსაძებნად და უმოკლეს დროში მათი რეპატრიაციის უზრუნველყოფის მიზნით.

ნაწილი III

სამხედრო ტყვეთა გარდაცვალება

მუხლი 120. სამხედრო ტყვეთა ანდერძი ისე უნდა შედგეს, რომ მათი ქვეყნის კანონების თანახმად, მოქმედად ჩაითვალოს, ეს ქვეყანა მიიღებს



ზომებს, რომ ამისათვის აუცილებელი პირობები ეცნობოს დამტყვევებელ ქვეყანას. ტყვეთა მოთხოვნით, ან მათი გარდაცვალების შემდგომ, ანდერძები დაუყოვნებლივ გადაეცემა მფარველ სახელმწიფოს, ხოლო დამოწმებული ასლები ცნობათა ცენტრალურ სააგენტოს.

ამ კონვენციაზე დართული (დანართი არ არის მოყვანილი) ფორმის მიხედვით შედგენილი გარდაცვალების აქტები ან ტყვეობაში გარდაცვლილი პირების სია, პასუხისმგებელი ოფიცრის მიერ დამოწმებული, უმოკლეს დროში გადაეცემა 122-ე მუხლის თანახმად შექმნილ სამხედრო ტყვეთა საქმეების ცნობათა ბიუროს. გარდაცვალების აქტებსა ან დამოწმებულ სიებში მითითებული უნდა იყოს, მე-17 მუხლის მესამე აბზაცის თანახმად, დაწვრილებით, ცნობები გარდაცვლილის წინაობის შესახებ, გარდაცვალების დრო და ადგილი, დაკრძალვის დრო და ადგილი, საფლავის ამოცნობისათვის საჭირო მონაცემები.

დაკრძალვამდე ან დაწვამდე უნდა მოხდეს სხეულის სამედიცინო შემოწმება სიკვდილის კონსტატაციის აქტის შედგენის, ხოლო აუცილებლობის შემთხვევაში — ვინაობის დადგენის მიზნით.

დამტყვევებელი ქვეყნის ხელისუფლებამ უნდა უზრუნველყოს ტყვეთა ჰატივით, და თუ შესაძლებელია, მათი რელიგიური რწმენის თანახმად დაკრძალვა. გარდაცვლილთა საფლავებს ჰატივი უნდა ეცეს. ისინი წესრიგში უნდა იყოს და იმგვარად აღნიშნული, რომ ყოველთვის შეიძლებოდეს მათი მონახვა. ყველა შესაძლო შემთხვევაში ერთი ქვეყნის სახელზე რიცხული სამხედრო ტყვეები ერთად უნდა დაიკრძალოს.

დაკრძალვა მოხდება ცალ-ცალკე საფლავებში გარდა შემთხვევებისა, როცა გადაუღებელი გარემოებანი ითხოვს დაკრძალვას სამთო საფლავეში. კრემაცია მოხდება ჰიგიენის მოთხოვნების ან რელიგიური მოტივების გამო, ასევე, გარდაცვლილის მიერ გამოთქმული სურვილის საფუძველზე. კრემაციის ფაქტის და მიზეზების შესახებ მითითებული უნდა იყოს გარდაცვალების აქტში.

იმისათვის, რომ შესაძლებელი იყოს საფლავის მოძებნა, დაკრძალვის და საფლავების შესახებ ყველა მონაცემის რეგისტრაციას ახდენს დამტყვევებელი ქვეყნის მიერ შექმნილი სასაფლაოთა სამსახური. საფლავთა სიები, მონაცემები საფლავებში და სხვა ადგილებში დაკრძალული სამხედრო ტყვეების შესახებ გადაეცემა ქვეყანას, რომლის სახელზეც ირიცხებიან ისინი, საფლავების მოვლაზე და ცხედართა შემდგომი გადაადგილების რეგისტრაციაზე პასუხისმგებლობა ნაკისრი აქვს სახელმწიფოს, რომელიც აკონტროლებს მოცემულ ტერიტორიას. იგივე ეხება ფერფლს, რომელსაც იმ დრომდე ინახავს სასაფლაოთა სამსახური, ვიდრე შესაბამისი ქვეყანა არ მიიღებს რაიმე გადაწყვეტილებას მათ შესახებ.

მუხლი 121. სიკვდილის ან მძიმედ დაჭრის ყოველი შემთხვევის შესახებ, რომელიც მოხდა მორიგის მიზეზით, ან თუ არსებობს ეჭვი, რომ მძიმედ დაჭრა ან გარდაცვალება მოხდა სხვა სამხედრო ტყვეების ან ნებისმიერი მესამე პირის მიზეზით, ასევე უცნობ გარემოებებში სიკვდილის ყველა შემთხვევაში, დამტყვევებელმა ქვეყანამ დაუყოვნებლივ უნდა დაიწყოს ოფიციალური გამოძიება:

ამის შესახებ დაუყოვნებლივ ეცნობება მფარველ სახელმწიფოს. მოწ-



მეებს, განსაკუთრებით — სამხედრო ტყვეებს, ჩამოართმევენ ჩვენებს მათ მოკლე ანგარიშს გაუგზავნიან მფარველ სახელმწიფოს.

თუ გამოძიება დაადგენს ერთი ან რამდენიმე პირის ბრალეულობას. დამტყვევებელი ქვეყანა მიიღებს ყველა ზომას დამნაშავის ან დამნაშავეთა სასამართლოს წინაშე წარდგენისათვის.

პარი V

ცნობათა ბიურო და სამხედრო ტყვეთა დახმარების საზოგადოება

მუხლი 122. კონფლიქტის დასაწყისიდანვე და ოკუპაციის ყველა შემთხვევაში კონფლიქტში მყოფი ყოველი მხარე აარსებს მის ხელისუფლებას დაქვემდებარებული სამხედრო ტყვეების საქმეთა ცნობათა ბიუროს. ნეიტრალური და არამეომარი ქვეყნები, რომლებიც თავის ტერიტორიაზე მიიღებენ მე-4 მუხლში მითითებული რომელიმე კატეგორიის პირებს, იგივეს გააკეთებენ ამ პირთა მიმართ. დაინტერესებულმა მხარემ ყურადღება უნდა მიაქციოს, რომ ცნობათა ბიუროს ჰქონდეს შენობა, აღჭურვილობა, ჰყავდეს პერსონალი წარმატებული მოღვაწეობისათვის. მას უფლება ექნება ამუშაოს სამხედრო ტყვეები იმ პირობების დაცვით, რომლებიც გათვალისწინებულია ამ კონვენციით სამხედრო ტყვეთა მუშაობის შესახებ.

უმოკლეს დროში კონფლიქტში მყოფი ყოველი მხარე თავის ცნობათა ბიუროს გადასცემს ამ მუხლის მეოთხე, მეხუთე და მეექვსე აბზაცებში მითითებულ მონაცემებს, ცნობებს მოწინააღმდეგე მხარის ყველა წარმომადგენლის შესახებ, რომელიც ეკუთვნის მე-4 მუხლში ჩამოთვლილ რომელიმე კატეგორიას. ნეიტრალური და არამეომარი მხარეები ასევე იქცევიან მათ ტერიტორიაზე მოხვედრილი ამ კატეგორიების პირების მიმართ.

ერთი მხრივ, მფარველი სახელმწიფოს, მეორე მხრივ — 113-ე მუხლით გათვალისწინებული ცენტრალური სააგენტოს მეშვეობით, ბიურო და უყოვნებლივ და უსწრაფესად გადასცემს მონაცემებს დაინტერესებულ ქვეყნებს.

ეს საშუალებას მისცემს ინფორმირებული იყვნენ დაინტერესებული ოჯახები. ცნობებში, მე-17 მუხლის დებულების გათვალისწინებით, მითითებული უნდა იყოს ყოველი სამხედრო ტყვის გვარი, სახელი, წოდება, პირადი ნომერი, დაბადების ადგილი და ზუსტი თარიღი, ქვეყანა, რომლის სახელზეც ის ირიცხება, მამის სახელი და დედის ქალიშვილობის გვარი, იმ პირის გვარი და მისამართი, რომელსაც ეგზავნება შეტყობინება. ასევე მისამართი, რომელზედაც უნდა გაიგზავნოს სამხედრო ტყვეებისათვის კორესპონდენცია.

ცნობათა ბიურო შესაბამისი კომპეტენტური ორგანოებისაგან მიიღებს ცნობებს გადაყვანის, გათავისუფლების, რეპატრიაციის, გაქცევის, პოსპიტალიზაციის, გარდაცვალების ყველა შემთხვევის შესახებ და გადასცემს მათ ამ მუხლის მესამე აბზაცში მითითებული წესით.

რეგულარულად, თუ შესაძლებელია — ყოველკვირულად, გადაეცემა ცნობები მძიმედ დაჭრილი ან ავადმყოფი სამხედრო ტყვეების ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ.

ცნობათა ბიურო ვალდებულია, უპასუხოს ყველა შეკითხვას ტყვეთა



შესახებ, მათ შორის — გარდაცვლილთა შესახებ: ასევე წარადგინოს ნებისმიერი შეკითხვა მისთვის უცნობი მონაცემების მოპოვების მიზნით.

ცნობათა ბიუროს ყოველი წერილობითი შეტყობინება დამოწმებულია ხელმოწერით ან ბეჭდით.

გარდა ამისა, ცნობათა ბიურო ვალდებულია, მოაგროვოს და დაინტერესებულ ქვეყანას გაუგზავნოს ყველა ძვირფასი ნივთი, უცხოეთის ნებისმიერი ვალუტის ფულადი სახსრები, ახლობლებისათვის საინტერესო დოკუმენტები, როლებიც დარჩა სამხედრო ტყვეთა რეპატრაციის, გათავისუფლების, გაქცევის ან გარდაცვალების შემდეგ. ეს ნივთები გადაიცემა პაკეტებით, ბიუროს ბეჭდით. მათ ერთვის დოკუმენტი მფლობელის ვინაობის შესახებ დაწვრილებითი მონაცემებით და აგრეთვე, პაკეტებში შემავალი ნივთების ზუსტი ნუსხა. ამგვარ სამხედრო ტყვეთა სხვა პირადი ნივთები გადაიცემა კონფლიქტში მყოფ მხარეებს შორის შეთანხმების საფუძველზე.

მუხლი 123. ნეიტრალურ ქვეყანაში არსდება სამხედრო ტყვეთა საქმეების ცენტრალური ცნობათა სააგენტო. თუ წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტი საჭიროდ ჩათვლის, მსგავსი სააგენტოების შექმნას შესთავაზებს დაინტერესებულ მხარეებს. სააგენტოს ვეალება ოფიციალური ან კერძო არხებით მიღებული ყოველგვარი მონაცემების შეგროვება. იგი უმოკლეს დროში გადასცემს მათ სამხედრო ტყვეთა სამშობლოს ან ქვეყანას, რომლის სახელზეც ისინი ირიცხებიან. კონფლიქტში მყოფი მხარეები ყოველგვარ შესაძლებლობას შეუქმნიან სააგენტოს მითითებული მონაცემების გადაცემისათვის.

მოლაპარაკებაში მონაწილე მხარეებს, განსაკუთრებით მათ, რომელთა მოქალაქეებიც სარგებლობენ ცენტრალური სააგენტოს მომსახურებით, სთხოვენ გაუწიონ მათ ფინანსური დახმარება.

ეს დებულებანი არ ზღუდავს წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის და 125-ე მუხლში მითითებული სხვა დამხმარე ორგანიზაციების ჰუმანიტარულ მოღვაწეობას.

მუხლი 124. ეროვნული ცნობათა ბიურო და ცენტრალური სააგენტო თავისუფლდებიან საფოსტო გადასახადებისაგან და სარგებლობენ 74-ე მუხლში მითითებული შეღავათებით. მაქსიმალური შესაძლებლობის ფარგლებში, უფლება აქვთ, უფასოდ ისარგებლონ ტელეგრაფით ან უკიდურეს შემთხვევაში — ისარგებლონ მკვეთრად შემცირებული ნიხრით.

მუხლი 125. გარდა შემთხვევებისა, როცა დამტყვევებელი ქვეყანა მიიღებს ზომებს თავისი უშიშროების ან სხვა საჭიროებათა დაკმაყოფილების უზრუნველყოფის მიზნით, რელიგიური ორგანიზაციების, დახმარების ან ტყვეთა დამხმარე ნებისმიერი სხვა ორგანიზაციის წარმომადგენლები თავიანთთვის, და შესაბამისად, აკრედიტებული, სრულუფლებიანი წარმომადგენლებისაგან მიიღებენ ნებართვას სამხედრო ტყვეთა მონახულების, მათ შორის დახმარების ამანათების, რელიგიური და აღმზრდელი დანიშნულების, გართობისა და დასვენებისათვის განკუთვნილი საგნების განაწილებისათვის.

შემოხსენებული ორგანიზაციები ან საზოგადოებები შეიძლება დაარსდეს დამტყვევებელ ქვეყანაში, სხვა სახელმწიფოში, ან იყოს საერთაშორისო ხასიათის.

დამტყვევებელ ქვეყანას შეუძლია შეზღუდოს ორგანიზაციების და სა-



ზოგადობების რიცხვი, რომელთა წარმომადგენლები მოღვაწეობენ ტერიტორიაზე და მისი კონტროლის ქვეშ, მაგრამ იმ პირობით, რომ ეს ხელს არ უნდა უშლიდეს სამხედრო ტყვეთათვის ქმედითი და საკმარისი დანაშაულების აღმოჩენას.

ყოველთვის აღიარებულ უნდა იქნეს და პატივი უნდა ეცეს წითელი ჯგერის საერთაშორისო კომიტეტის განსაკუთრებულ მდგომარეობას ამ სფეროში.

სამხედრო ტყვეთათვის ამანათების ან ნივთების გადაცემის დროს ან უმოკლეს დროში დამგზავნი საზოგადოება ან ორგანიზაცია მიიღებს ნდობით აღჭურვილი პირის მიერ დამოწმებულ ცალკეულ ხელწერილს თითოეული ამანათის შესახებ ერთდროულად, აღმინისტრაციულ ხელისუფლებას გადაეცემა ხელწერილი სამხედრო ტყვეებისთვის გამოგზავნილი ამანათების შესახებ.

პარი VI

კონვენციის შესრულება

ნაწილი I

ზოგადი დებულებანი

მუხლი 126. მფარველი სახელმწიფოების წარმომადგენლებს ან დელეგატებს უფლება აქვთ, მოინახულონ სამხედრო ტყვეთა სამყოფელი ადგილები, კერძოდ — ინტერნირების, დაკავების და სამუშაო ადგილები, უფლება აქვთ შევიდნენ სამხედრო ტყვეთათვის განკუთვნილ შენობებში, მოინახულონ გასამგზავრებელი, სხვა ადგილიდან გადმოყვანილი ტყვეების სამყოფელი. შეუძლიათ მოწმეების გარეშე, საჭიროების შემთხვევაში — თარჯიმნის მეშვეობით ესაუბრონ ტყვეებს; ნდობით აღჭურვილ პირებს.

მფარველი სახელმწიფოს წარმომადგენლებს და დელეგატებს სრული თავისუფლება ენიჭებათ მოსანახულებელი ადგილების არჩევაში, შეზღუდული არ იქნება მონახულების ვადა და რაოდენობა. აკრძალვა შეიძლება მხოლოდ დროებით და გამონაკლისის სახით, სამხედრო აუცილებლობის გამო.

დამყვევებელი ქვეყანა და ქვეყანა, რომლის სახელზეც ირიცხებიან სამხედრო ტყვეები, შეიძლება შეთანხმდნენ, რომ ამ ტყვეთა თანამემამულეები დაუშვან მათ მოსანახულებლად.

იმავე უფლებებით სარგებლობენ წითელი ჯგერის საერთაშორისო კომიტეტის წარმომადგენლები, ამ წარმომადგენელთა დანიშვნას სჭირდება იმ ქვეყნის თანხმობა, რომლის სახელზე რიცხული სამხედრო ტყვეებიც უნდა მოინახულონ.

მუხლი 127. მოლაპარაკებაში მონაწილე მხარეები ვალდებულია იღებენ, როგორც მშვიდობიან, ისე საომარ დროს, ფართოდ გაავრცელონ მოცემული კონვენციის ტექსტი თავიანთ ქვეყნებში, კერძოდ, ჩართონ მისი სწავლება სამხედრო, და შესაძლებლობის ფარგლებში სამოქალაქო განათლების კურსში, რათა მის პრინციპებს გაეცნონ შეიარაღებული ძალები და მთელი მოსახლეობა.

სამხედრო და სხვა ზელისუფალთ, რომელთაც ომის დროს ეკისრებათ პასუხისმგებლობა სამხედრო ტყვეებზე, უნდა ჰქონდეთ კონვენციის ტექსტი და გაეცნონ მის დებულებებს.

მუხლი 128. მოლაპარაკებაში მონაწილე მხარეები შევიცარიის ფედერალური საბჭოს, ხოლო ომის დროს — მფარველი სახელმწიფოს მეშვეობით, ერთმანეთს გადასცემენ ამ კონვენციის თარგმანების ოფიციალურ ტექსტებს, აგრეთვე კანონებს და დებულებებს, რომლებსაც მიიღებენ კონვენციის სათანადოდ გამოყენების უზრუნველყოფის მიზნით.

მუხლი 129. იხ. მოქმედ არმიასი დაჭრილთა და ავადმყოფთა ზვედრის გაუმჯობესების შესახებ კონვენციის მუხლი 49, აბზაცი I, II III, IV. ბოლო აბზაცი შესაცვლელია ამაგვარად:

„ნებისმიერ გარემოებაში ბრალდებულები სარგებლოენ შესაბამისი სასამართლო პროცედურის გარანტიებით და დაცვის უფლებით, რომლებიც არანაკლებ ზელსაყრელი უნდა იყოს, ვიდრე ამ კონვენციის 105-ე და შემდგომი მუხლებით გათვალისწინებული გარანტიები“.

მუხლი 130. წინა მუხლში ნახსენებ სერიოზულ დარღვევებს მიეკუთვნება ზოგიერთი ქმედება, მიმართული იმ პირთა წინააღმდეგ, რომლებიც სარგებლობენ ამ კონვენციის მფარველობით. ეს ქმედებებია: წინასწარ განზრახული მკვლელობა, წამება ან არაადმიანური მოპყრობა — ბიოლოგიური ექსპერიმენტების ჩათვლით; წინასწარგანზრახვით მძიმე ტანჯვის ან სერიოზული დაზავების მიყენება, ჯანმრთელობის დაზიანება; სამხედრო ტყვის იძულება, იმსახუროს მოწინააღმდეგე მხარის შეიარაღებულ ძალებში ან ამ კონვენციით გათვალისწინებული მიუმხრობელი და ნომრალური სასამართლო საქმის წარმოების უფლების ჩამორთმევა.

მუხლი 131. იხ. ხსენებული კონვენციის მუხლი 51 (უცვლელად).

მუხლი 132. იხ. ხსენებული კონვენციის მუხლი 52 (უცვლელად).

ნაწილი II

დასკვნითი დებულებანი

მუხლი 133. მოცემული კონვენცია შედგენილია ფრანგულ და ინგლისურ ენებზე. ორივე ტექსტი თანაბრად ავთენტურია.

შევიცარიის ფედერალური საბჭო უზრუნველყოფს კონვენციის ოფიციალურად თარგმანს რუსულ და ესპანურ ენებზე.

მუხლი 134. მოცემული კონვენცია მოლაპარაკებაში მონაწილე მხარეების ურთიერთობებში ცვლის 1929 წლის 27 ივლისის კონვენციას.

მუხლი 135. სახელმწიფოებს შორის ურთიერთობებში, რომლებიც დაკავშირებული არიან ჰააგის კონვენციებით ხმელეთზე ომის წესებისა და კანონების შესახებ, იქნება ეს 1899 წლის 29 ივლისის თუ 1907 წლის 28 ოქტომბრის კონვენციები, ასევე არიან ამ კონვენციის წევრები. ეს უკანასკნელი ავსებს ჰააგის კონვენციებზე დართული რეგლამენტის II თავს.

მოცემული კონვენციის დასკვნითი დებულებების 136-ე, 143-ე მუხლები იდენტურია მოქმედ არმიასი დაჭრილთა... კონვენციის დასკვნითი დებულებების 56-64 მუხლებისა.

კონტროლნი
ინჟენერნი




კროსკორდი

ბატონ გიორგი ბასიბაშვილის მიერ შედგენილი კროსკორდი ძირითადად განკუთვნილია საშუალო სკოლების მოსწავლეების, ამ გოლო ხანს მომრავლებული კოლეჯების მსმენელებისა და უმაღლესი სასწავლებლების იურიდიული ფაკულტეტების სტუდენტებისათვის. ჩვენს შურნალში გამოკვეთილია კიდევ ერთი კროსკორდი. ის, ვინც ორივე კროსკორდს სწორად ამოხსნის, დაჯილდოვდება 1993 წლისათვის ჩვენს შურნალზე ხელმოწერით. უპირატესობა, ცხადია, მიენიჭება ასაკით უცროსს.

მეორე თვეს პასუხებს.

თარაზულად: 5. გემთფლობელსა და დამკირავებელს შორის დადებული ხელშეკრულება მთელი გემის ან მისი ნაწილის იჯარით აღების შესახებ გარკვეული ვადით; 6. სოფელი ირკუტკის ოლქში, სადაც სასჯელს იხდიდა პოლიტპატიმარი მერაბ კოსტავა; 9. ინგლისელი მწერალი — „ედემტეივის დედოფალი“; 10. იურისტი — 1953-61 წლებში აშშ ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს დირექტორი; 11. სახელმწიფოს თანხმობა, მიიღოს უცხო სახელმწიფოს მიერ შემოთავაზებული პირი დიპლომატიური წარმომადგენლობის მეთაურად; 14. სახელმწიფოს განცხადება ქაერთაშორისო ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტის შესახებ; 17. სამართალმცოდნე ღვთისმეტყველი მუსლიმანებში, რომელსაც უფლება აქვს გამოიტანოს გადაწყვეტილება რელიგიური-აღმსარებელთა საკითხებზე, განმარტოს ყურანი; 18. გადასახადებისაგან თავისუფალი, გარკვეული პრივილეგიების მქონე პირი სათანადო შეუქალაქობის სიგელით, ფეოდალურ საქართველოში; 19. კრედიტორის მიერ თავისი მოთხოვნის უფლების დათმობა სხვა პირისათვის — ახალი კრედიტორისათვის; 21. კუნძულ სიცილიაზე XVIII საუკუნის ბოლოს შექმნილი საიდუმლო ორგანიზაცია, რომელიც იყენებს არაეკონომიკური იძულებისა და ძალადობის მეთოდებს, ტერორსა და მკვლელობას; 25. ისლამის ყველაზე უფრო მეტბოლო, რეაქციული მიმდინარეობა; 27. მოსახლეობის ცალკეული ჯგუფების გაუტეხა რასობრივი, ეროვნული და რელიგიური მოტივებით; 29. დრამატურგი, ყოფილი დისიდენტი — ევროპის ერთ-ერთი სახელმწიფოს პრეზიდენტი; 30. ხმის მიცემით მიღებული გადაწყვეტილება; 31. სასამართლოს თანამდებობის პირი, მსაჯული შუა საუკუნეების ევროპაში; 32. რომელი პოლიტიკური მოღვაწე, იულიუს კეისრის საწინააღმდეგო შეთქმულების მოთავე;

შეუელად: 1. ნაფიც მსაჯულთა სასამართლოში ნაფიც მსაჯულთა გადაწყვეტილება განსასჯელის დამნაშავეობასა ან უდანაშაულობაზე; 2. სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური მნიშვნელობის ზოგი დოკუმენტის სახელწოდება; 3. ფეოდალური კლასის ზედაფენის წარმომადგენელი XV-XVIII საუკუნის საქართველოში; 4. სათანადო სასამართლო თუ საპროკურორო ორგანოების წერილობითი წარდგინება სასამართლოს გადაწყვეტილების, განაჩენის გადასინჯვის შესახებ; 7. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი — საიდუმლო ვითარებაში მოკლული მარტყოფში 1918 წელს; 8. პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციის ლიდერი; 12. გვაროვნული წესწყობილებიდან მომდინარე ჩვეულება, ჩვეულებითი სამართალი ისლამის აღმსარებელ ხალხებში; 13. პერსონაჟი მარჯანიშვილის თეატრის სპექტაკლის „მოსამართლე“; 15. ერთ-ერთი მთავარი ნაციონალიზმის სამხედრო დამნაშავე; 16. პრივილეგიური წოდების წარმომადგენელი ძველ რომში; 20. სახელმწიფოს სუვერენიტეტის სიმბოლო; 21. მუღმივი დიპლომატიური წარმომადგენლობა დესპანის ან საქმეთა რწმუნებულის მეთაურობით; 22. სახელმწიფო დაწესებულება ან პირი, რომელიც ახორციელებს თავდებობას; 23. რისამე მწვევე ნაკლებობა; 24. დანაშაულის წინასწარი შესწავლა-ძიების ერთ-ერთი ფორმა, რომლის ამოცანაა სათანადო სამძებრო-ოპერატიულ და საგამძიებო ღონისძიებებით დანაშაულისა და მის ჩამდენ პირთა აღმოჩენა-დადგენა, დანაშაულის აცილება და აღკვეთა; 26. საგანგებო პირობა, შეტანილი ხელშეკრულებაში, ანდერძში; 27. საქართველოს სამეფო ტახტის მემკვიდრე; 28. ქართული პოლიტიკური და ლიტერატურული პერიოდული გამოცემა-19 საუკუნეში, რომელიც ცარიზმის რეაქციის ებრძოდა.



„სამართალი“, 1991 წ.

რედაქციის მისამართი: 380009, თბილისი, გრიბოდოვის 19
ტელ: 99-02-45, 99-41-50, 99-51-01

ვალეცა წარმოებას 30.06.92 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 18.08.92 წ.,
ფორმატი 70x108/16, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 5, პირბითი ნაბეჭდი ფურცელი 7,
საღირსეზვლ-სავაჭომცემლო თაბანი 6.05. შეკვ 1154, ტირ. 6000

სამართალს შერხალ-გაზეთების გამომცემლობა „საფოტალო“ სტამბა,
380009, თბილისი, გ. კოსტავას 14

САМАРТАЛИ» («ПРАВО») (на грузинском языке). Ежемесячный научно-прак-
тический журнал Союза юристов Республики Грузия.

Адрес редакции: Тбилиси, Грибоедова, 19, тел.: 99-02-45, 93-41-50, 99-51-01.

Итография Грузинского журнально-газетного издательства «Самшобло»,
380009, Тбилиси, ул. М. Коставы, 14.

40 73/2



062360 74185

062360 1 825 50 331